ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლუსინე პიჩიკიანი

სომხების იდენტობა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ზურაბ დავითაშვილი
პროფესორი

თბილისი
2017

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია იმის დადგენა თუ როგორ აღიქვამდნენ საკუთარ თავს სომხები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში.

ჰიპოთეზის თანახმად, სომხური პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა, რომელიც მოღვაწეობდა თბილისში, წარმოადგენდა ძალას, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ზოგადად სომხური იდენტობის ფორმირებაში და რომლის გავლენითაც ყალიბდებოდა საქართველოში მცხოვრები სომხების იდენტობა, მათი თვითაღქმა და ასევე ქართველებისა და საქართველოსადმი დამოკიდებულება.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად ნაშრომში, პირველ როგში, განხილულია და გაანალიზებულია დიასპორის როლი სომხური იდენტობის ფორმირებაში ასევე საქართველოს სომხების იდენტობის თავისებურებები.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შეიქმნა ახალი რეალობა არა მხოლოდ ქართველებისათვის, არამედ საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის. შესაბამისად, საინტერესოა სომხური მოსახლეობის ხედვა ისეთი საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მის დედაქალაქად თბილისის არჩევა, სომხების ხედვა ტერიტორიებთან მიმართებაში, სამშობლოს აღქმისა და მოქალაქეობის საკითხი, სომხურ სკოლებში ქართული ენის სწავლის საკითხი, ქართველების აღქმა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ამ პერიოდში მომხდარ კონფლიქტზე - საქართველო-სომხეთის ომზე და სომხების პოზიციაზე საუბარი. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების სომხების მიერ აღქმა საქართველოში მცხოვრები სომხების იდენტობას ნათელყოფს.

საკვლევი კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ აღიქვამდნენ საქართველოში მცხოვრები სომხები საკუთარ თავს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და რით იყო განპირობებული ასეთი აღქმა? ჰიპოთეზის ასახსნელად ნაშრომში იქნება გამოყენებული პოლ ბრასის ინსტრუმენტალიზმის თეორია.

The Identity of Armenians in the Democratic Republic of Georgia (1918-1921)

Abstract

The purpose of this paper is to ascertain how Armenians perceived themselves in the Democratic Republic of Georgia in the period of independence (1918-1921) and the factors which conditioned such perception.

According to the hypothesis, Armenian political and intellectual elite, living and acting in Tbilisi represented a power, which played an important role in the formation of Armenian identity generally and by the influence of which there was forming the identity of Armenians, who lived in Georgia, their self-perception and attitude towards Georgians and Georgia.

In order to approve the hypothesis, it is necessary to analyse the role of diaspora in the formation of Armenian identity and the peculiarities of identity of Armenians living in Georgia.

We should note that after declaring of the independence of Georgia, a new reality emerged not only for Georgians, but also for Armenians living in this country. Accordingly, the reaction and attitude of Armenian population represents a big interest, especially towards the following issues: declaring of the independence of Georgia; choosing Tbilisi as a capital of the country; homeland perception and citizenship issue; Georgian language in non-Georgian schools; territorial issues and perception of Georgians. In addition, it is important to analyse Georgian-Armenian conflict which occured in 1918 and to show the position of Armenians living in Georgia towards this issue. The position of Armenians on above-mentioned issues is the way to understand their identity.

The research question of this paper is "How did Armenians living in Georgia perceive themselves in the Democratic Republic of Georgia (1918-1921) and what conditioned such perception?" The most relevant theory, which answers the research question, is instrumentalism of Paul Brass.

სარჩევი

შესავალი.....6

თეორიული ჩარჩო.....8

კვლევის მეთოდები.....10

1. ლიტერატურული მიმოხილვა.....11

2. სომხური ეროვნული იდენტობის თავისებურებები.....14

2.1. ეროვნული იდენტობის ცნება და არსი.....14

2.2. სომხური ეთნიკური იდენტობის ისტორიული მიმოხილვა(ადრ. შუა საუკუნეები).....15

2.3. დიასპორა, როგორც სომხური ეროვნული იდენტობის მახასიათებელი.....20

2.4. რუსეთის იმპერია, როგორც სომხური იდენტობის ჩამოყალიბების მთავარი ცენტრი..27

3. საქართველო, როგორც სომხური ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი.....32

3.1. სომხების დასახლება საქართველოში - ისტორიული ანალიზი.....32

3.2. სომხური იდენტობა ქართველების თვალთახედვით.....45

3.3. თბილისი როგორც სომხური კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი (მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარი და მე-20 საუკუნის დასაწყისი).....47

3.4. სომხური ეროვნული იდენტობის ძირითადი მარკერები საქართველოს სომხურ დიასპორაში(მე-19 საუკუნე- 1918 წ.).....50

3.4.1. ტერიტორია - ისტორიული მიწები.....50

3.4.2. ენა, როგორც სომხური იდენტობის მნიშვნელოვანი მარკერი.....52

3.4.3. რელიგია, როგორც სომხური იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი.....56

4. საქართველოს დამოუკიდებული რესპუბლიკის პოლიტიკური ვითარება და სომხური მოსახლეობის ხედვა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში.....58

4.1. ამიერკავკასიის ფედერაცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება.....58

4.2. სომხური დიასპორის ხედვა ტერიტორიებთან დაკავშირებით.....62

4.3. საქართველოს სომხური დიასპორის რეაქცია საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის დედაქალაქად თბილისის გამოცხადებაზე.....64

4.4. საქართველო-სომხეთის ომის მიზეზები და სომხების პოზიცია.....68

5. საქართველოსა და ქართველებთან ურთიერთობების აღქმა საქართველოს სომხურ დიასპორაში 1918-1921 წლებში.....76

5.1. სამშობლოს აღქმა და საქართველოს, როგორც სამშობლოს აღქმის პრობლემა.....76

5.2. საქართველოს მოქალაქეობის საკითხი.....77

5.3. სომხური სკოლების საკითხი 79
5.4. ქართველების აღქმა სომხების მხრიდან 82
5.5 კულტურული ავტონომიის საკითხი და უმცირესობების უფლებები 87
6. საქართველოში მცხოვრები სომხების თვითაღქმა 90
6.1. სომხები, როგორც ტანჯული ხალხი და თურქი, როგორც მტერი 90
6.2. სომხების თვითკრიტიკა 91
6.3. სომხები უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სომხეთი 93
დასკვნა 94
გამოყენებული ლიტერატურა: 96

შესავალი

მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნა ეროვნული იდენტობებისა და ნაციონალიზმის ჩამოყალიბების პერიოდად ითვლება. სწორედ ამ ისტორიულ ეტაპზე ხდება ერის ჩამოყალიბება და ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება. მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება ქართველი ერის ისტორიაში, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ეს ცვლილება იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაიწყო ახალი ეტაპი ერის ფორმირებაში, არამედ იმითაც, რომ საქართველო მრავალეთნიკურ ქვეყანას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, სხვა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები აღმოჩნდნენ ახალ რეალობაში. ასეთი ეროვნებების მაგალითს წარმოადგენდნენ საქართველოში მცხოვრები სომხები, რომლებსაც მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავათ თბილისში და ეკონომიკურად გაძლიერდნენ კიდევაც.

თბილისი იყო ის ცენტრი, სადაც კონცენტრირებული იყო სომხური ელიტა, მოღვაწეობდნენ ცნობილი მწერლები, ინტელექტუალები და სხვები. დამოუკიდებელ საქართველოში სომხები როგორც ახალი შესაძლებლობების, ისე გამოწვევების, წინააღმდეგობების წინაშე აღმოჩნდნენ. ამ **ნაშრომის მიზანია** იმის დადგენა, თუ როგორ აღიქვამდნენ საქართველოში მცხოვრები სომხები საკუთარ თავს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და რამ განაპირობა ასეთი აღქმა. შესაბამისად, **საკვლევი კითხვა** შემდეგნაირად იქნება ფორმულირებული: როგორ აღიქვამდნენ საქართველოში მცხოვრები სომხები საკუთარ თავს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და რით იყო განპირობებული ასეთი აღქმა?

აქედან გამომდინარეობს **ჰიპოთეზა**, რომლის თანახმადაც, სომხური პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა, რომელიც ცხოვრობდა თბილისში, წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ზოგადად, სომხური იდენტობის ფორმირებაში და რომლის გავლენითაც ყალიბდებოდა საქართველოში მცხოვრები სომხების იდენტობა, მათი თვითაღქმა და ასევე ქართველებისა და საქართველოსადმი დამოკიდებულება.

სწორედ ბეჭდურ პრესაში იყო ჩამოყალიბებული მოსაზრება იმის შესახებ, თუ ვინ არიან სომხები, ვინ არის მათთვის „სხვა“, რას ნიშნავს მათთვის სამშობლო.

როგორც საქართველოში მცხოვრები, ისე დანარჩენი სომხების ეროვნული (და არა ეთნიკური) იდენტობა ყალიბდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. ასეთ შემთხვევაში პრესა არის ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც ერთი მხრივ, წარმოადგენს ელიტების ინტერესების გატარების საშუალებას, მეორეს მხრივ კი, იგი არის მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყარო, რომელიც მასას სთავაზობს როგორც საკუთარ თავზე, ასევე სხვაზე, „მისგან განსხვავებულზე“ წარმოდგენას, ე. ი. პრესის მეშვეობით ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი. ელიტების გავლენით ხდება იდენტობის ჩამოყალიბება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევის საკითხზე არ არის გაკეთებული ანალიზი, არსებული ლიტერატურა კი გვთავაზობს უმეტესწილად ისტორიულ ფაქტებს. ამ ნაშრომებში არ ჩანს კონკრეტული იდენტობის მქონე ხალხის თვითაღქმა, დამოკიდებულება საქართველოში არსებულ რეალობასა და სხვა საკითხებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ნაშრომები, რომლებიც განიხილავენ ქართულ-სომხურ ურთიერთობებს მოცემულ პერიოდში, არ არის შესწავლილი ამ პერიოდში ქართველი სომხების იდენტობა, თვითაღქმა, მათი როგორც ქართველებისადმი, ასევე საქართველოსადმი დამოკიდებულება. გარდა ამისა, ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ არა მარტო ქართულ, არამედ სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში მისი თემა არის უცნობი. შესაბამისად, ჩვენი ამოცანა იყო შეგვევსო ეს ხარვეზი.

თემის გარშემო არსებული ლიტერატურა მოიცავს სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებს, 1918-1921 წლებში მოღვაწე მწერლების ნაწარმოებს, კომენტარებსა და მოსაზრებებს, ასევე სხვადასხვა ისტორიულ წყაროს.

საკითხის გასაანალიზებლად აღებული პერიოდი (1918-1921) აიხსნება იმით, რომ სწორედ იმ პერიოდში, როდესაც საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, იწყება ახალი ეტაპი ქართულ-სომხურ ურთიერთობებში, რომლებიც ერთი მხრივ შეიძლება დაძაბული ვუწოდოთ, მეორე მხრივ, სომხებს ქართველებთან ხანგრძლივი ისტორია და თანაცხოვრება აკავშირებს. დგება ახალი რეალობა, რომელშიც ჯერ კიდევ მიმდინარეობს როგორც ქართველების, ასევე სომხების ეროვნული იდენტობების ჩამოყალიბება.

კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს მოდერნიზმის თეორია, კერძოდ, ინსტრუმენტალიზმი, რომლის თანახმადაც, ელიტები ახდენენ მასების მობილიზაციას.

სანამ გადავალ უშუალოდ ანალიზზე, შემოგთავაზებთ ამ პერიოდის ისტორიულ მიმოხილვას. მომავალ ქვეთავებში ყურადღებას, პირველ რიგში, გავამახვილებ საქართველოში მცხოვრები სომხების იდენტობის მნიშვნელოვან კრიტერიუმებს. შემდგომ საუბარი იქნება სამშობლოს ცნებაზე, კერძოდ კი, როგორ ესმოდათ საქართველოში მცხოვრებ სომხებს სამშობლო. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ამ პერიოდში წარმოშობილი წინააღმდეგობა და დავა ტერიტორიების გარშემო. ჰოგისა და აბრამსის თანახმად, „იდენტობა არის ადამიანების წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვინ არიან ისინი, როგორი ადამიანები არიან, და როგორი მიმართებაა მათსა და სხვებს შორის.“ (Hogg and Abrams, 1988, p. 2) ამიტომაც, ამ შემთხვევაში საინტერესოა და მნიშვნელოვანი სომხების დამოკიდებულება ქართველებისადმი, როგორც სხვისადმი. გარდა ამისა, ნაშრომში განხილული იქნება სკოლებისა და სომხების ავტონომიის შექმნის საკითხი.

<u>თეორიული ჩარჩო</u>

ნაშრომის ჰიპოთეზის თანახმად, სომხური პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა, რომელიც ცხოვრობდა თბილისში, წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ზოგადად, სომხური იდენტობის ფორმირებაში და რომლის გავლენითაც ყალიბდებოდა საქართველოში მცხოვრები სომხების იდენტობა და ქართველებისა და საქართველოსადმი დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე მის ასახსნელად გამოყენებული იქნება ელიტების თეორია, კონკრეტულად კი, პოლ ბრასის ინსტრუმენტალიზმი. ამ თეორიის თანახმად, ნაციონალიზმი ყალიბდება „ზემოდან ქვემოთ “, როდესაც მთავრობა ან ელიტა საკუთარი იდეებისა თუ პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე ქმნის და ავრცელებს ნაციონალისტურ იდეებს და გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე.

პოლ ბრასის ინსტრუმენტალიზმის თეორიის თანახმად, ეთნიკური და ნაციონალური იდენტობა არის მოხერხებული პოლიტიკური ინსტრუმენტი დაპირისპირებული ელიტური ჯგუფების ხელში, მასების მხარდაჭერის

მოსაპოვებლად როგორც ძალაუფლების მოპოვების, ასევე მისი შესანარჩუნების მიზნით. (Brass, 1991, p. 8)

ინსტრუმენტალისტების თანახმად, „ეთნიკური და ნაციონალური კუთვნილება თავიდან განისაზღვრება და ხელახლა ფორმირდება გარემოებისა და პირობების ცვლილებებისა და პოლიტიკური ელიტების მანიპულირების პასუხად “. (დავითაშვილი, 2003, გვ. 110)

ბრასი აღნიშნავს, რომ როგორც ეთნიკურობა, ასევე ნაციონალიზმი არ არის თავისთავად მოცემული, არამედ სოციალური და პოლიტიკური კოსტრუქციაა, რომელიც შექმნილია ელიტების მიერ. სწორედ პოლიტიკური ელიტა ირჩევს კულტურის გარკვეულ ასპექტებს, მათ ანიჭებს მნიშვნელობას, შესაძლოა შექმნას მთლიანად ახალი ან ფაბრიკაცია გაუკეთოს ძველს და შემდგომ უკვე ამას იყენებს ჯგუფის მობილიზაციისთვის. აქედან გამომდინარე, ნაციონალიზმი ფორმირდება პოლიტიკური ელიტების მანიპულაციების შედეგად. (Brass, 1991, p. 8)

ბრასის თეორიის თანახმად, ეთნიკური კონფლიქტები წარმოიშვება არა კულტურული განსხვავებებისა და შეუთავსებლობის გამო, არამედ მისი გამომწვევი „მიზეზია პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ელიტარულ ჯგუფებს შორის დაპირისპირების ფორმას იღებს. ეს დაპირისპირება გავლენას ახდენს შესაბამის ეთნიკურ ჯგუფებზე, რადგან მათი კულტურის ფორმები, ფასეულობები და პრაქტიკული ქმედებები ხდება პოლიტიკური რესურსი ელიტარებისათვის, მათ ბრძოლაში ძალაუფლებისა და პრესტიჟისათვის “. (დავითაშვილი, 2003, გვ. 111) ელიტები ცდილობდნენ მასების მხარდაჭერის მოპოვებას და ახერხებდნენ ამას ნაციონალისტური რიტორიკის გამოყენებით.

ბარინგტონი ასევე განიხილავს ინსტრუმენტალისტურ მიდგომას. იგი აღნიშნავს იმას, რომ ნაციონალური იდენტობა განიხილება, როგორც ინსტრუმენტი, რომლითაც მანიპულირებენ ელიტები. ხოლო მასები ხშირად ირჩევენ ნაციონალისტ ლიდერებს, რომლებიც იქნებიან ქვეყნის და აქედან გამომდინარე, ხალხის ერთგულები. ბარინგტობის აზრით, ერის განსაზღვრისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტები, როგორებიცაა კულტურული მახასიათებლები და გაზიარებული შეხედულება ტერიტორიის კანონიერ მფლობელობაზე არის ელიტების მიერ „კონსტრუირებული “.

სწორედ ელიტები ქმნიან ტერიტორიის კონტროლთან დაკავშირებით საზოგადოებრივ აზრს. (Barrington 2006, p. 13)

ამგვარად, ნაშრომში მოყვანილი არგუმენტების საფუძველზე შესაძლებელია იმის შეფასება, თუ როგორ ყალიბდებოდა საზოგადოებრივი აზრი საქართველოს სომხურ დიასპორაში. მასების მობილიზაციისათვის ბევრ შემთხვევაში მტრის ხატის შექმნითა და სიძულვილის გრძნობის გამოწვევით.

კვლევის მეთოდები

სოციალურ მეცნიერებებში კვლევის ბევრი ეფექტიანი მეთოდი არსებობს. რადგანაც კვლევის საგანს წარმოადგენს სომხების იდენტობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში, შესაბამისად, ნაშრომის დასაწერად გამოყენებული იქნება თვისებრივ მეთოდი - შემთხვევის შესწავლა(Case Study). ნაშრომის თემიდან და არსებული წყაროებიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნება თვისებრივი კონტენტ-ანალიზი. კვლევის ეს მეთოდი მოითხოვს სხვადასხვა ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე დასკვნების გამოტანას. (ზურაბიშვილი თ., 2006) აქედან გამომდინარე, მოხდება თეორიული ლიტერატურის ანალიზი.

ნაშრომი მოითხოვს 1918-1921 წლებში თბილისში გამოსული სომხური ბეჭდური მედიის, ე. ი. გაზეთების ანალიზს, რადგან ერთი მხრივ, პრესა ყველაზე კარგად ასახავს ამ პერიოდის რეალობას, ხოლო მეორე მხრივ, ის არის საკვლევი პერიოდის ასახული მოვლენების პირველწყარო. რაც შეეხება ისტორიულ მიმოხილვას, აღნიშნულ ნაწილში გამოყენებული იქნება როგორც ქართველი, ასევე სომეხი ისტორიკოსების ნაშრომები.

მოცემული ნაშრომის დასაწერად ასევე მნიშვნელოვანია დისკურს-ანალიზის მიდგომა. (Jorgensen M., Phillips L., 2002) სწორედ დისკურს-ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი იქნება სომხური მხარის განწყობების, რეალობის აღქმის, რეაქციებისა და სხვადასხვა საკითხებისადმი დამოკიდებულების დანახვა.

1. ლიტერატურული მიმოხილვა

ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც არსებობს ნაშრომის საკითხის გარშემო, არის გაზეთი „მშაკი“, რომლის დამაარსებელი იყო გრიგორ არწრუნი. კურქჯიანის თაბნახმად, „მშაკი“ პროგრესული გაზეთი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი თაობის გადარჩენას და ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას. (Kurkjian, 1958: 418) გაზეთი აჩვენებს და ასახავს არა მხოლოდ 1918-1921 წლების რეალობას, სომხების პოზიციას ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ, არამედ გვთავაზობს სომხური იდენტობის საკითხებს. აქედან გამომდინარე, პრესა გვიჩვენებს, თუ ვინ არის სომეხი, ვინ არის ერის მტერი და მეგობარი, რა არის სომხების მიზანი, რა არის მნიშვნელოვანი სომხური იდენტობის შესანარჩუნებლად.

ამ გაზეთში კარგად არის ნაჩვენები, თუ როგორ აღიქვამენ სომხები დამოუკიდებელ საქართველოსა და ქართველებს როგორი დამოკიდებულება მათ აქვთ სხვა ტერიტორიებზე მცხოვრები (საქართველოს საზღვრებს გარეთ) სომხებისადმი, ისტორიული სამშობლოსადმი(მოიცავს ტერიტორიებს, რომლებიც დარჩა თურქეთის ხელში). განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთში მოცემული კომენტარები, პასუხები და რეაქცია ქართული პრესის სტატიებზე, რომელიც ეხებოდა სომხებს და რომლებსაც ისინი ხშირად არ ეთანხმებოდნენ. გაზეთ „მშაკში“ შეგვიძლია დავინახოთ როგორც წინააღმდეგობა და უარყოფითი დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხებისადმი(მაგ. ტერიტორიული საკითხი, ენის საკითხი), ასევე თანხმობა იმაზე, რომ ქართველებსა და სომხებს აერთიანებს საერთო ისტორია და ძმობა. შესაბამისად, „მშაკში“ არის სტატიები, რომლებიც ეხება როგორც სომხების იდენტობას, ასევე მნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს.

„მშაკში“ დაწერილი სტატიები მოიცავს არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრები სომხების, არამედ „სომხობის“ ცხოვრებასა და მის მდგომარეობას. გაზეთებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სომეხი ხალხის ბედის და მომავლის საკითხი.

ამ პერიოდის სხვა მნიშვნელოვანი წყაროებიდან აღსანიშნავია გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“(„ხალხის ხმა“). ეს იყო ყოველდღიური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა 1918-1919 წლებში და რომელიც იყო სომხური სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო. გაზეთში დიდი ყურადღება ეთმობა იმ დროის პოლიტიკურ ვითარებას, ისმის სხვა პარტიებისადმი კრიტიკა, სომხების მომავალი და მათი,

როგორც ერის განსავითარებლად საჭირო პოლიტიკური თუ სხვა ნაბიჯები. გარდა ამისა, გაზეთში კარგად არის ნაჩვენები და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სომხური სკოლების საკითხი.

რონალდ გრიგორ სიუნის „ქართველი ერის ჩამოყალიბება“ ასევე არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც მოიცავს 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მდგომარეობას. ავტორი არა მხოლოდ გვთავაზობს ისტორიულ ფაქტებს, არამედ დეტალურად ასახავს იმ პერიოდის რეალობას. გრიგორ სიუნის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ზამთარში დაიწყო სომხეთ-საქართველოს კონფლიქტი ახალქალაქის, ბორჩალოსა და ლორის რეგიონების გამო. მთელი ისტორიის განმავლობაში ეს მიწები რამდენჯერ იყო გადასული თურქების, სომხების და ქართველების ხელში. ხოლო ამ ტერიტორიებზე მოსახლეობის დიდ ნაწილს სომხები წარმოადგენდნენ. შესაბამისად, საინტერესოა თუ როგორ აღიქვამდნენ საქართველოში მცხოვრები სომხები ამ კონფლიქტს და რა პოზიცია ჰქონდათ. (Suny, 1994)

აღსანიშნავია ასევე შოთა და ოთარ თეთვაძეების წიგნი „საქართველოს სომხები. უძველესი დროიდან დღემდე“. 1918-1921 წლების საქართველოზე საუბრისას, ავტორები აღნიშნავენ, რომ 1919 წლის მაისში მიღებულ იქნა კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომლის თანახმადაც მხოლოდ ისინი, ვინც მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. „ხოლო მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნებოდნენ ისინი, ვინც დარეგისტრირებული იყო საქართველოს რომელიმე ქალაქში ან სოფელში 1914 წლის 19 ივლისამდე“. იმის გათვალისწინებით, რომ 1914 წლის შემდეგ საქართველოში სომხური დევნილების ნაკადი ჩამოვიდა, საინტერესოა თუ რა რეაქცია ჰქონდათ სომხებს ამასთან დაკავშირებით. (Тетвадзе, Ш. и О. 2008, с. 104)

რაც შეეხება ისტორიულ საკითხებს, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს პარსამიანისა და ჰარუთინიანის წიგნი „სომეხი ხალხის ისტორია (1801-1978 წ.წ.)“, რომელშიც ავტორები განიხილავენ სოხმების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს, კერძოდ, კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებს. ავტორებს ასევე კარგად აქვთ ასახული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და

გამოცხადების შემდეგ არსებული პოლიტიკური ვითარება. (პარსამიანი და ჰამუთინიანი, 1979)

გურამ მაისურაძის წიგნი „ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა მე-13-მე-18 საუკუნეებში“ ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს, რომელშიც ავტორს კარგად აქვს ასახული როგორც სომხებისათვის საქართველოს ხელსაყრელობას, ასევე ქართველი მეფეების პოლიტიკას დაესახლებინათ სომხები ქვეყანაში ვაჭრობის განვითარების მიზნით. (მაისურაძე გ., 1982)

2. სომხური ეროვნული იდენტობის თავისებურებები

1918-1921 წლების საქართველოში მცხოვრები სომხების იდენტობის გასაანალიზებლად, პირველ რიგში, საჭიროა ზოგადად, სომხური იდენტობის თავისებურებებზე ვისაუბროთ. უნდა აღინიშნოს, რომ დიასპორა სომხური იდენტობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს. სწორედ სომხურ დიასპორაში ხდებოდა სომხური იდენტობის ფორმირება და მისი ტრანსფორმაცია. მეტიც, დიასპორა ხელს უწყობდა ეროვნული იდენტობისა და ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, მოცემულ თავში მიმოხილული იქნება სომხური დიასპორის მნიშვნელოვანი ცენტრები, რომელთა შორის რუსეთის იმპერია ერთ-ერთ მთავარ ადგილს იკავებს. შესაბამისად, დიასპორა ქმნიდა საფუძველს არა მხოლოდ კოლონიაში მცხოვრები სოხმების, არამედ დანარჩენი სოხმების იდენტობას.

2.1. ეროვნული იდენტობის ცნება და არსი

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ სომხური იდენტობა, პირველ რიგში, საჭიროა გარკვევა იმისა, თუ რა არის ეროვნული იდენტობა, რა ელემენტებისაგან შედგება და რითი განისაზღვრება იგი. ოქსფორდის ლექსიკონის თანახმად, ეროვნული იდენტობა არის ერის აღქმა როგორც ერთი მთელის, რომელსაც საკუთარი ტრადიციები, კულტურა და ენა გააჩნია. (Oxford Dictionary) აქედან გამომდინარე, ეროვნული იდენტობის ცნების გასაგებად, უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის ერი და რა განაპირობებს ერის ერთ მთლიანობად აღქმას.

ენტონი სმითის თანახმად, დასავლური გაგებით ნაცია გულისხმობს ისეთ კულტურულ ერთობას, რომლის წევრებს აერთიანებთ საერთო მითები, საერთო ისტორიული მეხსიერება, სიმბოლოები, ტრადიცია. (სმითი, 2008, გვ. 13) უნდა აღინიშნოს, რომ ნაციას განსაზღვრული ტერიტორია უნდა ჰქონდეს, რომელსაც წარმოადგენს ისტორიულ მიწას და სამშობლოს. ამ ადგილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სწორედ ამ ტერიტორიაზე იბრძოდნენ ნაციის გმირები და მოღვაწეობდნენ წმინდანები. დასავლური „ნაციის“ სხვა მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენენ „სამართლებრივ-პოლიტიკური საზოგადოება, საერთო სამოქალაქო კულტურა, სამოქალაქო იდეოლოგია“. (სმითი, 2008, გვ. 11)

როდესაც საუბარია ნაციაზე, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ნაცია ეთნიკური გაგებით, რომელიც არადასავლურ ვარიანტს წარმოადგენს. ნაციის, როგორც ეთნიკური ერთობისთვის მნიშვნელოვანია წარმომავლობა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თუ რა ტერიტორიაზე იცხოვრებს ესა თუ ის ადამიანი, იგი დარჩება საკუთარი ნაციის წევრი(ეთნიკური გაგებით). უნდა ითქვას, რომ ამ გაგებით ნაცია ტერიტორიაზე უფრო მაღლა დგას. ასეთი ნაციის ელემენტებს წარმოადგენს ენა, კულტურა, წეს-ჩვეულებები. (სმითი, 2008, გვ. 14)

ამგვარად, ეროვნული ან ნაციონალური იდენტობის მთავარ განმსაზღვრელ ელემენტებს წარმოადგენს „ისტორიული ტერიტორია სამშობლოს სახით, მითები საერთო წარმომავლობის შესახებ, ისტორიული მეხსიერება, ნაციის წევრებისთვის საერთო სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები, საერთო მასკულტურა და საერთო ეკონომიკა". (სმითი, 2008, გვ. 17)

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ნაციის ჩამოყალიბება არის უნიკალური პროცესი და თითოეულ მათგანს თავისი ისტორია აქვს,სმითის თანახმად, ნაციონალურ იდენტობის საფუძველს *ეთნი* (ფრანგ. „ethnie") წარმოადგენს. ეთნის მახასიათებლებს წარმოადგენენ კოლექტიური თვითსახელი, მითები საერთო წინაპრების შესახებ, საერთო ისტორიული მეხსიერება, საერთო კულტურა, მშობლიური მიწა-წყლის არსებობა, სოლიდარობის გრძნობა ამ ერთობის დიდ ნაწილში. (სმითი, 2008, გვ. 27)

2.2. სომხური ეთნიკური იდენტობის ისტორიული მიმოხილვა(ადრ. შუა საუკუნეები)

სომხური ეროვნული იდენტობის გასაგებად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, მოკლედ მიმოვიხილოთ მისი ჩამოყალიბების საფუძველი, ეთნიკური იდენტობა. უნდა აღინიშნოს, რომ სომხებს ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვთ, რასაც ადასტურებენ სხვადასხვა ისტორიული წყაროები.

სომხური კულტურის განვითარებაზე უძველეს პერიოდში მეტყველებს სომხური მითოლოგიის არსებობა, რომელიც სომხების წარმართულ რელიგიას წარმოადგენდა ქრისტიანობის მიღებამდე. ისტორიკოს ვაჰან ქურქჯიანის თანახმად, სომხურ

მითოლოგიაზე გავლენა მოახდინეს სპარსულმა, ელენისტურმა, სირიულმა მითებმა. ასე, მაგალითად, სომხურქალღმერთ ანაჰიტის პროტოტიპი ელენისტურ მითებში არის არტემიდა, ნანესი - ათენა, ვაჰაგნის - ჰერაკლე. (Kurkjian, 1958, გვ. 306-310)

სომხურ ეთნიკურ იდენტობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მითები წარმოშობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ „სომხეთის ისტორიის მამა“, მოვსეს ხორენაცი სომხეთს „ცივილიზაციის აკვანს“ უწოდებს. ამ აზრს ასევე იზიარებენ გლინკა და დევიდ ლენგი. (Глинка,1832, с. 7; Лэнг, 2004) გლინკას თანახმად, სწორედ არარატის მთებზე გაჩერდა ნოეს კიდობანი და სწორედ ეს იყო ადგილი, საიდანაც იწყებოდა ცივილიზაციის მომავალი. „კიდობანს მოჰქონდა იმედი იმისა, რომ ადამიანი არ გაქრება დედამიწის იერიდან”. (Глинка, 1832, с. 7, 39)

ჟამკოჩიანის მიერ მოყვანილი მოსაზრების თანახმად, სომხეთის მთიანეთში სომეხი ხალხი ურარტუს დაცემის შემდეგ, კერძოდ, ძვ.წ. მე-7 საუკუნის ბოლოს ან მე-6 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნა. სწორედ ამ პერიოდიდან „ურარტუს სახელმწიფოს ყოფილი ტერიტორია, სომხეთის მთიანეთი, ხდება სომეხი ხალხის სამშობლო“. (ჟამკოჩიანი, 65) ლენგის თანახმად კი, ურარტუ იყო პირველი სომხური სახელმწიფო ხოლო მისი დამაარსებელი - მეფე არამი ან არამუ(ძვ. წ. 880-844 წწ.), რომელიც, მოვსეს ხორენაცის თქმით, სომხების ეპონიმური წინაპარი იყო. (Лэнг, 2004, с. 103)

უნდა აღინიშნოს, რომ სომეხი ხალხის ჩამოყალიბება იყო ხანგრძლივი პროცესი, რომელიც, ჟამკოჩიანის თანახმად, დაიწყო ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოს და ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში დასრულდა. უკვე ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში სომხეთში მცხოვრები ხალხი საუბრობდა ერთ ენაზე - სომხურზე. მეტიც, სომეხ ხალხში ასიმილირდნენ და მისი წინაპრები იყვნენ არა მხოლოდ ინდო-ევროპული წარმოშობის „ჰაიასები“ და არმენები, არამედ ურარტული, ხურიტული და კავკასიური წარმოშობის ტომებიც. ამ პროცესის პარალელურად სომეხი-არმენების ენა დომინირებას აღწევს და ბოლოს სახალხო ენად იქცევა, თუმცა განიცდის სხვა ტომების ენების გავლენას. (ჟამკოჩიანი და სხვები, 1975, გვ. 82-83) გლინკას თანახმად კი, „სომხური ენა განსხვავდება ყველა აღმოსავლური ენისგან და უფრო მეტი მსგავსება ევროპულ ენებთან აქვს, ვიდრე აღმოსავლურებთან“. (Глинка, 1832, с. 30)

აღსანიშნავია, რომ თვითონ სომხები საკუთარ თავს „ჰაის“ უწოდებენ, ხოლო ქვეყანას „ჰაიასტანს“ ან „ჰაიქს“. XV საუკუნეში ჩვ. წ-მდე მცირე ჰაიქისა და დიდი ჰაიქის

რაიონში ჩამოყალიბდა ძლიერი ტომობრივი გაერთიანება, რომლის დაკავებული ტერიტორიასაც ხეთები „ჰაიასას“ ან „ჰაიასა ხალხის ქვეყანას“ უწოდებდნენ. ბევრი მკვლევარისა და ისტორიკოსის თანახმად, „ჰაიასას ხალხის ქვეყანა“ სომხების ქვეყანას წარმოადგენდა. მათი თქმით, სწორედ „ჰაიასა“ ხალხის სახელიდან გამომდინარეობს დღევანდელი სომხების სახელი - „ჰაი“. (ჟამკოჩიანი, აბრაჰამიანი, პოღოსიანი, მელიქ-ბახშიანი, 1975, გვ. 75) შესაბამისად, სომხების თვითსახელი დარჩა იგივე.

სომხური ეთნიკური იდენტობის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სომხური ეპოსი, რომელიც ვითარდება ძვ. წ. IV-I საუკუნეებში და რომლის მთავარი თემა ეხება როგორც სომხეთში მიმდინარე მოვლენებს, სომხურ მეფეებს, ასევე სომეხი ხალხის ცხოვრებას, მის ყოფა-ცხოვრებას, ტრადიციებსა და რწმენას. უნდა აღინიშნოს, რომ ეპოსებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მეფე არტაშეს I, რადგან სწორედ არტაშესის მიერ დაწყებული ომები სელევკიდების და კავკასიის ხალხების წინააღმდეგ მიზნად ისახავდა ერთიანი სომხური ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას. (ჟამკოჩიანი და სხვები, 1975, გვ. 196)

სომეხი ხალხის ისტორიულ ნარატივებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს არტაშესიდების დინასტიის წარმომადგენელი, მეფე ტიგრან მე-2 დიდი, რომელიც ძვ. წ. 95 წელს ავიდა ტახტზე. ჟამკოჩიანის თანახმად, ტიგრან დიდის მმართველობის პერიოდში სომხეთი აღწევს თავისი „პოლიტიკური სიძლიერის მწვერვალს და წინა აზიის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო ხდება“. ჟამკოჩიანის თქმით, სომხეთის სიძლიერე უკავშირდებოდა ასევე ქვეყნის საწარმოო ძალებს, ეკონომიკის განვითარებას. ხოლო ამ ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენებით ტიგრან დიდმა შეძლო ძლიერი ჯარის შექმნა. (ჟამკოჩიანი და სხვები, 1975, გვ. 118)

ტიგრან დიდზე მოვსეს ხორენაცი წერს შემდეგს: “ტიგრანის წყალობით განივრცო ჩვენი ქვეყნის საზღვრები იმდენად, რომ ძველ დროში მეტისთვის არ მიგვიღწევია“, „ქვეყანა მშვიდობიანობასა და აღმშენებლობას ეღირსა“. ხორენაცის ცნობით, მეფემ „თავისი ვაჟკაცობით განადიდა ჩვენი ერი“. „სომეხთა მეფემ შეჰყარა კაპადოკიელთა ჯარი, მთელი რჩეული მეომრეები ქართველთა და ალვანელთა, დიდი და მცირე

სომხეთის[1] საუკეთესო ლაშქარი უკლებრივ... დაიძრა მიდიელთა სანახებისაკენ.“ (ხორენაცი, 1984, გვ. 92)

გლინკა ყურადღებას ამახვილებს სომხეთის ტერიტორიის სიდიდეს. მის თანახმად, სომხეთს უძველეს პერიოდში შემდეგი საზღვრები ჰქონდა: იგი აღმოსავლეთში ესაზღვრებოდა დღევანდელ აზერბაიჯანს, კასპიის ზღვის ნაწილსა და შირვანის სახანოს ნაწილს; ჩრდილოეთში - საქართველოს, მდინარემტკვარს, ტრაბზონისა და ჩანიკის ფაშალიკებს; დასავლეთში - ანატოლიასა და მცირე აზიას; სამხრეთში - თურქულ ტერიტორიებს - ადანს, ალეპოს, ბირეჩიკს, ურფას, მუსულსა და სხვა რაიონებს. მთლიანობაში მისი ტერიტორია შეადგენდა „45000 კვ. მილს“. (Глинка, 1832, с. XI)

უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის გაძლიერების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა სომეხი ხალხის ჩამოყალიბების დასრულება და სომხური მიწების გაერთიანება ერთ სახელმწიფოში. ტერიტორიების გაერთიანებით კი, შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირების დამყარება, არამედ, ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებისაგან ჯარის შექმნა, რაც მას ერთ მუშტად შეკრულს ხდიდა. (ჟამკოჩიანი და სხვები, 1975, გვ. 119)

სომხური იდენტობის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს 301 წელს თრდატ III-ის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. დევიდ ლენგის, ასევე ბევრი სხვა ისტორიკოსის თანახმად, სომხეთი იყო პირველი, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა გრიგორ ლუსავორიჩმა. (Лэнг, 2004, с. 183)

აღსანიშნავია, რომ მე-5 საუკუნე ითვლება სომხების ოქროს ხანად. სწორედ მე-5 საუკუნეში მოღვაწეობდნენ ისეთი სომეხი ისტორიკოსები, როგორებიც არიან ფავსტოს ბუზანდაცი, მოვსეს ხორენაცი, ეღიშე, კორიუნი, ლაზარ პარპეცი. გლინკას თანახმად, სომხებისათვის მატიანე იყო წმინდა საგანი, რომელიც ინახებოდა ტაძრებში. (Глинка, 1832, с. 4) გარდა ამისა, სწორედ მე-5 საუკუნეში სპარსელების წინააღმდეგ იბრძოდა სომეხი სარდალი და ეროვნული გმირი - ვარდან მამიკონიანი. აღსანიშნავია, რომ ირანი სომხებს თავს ახვევდა თავის სახელმწიფო რელიგიას,

[1] გლინკას თანახმად, სომხეთი იყოფოდა დიდ და მცირე სომხეთად. დიდ სომხეთს გეოგრაფები თურქომანიას უწოდებდნენ. (Глинка, 1832, 10)

ზოროასტრიზმს, რის შედეგადაც ვარდან მამიკონიანმა დაიწყო ომი ქრისტიანობის დასაცავად, რომლის დროსაც იგი დაიღუპა. (Лэнг, 2004, с. 200)

უნდა აღინიშნოს, რომ სომხური კულტურისა და იდენტობის განვითარებაში გარდამტეხი როლი შეასრულა მე-5 საუკუნეში მესროპ მაშტოცის მიერ სომხური ანბანის შექმნამ. ხოლო ანბანის შექმნის შემდეგ, მაშტოცმა დაიწყო თარგმნის საქმე. ხორენაცის თანახამად, მაშტოცმა სომხურად თარგმნა 22 ცნობილი წიგნი, მათ შორის ახალი აღქმაც. (ხორენაცი, 1984, გვ. 223) რაც მთავარია, სომხური დამწერლობა გაფანტული სომხობის დამაკავშირებელ ძალად იქცა, აამაღლა ხალხის პოლიტიკური თვითშეგნება. ჟამკოჩიანის თქმით, სომხური დამწერლობისა და ლიტერატურის საჭიროება გაჩნდა სწორედ მე-5 საუკუნეში, როდესაც სომხები აღმოჩნდნენ ბიზანტიისა და სასანიდური ირანის ბატონობის უღელქვეშ და იბრძოდნენ ფიზიკური გადარჩენისათვის. (ჟამკოჩიანი და სხვები, 1975, გვ. 319)

აღსანიშნავია, რომ მე-4-მე-8 საუკუნეებში სომხეთში არსებობდა თეატრიც, ვითარდებოდა არქიტექტურა და მოქანდაკეობა, ხოლო მე-5 საუკუნიდან ითარგმნება ისეთი ფილოსოფოსების ნაშრომები, როგორებიც არიან არისტოტელე, პლატონი და სხვები. ამავე დროს, პოპულარობას პოულობენ მე-4 საუკუნის სომეხი ფილოსოფოსებიც, კერძოდ, ღევონდ ჰაიკაზნი და პარუირი. (ჟამკოჩიანი და სხვები, 1975, გვ. 332, 344) უდაოდ, ეს ყველაფერი სომხური კულტურისა და ეთნიკური თვითშეგნების განვითარებას უწყობდა ხელს.

აღსანიშნავია, რომ მე-7 საუკუნის შემდეგ გრძელდება სომხების ბრძოლა უცხო ბატონობის წინააღმდეგ. მე-7 საუკუნის 80-იან წლებში სომხები, ქართველები და „აღვანქის“ ტომები საერთო მტრის, არაბების, შემდეგ კი ხაზარების წინააღმდეგ იბრძოდნენ. (ჟამკოჩიანი და სხვები, 1975, გვ. 355) ხოლო მე-8 საუკუნიდან არაბები ახალ მიწებს იპყრობდნენ, რითაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდნენ ქრისტიან სომხებს, ისინი ანადგურებდნენ ქრისტიანულ ეკლესიებსა და სამღვდელოებას. ჟამკოჩიანის თანახმად, ამ პერიოდში ასევე ხდებოდა არაბების სომხეთის ტერიტორიაზე ჩასახლება, რაც ქვეყნის ეთნიკურ და ტერიტორიულ მთლიანობას არღვევდა. (ჟამკოჩიანი და სხვები, 1975, გვ. 365)

მე-9 საუკუნის სომხეთში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არწრუნისა და ბაგრატუნის სამეფო დინასტიის წარმომადგენლები. (Лэнг, 2004, с. 218) ჟამკოჩიანის

თანახმად, ბაგრატუნების პოლიტიკის მიზანი იყო ქვეყნის ძალების გაერთიანება და სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა. (ჟამკოჩიანი და სხვები, 1975, გვ. 416) 885 წელს ხალიფმა აბულ აბასმა სომხეთი დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადა, ხოლო აშოტ I ბაგრატუნი სამეფოს მეფედ აღიარა. დამოუკიდებლობა ასევე აღიარა ბიზანტიის იმპერატორმა და აშოტ ბაგრატუნის სამეფო გვირგვინი გაუგზავნა. უნდა ითქვას, რომ აშოტ I და მისი მემკვიდრეები ასევე აგრძელებენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას. (Лэнг, 2004, с. 229)

უკვე მე-11 საუკუნეში ბიზანტიამ ხელში ჩაიგდო დედაქალაქი ანისი და შეიერთა ანისის სამეფო. გაჩეჩილაძის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში კავკასიის სომხეთმა სახელმწიფოებრიობა 1045 წელს დაკარგა, სომხებში ჯერაც ცოცხალი იყო სახელმწიფოებრიობის იდეა. გაჩეჩილაძის თქმით, ამაში დიდ როლს ასრულებდა სომხეთის ეკლესია. (გაჩეჩილაძე, 2013, გვ. 134)

2.3. დიასპორა, როგორც სომხური ეროვნული იდენტობის მახასიათებელი

ზეკიანის თანახმად, შეუძლებელია სომხების ისტორიისა და იდენტობის გაგება, თუ უგულებელყოფილი იქნება ის არსებითი როლი, რომელმაც შეასრულეს მის განვითარებაში სომხურმა კოლონიებმა[2] და დიასპორამ. (Zekiyan, 1997, p. 23) სწორედ სომხურ დიასპორაში ყალიბდებოდა სომხური პოლიტიკური აზროვნება და სახელმწიფოს შექმნის გეგმები.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვერ აღწევდნენ კულტურულ დომინირებას, სომხები დიდ წარმატებებს აღწევდნენ მიმღებ საზოგადოებაში სხვადასხვა სფეროში. რაც მთავარია, ისინი ეკონომიკურად ძლიერები იყვნენ. (Zekiyan, 1997, p. 24) რაც მთავარია, სომხური იდენტობის ერთ-ერთი თავისებურება არის ის, რომ სომხები ახერხებდნენ ინტეგრაციას იმ საზოგადოებასთან, სადაც ცხოვრობდნენ, და ამავე დროს, „ჰქონდათ ძლიერი კავშირი თავიანთ ფესვებთან“, რაც მათ არ ავიწყებინებდა თავიანთ სამშობლოს. (Zekiyan, 1997, p. 25) გლინკას თანახმად,

[2]ცნება „სომხური კოლონიები“ განსხვავდება კოლონიაზე ცნობილი წარმოდგენისაგან, რომლის თანახმადაც ის წარმოადგენს პოლიტიკური და სამხედრო ძალით მოპოვებულ ტერიტორიებს.(Zekiyan, 1997, 24)

სომხები წარმოადგენენ გამონაკლისს იმ მხრივ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გაიფანტდნენ მსოფლიოში, შეძლეს თავიანთი თვისებების შენარჩუნება, რომელთა შორის არის „კანონიერი თავისუფლებისკენ მისწრაფება, გამომგონებლური გონება და ზომიერება“. (Глинка, 1832, с. 34)

ზეკიანი განიხილავს სომხების გაფანტვის რამდენიმე ფაზას. პირველი ასეთი მიგრაცია მოხდა დიდ სომხეთში სომხების ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ. მიგრაციის მეორე ტალღა, ზეკიანის თანახმად, დაიწყო კილიკიის სამეფოს დაცემის შემდეგ (1375 წ.). ხოლო სომხების გაფანტვის ბოლო ფაზა, რომელიც სომხების დიდი ხოცვა-ჟლეტის პერიოდში მოხდა, იყო ყველაზე რადიკალური ხასიათის, რადგან სომხური მოსახლეობა, რომელიც თავისი რაოდენიბით რამდენჯერმე აჭარბებს სომხეთის მოსახლეობას, დარჩა სამშობლოს საზღვრებს გარეთ და არ აქვს დაბრუნების შესაძლებლობა. (Zekiyan, 1997, p. 24)

აბრაჰამიანის თანახმად, მე-12-მე-17 საუკუნეებში, როდესაც სომხეთში შექმნილი მძიმე ვითარების შედეგად, სომეხ ხალხს არ გააჩნდა შესაძლებლობა, რომ კულტურის შესანარჩუნებლად და განსავითარებლად რაიმე ინიციატივა გამოეჩინა, სწორედ სომხური დიასპორა სომხური კულტურისა და იდენტობის დამცველად იქცა. (აბრაჰამიანი, 1964, გვ. 8)

აღსანიშნავია, რომ უკვე მე-16 საუკუნიდან სომხური დიასპორით დასახლებული ქალაქები მსოფლიოში სომხების კულტურისა და იდენტობის ცენტრებად იქცევა. ასეთ ცენტრებს წარმოადგენდნენ ისპაჰანი, მადრასი, კონსტანტინეპოლი, ამსტერდამი, ვენეცია და ბოლოს, თბილისი. ისტორიკოს ვლადიმირ ბარხუდარიანის თანახმად, საუკუნეების მანძილზე არსებობდა სომხური კოლონიები სომხეთის საზღვრებს გარეთ, და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „არსებობდა მათი კულტურული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცენტრები. სომხურ კოლონიებში სომხური კულტურა არა მხოლოდ შენარჩუნებული იყო, არამედ განვითარდა კიდევაც. სომხური თემები როგორც მიმღები ქვეყნის ისტორიის, ისე სომხური ერის ისტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ“. (Yepremyan and Tavitian, 2016, p. 20)

ეფრემიანი და თავითიანი აღნიშნავენ, რომ ევროპა იყო მნიშვნელოვანი ადგილი როგორც სომხური დიასპორისათვის, ისე ზოგადად, სომხური კულტურისათვის. ასე, მაგალითად, 1512 წელს ვენეციაში დაიბეჭდა პირველი წიგნი სომხურ ენაზე,

„ურბათაგირქი“. 1666 წელს ამსტერდამში დაიბეჭდა პირველი ბიბლია სომხურ ენაზე. ავტორები ამტკიცებენ, რომ ამ პერიოდში, ევროპის „ეკონომიკური დედაქალაქები“, ვენეცია და ამსტერდამი, ასევე იყვნენ დასავლეთში სომხური კულტურის კონკურენტი ცენტრები.“ (Yepremyan and Tavitian, 2016, p. 23)

ზეკიანის თანახმად, სომხურ სოციალურ და კულტურულ რეალობაში 1511-1512 წლებში ბეჭდვის ხელოვნების გაჩენა მოდერნულობის უპირველესი გამოხატულება იყო. ზეკიანი აღნიშნავს, რომ ვენეცია იყო მე-16 საუკუნის ბეჭდვის უდიდესი ცენტრი ევროპაში. სწორედ ამ მიზეზის გამო ავტორმა თავისი წიგნის ბეჭდვა ვენეციაში გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ 1567 წელს კონსტანტინეპოლში პირველი სრულიად სომხური ბეჭდური პრესა გამოვიდა, რომლის დამფუძნებელი აბგარი დპირი გახდა. (Zekiyan, 1997, p. 31-34)

ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ცვლილებები იყო ასახული სომხურ პრესასა და ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ სომხური მოდერნიზმის ისტორია იწყება მოგვიანებით, ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ევროპაში, დიდი როლი შეასრულეს სომხური კულტურის რენესანსისკენ მისწრაფებაში. (Zekiyan, 1997, pp. 37- 39)

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარი სომხური კაპიტალიზმის ბუმის პერიოდია.(Zekiyan, 1997, p. 36) უნდა აღინიშნოს, რომ სომხური კაპიტალი მოძრაობდა ძველი სამყაროს ყველა ნაწილში, კერძოდ, „ნოვგოროდიდან ჰაიდერაბადამდე, ისპაჰანიდან კრაკოვამდე, ბასორადან ასტრახანამდე, სინინიდან ამსტერდამამდე და ლონდონამდე და აფრიკის სხვადასხვა ნაწილამდეც კი.“ (Zekiyan, 1997, p. 42) ფილიპ კურტინის თანახმად, სომხები აზიაში ყველაზე წარმატებულ სავაჭრო ჯგუფს წარმოადგენდნენ. საყურადღებოა ზეკიანის აზრი იმის თაობაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ სომეხი ვაჭრები მიზნად ისახავდნენ მოგების მიღებას, მათი საქმიანიბა „წინააღმდეგობაში არ უნდა მოსულიყო ეთნიკურ კანონთან“, ე. ი. ქრისტიანულ ან ზოგადად, რელიგიურ ეთიკასთან. ასე, მაგალითად, ვაჭარ ღუკას ვანანდეცის წიგნი იწყება იესო ქრისტეს სიტყვებით: „ყველას მოექეცი ისე, როგორც გინდა რომ შენ მოგექცნენ“(მათე 7:12) (Zekiyan, 1997, p. 43)

უნდა აღინიშნოს, რომ სომხური დიასპორის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა მეფეების პოლიტიკა. გაჩეჩილაძის თანახმად, მე-17 საუკუნეში შაჰ აბას I-მა გადაასახლა

სომხები არაქსის ხეობიდან და არარატის დაბლობიდან სპარსეთის ქალაქებში ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარების მიზნით. ხოლო ჯულფის სომხები ახალ ჯულფაში(სომხ. „ნორ ჟუღა“) გადაასახლა. (გაჩეჩილაძე, 2013, გვ. 80) ახალ ჯულფაში წმინდა მხსნელის მონასტერის, თეოლოგიური აკადემიის, ბიბლიოთეკის, ბეჭდური მედიისა და ვაჭრების არსებობა იყო იმის დასტური, რომ ქალაქი სომხური კაპიტალის მნიშვნელოვანი ცენტრის როლს ასრულებდა. მეტიც, იგი იყო სომხური ვაჭრობის მთავარი ცენტრი მსოფლიოში მე-17 საუკუნეში. (Zekiyan, 1997, p. 47) ის იყო არა მარტო კომერციული, არამედ სომხების კულტურის ერთ-ერთი ცენტრი.

რაც მთავარია, მე-16 საუკუნეში წიგნების ბეჭდვა უკვე აღარ არის მონოპოლიური საქმე, არამედ ამ საქმეს ცალკეული პირებიც უდგებოდნენ, რაც ეკონომიკური საწარმოს სახეს იძენდა. უნდა ითქვას, რომ გამოცემების მთავარი ადრესატები იყვნენ კომერსანტები. (Zekiyan, 1997, p. 35) აღსანიშნავია, რომ კონსტანტინეპოლი, ამსტერდამი, ლივონრო და მარსელი ასევე იყვნენ ბეჭდვის დიდი ცენტრები. უკვე მე-17 საუკუნის ბოლოს ძმები ვანანდეციების მიერ გამოცემული იყო პირველი მსოფლიო რუკა სომხურ ენაზე. რუკა პირველ რიგში, შექმნილი იყო სომეხი ვაჭრებისათვის. გარდა ამისა, ამსტერდამში ასევე გამოიცა მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“(1695 წ.) და არაქელ დავრიჟეცის „ისტორია“(1669 წ.). (Zekiyan, 1997, pp. 47-48)

მე-18 საუკუნის მნიშვნელოვანი ფაქტორი სომხური კულტურის განვითარებაში იყო მხითარ სებასტაცის მოღვაწეობა. სწორედ მხითარმა შექმნა მხითარისტების[3] ორდენი. უნდა აღინიშნოს, რომ მხითარისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეროვნული ერთიანობა. (Zekiyan, 1997, p. 51, 54) როგორც აღნიშნავს აბრაჰამიანი, მხითარისტებს ბევრი დაბრკოლებისა და დევნის შემდეგ საშუალება მიეცათ დაფუძნებულიყვნენ წმინდა ლაზარეს კუნძულზე. რაც მთავარია, ვენეციაში მათ დააარსეს ლიტერატურული წრე, რომლის საქმიანობას წარმოადგენდა როგორც ახალი ნაშრომების შექმნა, ასევე მრავალი არსებული ნაშრომის თარგმნა. მათ ასევე დიდი როლი შეასრულეს სომხური ენისა და ხელნაწერების შენარჩუნებაში. გარდა ამისა, მხითარისტები ძველ სომხურ ლიტერატურას თარგმნიდნენ

[3]მხითარისტები წარმოადგენენ სომხური კათოლიკური ეკლესიის ბენედიქტინელი ბერების კონგრეგაციას, რომელიც 1717 წელს შექმნა მხითარმა სებასტეციმ.

ევროპელებისათვის სომხური კულტურისა და ისტორიის გასაცნობად და პირიქით, თარგმნიდნენ ევროპულ ნაშრომებს სომხებისათვის. (აბრაჰამიანი, 1964, გვ. 301-303) უნდა ითქვას, რომ სომხური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, თეატრი, ასევე განვითარდა დიასპორაში. ასე, პირველი წარმოდგენები სომხურ ენაზე გაიმართა ლვოვში 1668 წელს. ხოლო თვითონ სომხური თეატრი თავისი მოქმედება დაიწყო ვენეციაში, მხითარისტების მონასტერში 1730 წელს. (Zekiyan, 1997, pp. 60-61) ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სომხები მადრასში ცდილობდნენ სომხური პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებას და ამ მიზნის მიღწევის საშუალებას ხედავდნენ სომხური გაზეთების შექმნაში. სწორედ მადრასში შეიქმნა პირველი სომხური პერიოდული გამოცემა. ჰქონდათ რა კავშირი ინგლისურ განმანათლებლობასთან, ინდოეთის სომხები ეძებდნენ სახელმწიფოს შექმნის გზას. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ მოძრაობაში ჩართულები იყვნენ როგორც ვაჭრები, მბეჭდავები, ისე სამღვდელოება და მწერლები. ზეკიანი პოლიტიკური მოძრაობის ნაწილად განიხილავს 1772-1773 წლებში დაბეჭდილ ორ წიგნს, რომლებშიც იოსებ ემინისა და მოვსეს ბაღრამიანის მიერ ასახული იყო გასხვავებული იდეოლოგიები და ორიენტაციები. თითოეულ ამ ავტორს თავისი ხედვა ჰქონდა სომხური სახელმწიფოს შექმნაზე. პირველი მათგანი თვლიდა, რომ სომხური სამეფო უნდა შეიქმნას ქართულ სამეფოსთან კოალიციაში რუსული პროტექტორატის ქვეშ. (Zekiyan, 1997, p. 63)

მეორე წიგნის ავტორი, ბაღრამიანი აკეთებს რა სომხეთის ისტორიულ და გეოგრაფიულ მიმოხილვას, ამის საფუძველზე მიდის დასკვნამდე, რომ მონარქიის ძალაუფლების ქვეშ ყოფნამ, „ერთიანობის, ინდუსტრიისა და ინტელექტუალების არარსებობამ გამოიწვია სომხური სამეფოს დაცემა“. ბაღრამიანი მოუწოდებს ახალი სახელმწიფოს შექმნისკენ, რომელსაც რესპუბლიკური კონსტიტუცია ექნება. მეტიც, მოგვიანებით დაიბეჭდა წიგნი, რომელიც წარმოადნენდა კონსტიტუციას მომავალი სომხეთისათვის. უნდა ითქვას, რომ მასზე გავლენა მოახდინა ისეთი ფილოსოფოსების მოსაზრებებმა, როგორებიც არიან ლოკი და მონტესკიე. (Zekiyan, 1997, p. 64) მიუხედავად იმისა, რომ მათი იდეები არ განხორციელდა, ამ ორი ავტორის ნაშრომებმა აჩვენა, რომ სომხური დიასპორის ინტელექტუალების წყალობით, სომხების პოლიტიკურ აზროვნებაში შევიდა ევროპული პოლიტიკური აზროვნების ელემენტები. (Zekiyan, 1997, p. 65)

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პირველი სომხური პერიოდული გამოცემის, „აზდარარის“ (მადრასი, 1793 წ.) მიზანი იყო „მასამდე კულტურის მიტანა, მასობრივი განათლების სტანდარტების ჩამოყალიბება“. (Zekiyan, 1997, p. 65) ხოლო თანამედროვე სომხურ ენაზე პერიოდული გამოცემები გამოვიდა ვენეციაში, რომლის შემდეგადაც დიასპორის მიერ გავრცელებულ იქნა კონსტანტინეპოლში. ასე, მაგალითად, 1843 წელს ვენეციაში გამოვიდა ჟურნალი „ბაზმავეპი“, რომელიც თავიდან სახალხო განათლების გამოცემა იყო, შემდგომში კი, არმენოლოგიური პერიოდული ჟურნალი გახდა. (Zekiyan, 1997, p. 66)

ზეკიანის თანახმად, სწორედ პრესის განვითარებამ ხელი შეუწყო თანამედროვე სომხური ენის, როგორც ერთადერთი სალიტერატურო ენის დამტკიცებას, რაც არის სომხების დაახლოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება. რაც მთავარია, შესაძლებელი გახდა ევროპაში მომხდარი მოვლენების სომხებისათვის გადაცემა. ახალგაზრდა ინტელექტუალები, რომლებიც უცხო ენაზე კითხულობდნენ პრესას, იმავე თემებს სომხურ პრესაში განიხილავდნენ კონსტანტინეპოლში. შესაბამისად, ამ სტატიებს კითხულობდნენ ანატოლიის სომხებიც. (Zekiyan, 1997, p. 73) გარდა ამისა, გამოღვიძების პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილება იყო სკოლების გახსნა ყველასთვის, მათ შორის უბრალო ხალხისათვის. ზეკიანის თანახმად, მე-19 საუკუნის ბოლოს „ოსმალეთის იმპერიის სომხურ სკოლებში სწავლობდა 200 000-ზე მეტი მოსწავლე, რაც შეადგენდა მთელი მოსახლეობის 10 %-ს“. (Zekiyan, 1997, p. 71)

უნდა ითქვას, რომ სომხურმა დიასპორამ დიდი როლი შეასრულა სომხური საზოგადოების სეკულარიზაციაში. უნდა აღინიშნოს, რომ სომხების შემთხვევა განსხვავდება სეკულარიზაციისგან ევროპის ქვეყნებში, სადაც გავრცელებული იყო ძლიერი ანტირელიგიური განწყობები. სომხეთში ეკლესიამ თავის მიზნად დაისახა სომხების, როგორც ერთობის გადარჩენა. სწორედ ეკლესია ყოველთვის იყო ის ძალა, რომელიც „სომხურ კოლექტიურ მეხსიერებაში იყო ეროვნული იდენტობის ამოსავალი წერტილი“. შესაბამისად, სრული სეკულარიზაცია არ იქნა მიღწეული. ეს განპირობებული იყო იმით, რომ სომხური საზოგადოების ცხოვრებაში ეკლესია განსაკუთრებულ როლს ასრულებდა - მას კულტურული აღორძინებისათვის უნდა შეეწყო ხელი. (Zekiyan, 1997, pp. 68-70) ზეკიანის თანახმად, სეკულარიზაციის ერთ-ერთი ნიშანი იყო ქალთა ემანსიპაცია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ თუ

ტრადიციულად გოგონას 18 წლის ასაკში ათხოვებდნენ, გამოღვიძების პერიოდში მშობლები შვილებს განათლებას აძლევდნენ. (Zekiyan, 1997, p. 74) როგორც აღნიშნავს ავტორი, „სომხური კულტურა, ხელოვნება და სხვა სფეროები ვითარდებოდა სომხეთის ტერიტორიის გარეთ, უცხო მიწებზე“. ზეკიანი, როგორც ბევრი სხვა მკვლევარი, სომხურ კულტურას „კოსმოპოლიტურს“ უწოდებს. (Zekiyan, 1997, pp. 86-87)

ზემოთ აღნიშნული სომხური კოლონიებისგან განსხვავებით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სომხური კულტურისა და დიასპორის ცენტრი - საქართველო - უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა სომხებისათვის როგორც ეკონომიკური, ასევე კულტურული, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ სომხების ყველაზე დიდი კოლონია საქართველოში იყო თბილისში. აბრაჰამიანის თანახმად, მე-13 საუკუნის მოგზაური, მარკო პოლო თავის სამოგზაურო წიგნში შემდეგნაირად აღწერს თბილისს: „ამ ქვეყანაში არის მშვენიერი, დიდი ზომის ქალაქი, რომელსაც თიფლისი ჰქვია... მისი მაცხოვრებლები არიან ქრისტიანები, ქართველები და სომხები. აქ ასევე ცხოვრობენ მცირე რაოდენობით ებრაელები და სარკინოზები.“ (აბრაჰამიანი, 1964, გვ. 105) შესაბამისად, მარკო პოლომ ახსენა სომხები, როგორც ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი თბილისში.

უნდა აღინიშნოს, რომ სომხური დიასპორა თბილისში განსაკუთრებით აქტიურდება მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ასევე აქტიურდება მათი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უპირატესობის შესახებ კოლექტიური მეხსიერება. ამ პერიოდში თბილისში დომინირებდა სომხური სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალი, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო ეროვნული განათლების საქმეს. (ვარდანიანი, 2002, გვ. 73, 75)

რონალდ სიუნის თანახმად, თბილისში იყო კონცენტრირებული ძლიერი სომხური ბურჟუაზია. „ყველაზე მდიდარი სომხები - არზუმანოვები, ავეტისიანები და მანთაშევები ნავთობის ინდუსტრიაში; ადელხანოვები - ტყავის მრეწველობაში; თუმანიანები, კევორქოვები, ავეტისოვები და პიტოევები ვაჭრობაში“ და სხვები ერთიანდებოდნენ საერთო სააქციონერო საზოგადოებებში, რათა შეენარჩუნებინათ პირველობა. (Suny, 1994, p. 118) სწორედ თბილისში მოღვაწეობდნენ ცნობილი სომეხი მწერლები - ჰოვანეს თუმანიანი, რაფი, ნარ-დოსი და სხვები. თბილისში

კონცენტრირებული იყო სომხური პოლიტიკური ელიტა და ინტელექტუალები, არსებობდა სომხურენოვანი პრესა.

2.4. რუსეთის იმპერია, როგორც სომხური იდენტობის ჩამოყალიბების მთავარი ცენტრი

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერია იყო სომხური დიასპორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი და ამავე დროს, სომხური ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების მთავარი ცენტრი. გარდა ამისა, სწორედ რუსეთის იმპერიაში მოხდა სომხების დიდი ნაწილის გაერთიანება ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, როდესაც აღმოსავლეთ სომხეთი და კავკასიის სხვა ტერიტორიები შევიდა იმპერიის შემადგენლობაში. ამან შესაძლებლობა მისცა სომხურ დიასპორას ებრძოლათ ავტონომიის შექმნისკენ.

აბრაჰამიანის თანახმად, რუსეთის იმპერიაში სომხების ყველაზე მასობრივი მიგრაცია მოხდა მე-18 საუკუნის 30-40-იან წლებში, როდესაც მათ სპარსეთი დევნიდა. შედეგად, სომხებმა თავშესაფარი რუსეთში ნახეს. უკვე 1723 წელს პეტრე I-მა გასცა ბრძანება, რომლითაც სომხებს შესაძლებლობას აძლევდა დასახლებულიყვნენ შემდეგ ქალაქებში: გილანი, მაზანდარანი, ბაქო და დერბენტი. აღსანიშნავია, რომ მე-18 საუკუნეში რუსეთის იმპერიაში იმდენი სოხეხი ცხოვრობდა, რომ საჭირო გახდა სომხური ეკლესიის ეპარქიის შექმნა. (აბრაჰამიანი, 1964, გვ. 371-375)

თუმცა, უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მომდევნო საუკუნეში სომხების მასობრივი მიგრაციას რუსეთის იმპერიაში, რაც განპირობებული იყო საფრთხით, რომელიც მომდინარეობდა ირანიდან. რაც მთავარია, აღმოსავლეთ სომხეთის რუსეთის იმპერიაში შესვლამ განაპირობა რუსეთის იმპერიის სომხური ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების ცენტრად ქცევა. პარსამიანის თანახმად, 1828 წლის 10 თებერვალს თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების დადებით დასრულდა რუსეთ-ირანის ომი. ამ ხელშეკრულების საფუძველზე, ერევნისა და ნახჭევანის სახანოები კავკასიის ტერიტორიებთან ერთად შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. სწორედ ამ საზავო ხელშეკრულებით

აღმოსავლეთი სომხეთი გათავისუფლდა „ირანის ხანების უღელისგან“, რასაც, პარსამიანის თქმით, „უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სომეხი ხალხისათვის“. (პარსამიანი და ჰარუთინიანი, 1979, გვ. 37, 38; Агаян, 1978, с. 447)

აღსანიშნავია, რომ იმავე წელს იწყება ირანის სომხების მიგრაცია რუსეთის იმპერიაში, აღმოსავლეთ სომხეთში. პარსამიანის თანახმად, ამის მიზეზი იყო „თურქული და ირანული ასიმილაციის პოლიტიკა, სომხეთის სომხებისგან გაწმენდა, ხოლო მათ მაგივრად თურქების, სპარსელების და სხვა მუსლიმანების გადმოსახლება, „მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი ხალხის ასიმილაცია“. (პარსამიანი, ჰარუთინიანი, 1979, გვ. 38)

ჰარუთიანიანისა და პარსამიანის თანახმად, უკვე 1828 წლის გაზაფხულზე დაახლოებით 50 000 სომეხი თავრიზის, მაკუის, სალმასტის, ურმიას, არდაბილის რაიონებიდან გადადის აღმოსავლეთ სომხეთში. (პარსამიანი, ჰარუთინიანი, 1979, გვ. 39) ირანის ბატონობის ქვეშ მყოფ სომხებს მიეცა რუსეთის იმპერიაში მიგრაციის შესაძლებლობა, ამავე დროს მათ შეეძლოთ გაეყიდათ უძრავი ქონება ირანში, ხოლო მოძრავი ქონება წაეღოთ. (Агаян, 1978, с. 451)

საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ დევნილების გადმოსახლება უნდა მომხდარიყო მათი საქმიანობის შესაბამისად. ასე, მაგალითად, ვაჭრები უნდა დაესახლებინათ ქალაქებში. უნდა აღინიშნოს, რომ დევნილებს მიეცა გარკვეული შეღავათებიც: ისინი თავისუფლდებოდნენ გადასახადებისგან 6 წლის ვადით. (პარსამიანი, ჰარუთინიანი, 1979, გვ. 40; Агаян, 1978, с. 479)

აღმოსავლეთ სომხეთის რუსეთის იმპერიასთან შეერთების ისტორიულ მნიშვნელობაზე საუბრისას, პარსამიანი აღნიშნავს, რომ ერევნისა და ნახჭევანის სახანოების გაერთიანებით შექმნილი სომხური ოლქი გახდა სომხების ყველაზე მტკიცე ცენტრი. რუსეთის ბატონობის ქვეშ „შეიქმნა ახალი კერა სომხების ცხოვრების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის“. ერევნისა და ნახჭევანის სახანოები ოფიციალურად სომხურ რეგიონებად გამოცხადდა. როდესაც რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე სომხები აქ წარმოადგენდნენ უმცირესობას, მიგრაციის შედეგად მეტად გაიზარდა მათი რიცხვი. (პარსამიანი, ჰარუთინიანი, 1979, გვ. 55-56)

სარგსიანი ასევე აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ სომხეთის რუსეთის იმპერიის მიერ შემოერთებამ პროგრესიული როლი შეასრულა სომხების ცხოვრების პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში. „აღმოსავლეთ სომხეთი გახდა სომხების შეკრების, შემდგომ კი, სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის ცენტრი. ამავე დროს, სარგსიანი და სხვები აღნიშნავენ, რომ რადგან რუსეთის იმპერია ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ამან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ სომხეთის განვითარებაზე. ასობით სომეხი ახალგაზრდა სწავლობდა რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო დაწესებულებებში. (სარგსიანი, ჰაკობიანი, 2004, გვ. 148, 149)

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, სომხებმა მიზნად დაისახეს ავტონომიის შექმნა. ჰარუთინიანისა და პარსამიანის თანახმად, სომხეთის ავტონომიის პროექტი „ისტორიული მნიშვნელობის საბუთია, რომელიც აჩვენებს თუ როგორ ცოცხლობდა სომეხ ხალხში საუკუნეების წინ დაკარგული პოლიტიკური დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის აღდგენისკენ მისწრაფება“. აღნიშნული პროექტი, როგორც ასევე „მე-18 საუკუნის პროექტი სომხური სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების, სომხური კანონისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გვერდია“. (პარსამიანი, ჰარუთინიანი, 1979, გვ. 61)

როგორც აღნიშნავს აგაიანი, სომხებისთვის განსაკუთრებით სასიხარულო ამბავი იყო 1828 წლის 21 მარტს სომხური ოლქის შექმნა. (Агаян, 1978, с. 9) აღმოსავლეთ სომხეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, მზადდებოდა პროექტი, რომლის თანახმადაც სომხურ მოსახლეობას ეძლეოდა შიდა ავტონომია. შესაბამისად, სომხური ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას ექნებოდა თვითმმართველობა სასამართლო და საგადასახადო, ვაჭრობის სფეროებში და რაც მთავარია, ეს ასევე შეეხებოდა ეკლესიის საქმიანობას. ლაზარევის თანახმად, საჭირო იყო, რომ „ეჩმიაწინის სომხური მონასტერის გავლენა და ნდობა ყოფილიყო ხელშეუხებელი, რათა არ მომხდარიყო სომეხი ხალხის გაყოფა“. აქედან გამომდინარე, არ უნდა მომხდარიყო სომხების დაშორება მათი სულიერი ცენტრისაგან. (Агаян, 1978, с. 11)

უნდა ითქვას, რომ სომხების ძალისხმევის მიუხედავად, ავტონომიის შექმნის გეგმა არ იყო მოწონებული და სომხების მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული ნიკოლაი I-ის მიერ. შედეგად, 1828 წლის მარტში მან გასცა ბრძანება სომხეთის ოლქის შექმნის

შესახებ. (პარსამიანი, ჰარუთინიანი, 1979, გვ. 62) გლინკა სომხურ ოლქზე საუბრისას, აღნიშნავს, რომ 1828 წლის მარტში „ძველი სომხეთის სახელი აღსდგა ყოფილ სპარსულ - ერევნისა და ნახჭევანის სახანოებში, იგი აღსდგა სომხურ ოლქში“. (Глинка, 1832, с. 21) საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ სომხური ოლქის გერბზე, ქვემოთ გამოსახული იყო მასისი, სომხური გვირგვინი, არარატის ველი, ეჩმიაწინი, ხოლო ზემოთ, რუსეთის სიმბოლო - ორთავიანი არწივი და გვირგვინი. თუმცა, როგორც აღნიშნავს პარსამიანი, რეალურად სომხურ ოლქში „სომხეთის დამოუკიდებელი მთავრობის კვალიც კი არ არსებობდა“. (პარსამიანი, ჰარუთინიანი, 1979, გვ. 63)

აგაიანის თანახმად, აღმოსავლეთ სომხეთი უნდა შესულიყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და აღდგენილიყო ისტორიული სომხეთის ვრცელ ტერიტორიაზე. რაც მთავარია, აგაიანს მიაჩნია, რომ მოცემული პროექტები მიზნად ისახავდა სომხების ეროვნულ კონსოლიდაციას. აღსანიშნავია ნერსეს აშტარაკეცის[4] მოწოდება სპარსეთის სომხებს დაბრუნებულიყვნენ თავიანთი წინაპრების მამულში. სწორედ სომხების რიცხვის ზრდაში ხედავდა აშტარაკეცი სამშობლოს გადარჩენას. აშტარაკეცი მიიჩნევდა, რომ დადგა შესაფერისი დრო, როდესაც სომხებმა, თუ სურთ ბრძნულად მოიქცნენ, უნდა დასახლდნენ დიდი სომხეთის- არარატის ქვეყნის ტერიტორიაზე, „მიაღწიონ ადრინდელ დიდებას... დატკბნენ სიყარულთა და სიმშვიდით“. (Агаян, 1978, с. 12) აგაიანის თქმით, „140 000 სომხის სპარსეთიდან და თურქეთიდან გადასახლება ხელს უწყობდა სომხური ერის კონსოლიდაციას“. (Агаян, 1978, с. 13)

რაც შეეხება ეკლესიის ფაქტორს რუსეთის იმპერიაში, უნდა აღინიშნოს, რომ სომხური სამღვდელოება დიდი ხნის განმავლობაში, განსაკუთრებით კი სომხური სახელმწიფოს დაცემის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში. პარსამიანის თანახმად, როდესაც არ არსებობდა ეროვნული სახელმწიფო, თურქეთისა და ირანის ბატონობის მძიმე პირობებში სომხური ეკლესია დიდ გავლენას ახდენდა სომეხ ხალხზე, მეტიც, სამღვდელოება პოლიტიკური საქმეებით დაკავდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთი სომხეთის რუსეთის

[4] ნერსეს აშტარაკეცი(1771-1857) იყო სომხური ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე, ხოლო 1814-1828 წლებში სომხური ეპარქიის არქიეპისკოპოსი საქართველოში. აღმოსავლეთ სომხეთის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ დანიშნული იყო პირველის დროებითი მმართველობის უფროსად. (Агаян, 617)

იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, ცარისტულმა რეჟიმმა არ დაუშვა, რომ სომხური ეკლესია ჩარეულიყო პოლიტიკურ საქმეებში. (პარსამიანი, ჰარუთინიანი, 1979, გვ. 66)

გაჩეჩილაძის თანახმად, უკვე მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერია ეჭვის თვალით უყურებდა სომხებს, რომლებიც ამ პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდნენ. პეტერბურგს არ აწყობდა სომხების ნაციონალური იდეა, რადგან იგი საფრთხეს უქმნიდა იმპერიას. (გაჩეჩილაძე, 2013, გვ. 81)

3. საქართველო, როგორც სომხური ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი

როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, საქართველო ყველაზე ხელსაყრელი ადგილი აღმოჩნდა სომხური დიასპორისათვის და ზოგადად, სომეხი ხალხისათვის კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. რაც მთავარია, საქართველო გახდა სომხური ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. ამ საკითხის განხილვა არის მიზაშეწონილი, რამდენადაც ისტორიული გამოცდილებიდან და ქართველებთან ხანგრძლივი თანაცხოვრება განაპირობებდა საქართველოში მცხოვრები სომხების დამოკიდებულებას როგორც ქართველებისადმი, ასევე საქართველოსადმი. ამავე დროს, საქართველოს, და განსაკუთრებით, თბილისის მნიშვნელობა არა მხოლოდ სომხური კულტურის განვითარებისათვის, არამედ სომხების ეკონომიკური გაძლიერებისათვის. სწორედ ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით მომავალ თავებში არის განხილული სომხების რეაქცია თბილისის საქართველოს დედაქალაქად არჩევაზე.

3.1. სომხების დასახლება საქართველოში - ისტორიული ანალიზი

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ისტორიული წყაროების თანახმად, სომხები საქართველოში ჯერ კიდევ ანტიკურ ხანებში ცხოვრობდნენ. გურამ მაისურაძის თქმით, არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულად როდის გაჩნდა საქართველოში სომხური მოსახლეობა. ავტორთა ნაწილის თანახმად, საქართველოს სოხმების ისტორია იწყება ჯერ კიდევ ძვ. წ. ა. IV-III საუკუნეებამდე. გარდა ამისა, სომხები ნახსენები არიან„ნინოს ცხოვრებაში“. (მაისურაძე, 1999, გვ. 13) უნდა ითქვას, რომ ძვ. წ. II-I საუკუნეებში სომხეთი განსაკუთრებით ძლიერი იყო და იბერიის ტერიტორიების ნაწილიც შემოიერთა. თუმცა მომდევნო საუკუნეში ქართლი იბრუნებს ამ ტერიტორიებს და უფრო სამხრეთითაც მიდის. მაისურაძეს მიაჩნია, რომ სწორედ ამ სასაზღვრო ცვლილებებმა განაპირობა მტკვარსა და არაქსს შორის ტერიტორიაზე შერეული (ქართული და სომხური) მოსახლეობის გაჩენა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ამ მდინარეებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვაჭრობის განვითარებისათვის. (მაისურაძე, 1999, გვ. 14) ავტორი აღნიშნავს, რომ მე-5 საუკუნეში არსებობდა შერეული დასახლება ქართლის სამხრეთ ნაწილში. ხოლო

სომხების რიცხვის ზრდა, ავტორის თქმით, განპირობებული იყო ირანისგან მომავალი საფრთხით. (მაისურაძე, 1999, გვ. 15)

შოთა და ოთარ თეთვაძეები სომხების საქართველოში დასახლების რამდენიმე ეტაპს გამოყოფენ. მათი აზრით, პირველ ატაპად უნდა ჩაითვალოს მე-6-მე-14 საუკუნეები. აღნიშნული პერიოდის გადმოსახლებების მიზეზი იყო ის, რომ სომხები ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე იდგნენ. დავით აღმაშენებლის მმართველობის პერიოდში ხდება თურქ-სელჯუკების ბატონობის ქვეშ მყოფი სომხების გადმოსახლება საქართველოში. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 11) მეორე ეტაპი, ავტორების თანახმად, არის მე-15-მე-18 საუკუნეები. წინა პერიოდისაგან განსხვავებით, ამ ეტაპზე საქართველოში სომხების გადმოსახლებას სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც მიზნად ისახებოდა სომხური მოსახლეობის საქართველოში მოზიდვა, რათა განვითარებულიყო ვაჭრობა და ხელოსნობა. მესამე ეტაპი მე-18 საუკუნის ბოლოდან მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე პერიოდს მოიცავს. უნდა ითქვას, რომ ერეკლე I-ის მმართველობის პერიოდში, როდესაც კართლ-კახეთი რუსეთის იმპერიას თავის შემადგენლობაში შეჰყავს, სომხური მოსახლეობა საქართველოში კომპაქტურად სახლდება. თეთვაძეების თანახმად, თბილისში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სომხების მასობრივი გადასახლება იყო იმპერიული რუსეთის პოლიტიკა. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 12)

საქართველოში პირველ სომხურ კოლონიაზე საუბრობს სოხეხი ისტორიკოსი უხტანესი. საუბრობს რა მე-7 საუკუნეში ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის განხეთქილებაზე, ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში ცურტავში არსებობდა პატარა სომხური კოლონია. ამას ადასტურებს წერილები, რომელიც გაგზავნილი იყო ცურტავის სომხებისათვის. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 93) აბრაჰამიანის თანახმად, საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სომხური კოლონია იყო თბილისში. 1251 წელს სომხური ეკლესია აშენდა სომეხ შეძლებულ ვაჭარ უმეკის მიერ. ხოლო ეკლესიის არსებობა მიანიშნებს იმაზე, რომ თბილისში არსებობდა სომხური თემი. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 94)

სომხების მომდევნო მიგრაცია საქართველოში მოხდა 774 წელს. აბრაჰამიანის თანახმად, ქართულ სახელმწიფოში სომეხ დევნილებს თბილად ხვდებიან. მეტიც,

სომეხ ნახარარ არტავაზდ მამიკონიანს მმართველობის უფლებას აძლევენ. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 95)

უნდა აღინიშნოს, რომ სომხების მიგრაცია საქართველოში მასობრივ ხასიათს იღებს სომხეთის დედაქალაქ ანისის ბიზანტიელების მიერ დაპყრობის შემდეგაც. ამ პერიოდში იზრდება სომხური კოლონიები დმანისში, სამშვილდესა და თბილისში. (ჰოვანისიანი, 1957, გვ. 141) ქართლში სომხების მიგრაციის ახალი ტალღა მოდის მე-9 და მე-10 საუკუნეების მიჯნაზე და გრძელდება მე-10 საუკუნეშიც. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 15)

აბრაჰამიანის თანახმად, მე-12 საუკუნის ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებლის გარშემო იკრიბება სომხური სამხედრო ძალები, რომლებიც გაფანტულნი იყვნენ. დავით აღმაშენებლის მეთაურობით ისინი მონაწილეობენ ამიერკავკასიის სელჯუკებისაგან განთავისუფლების საქმეში. მეტიც, როგორც აღნიშნავს ურჰაეცი, დავით აღმაშენებელმა სომხებისათვის ააშენა ქალაქი, რომლის სახელად „გორა“(გორი) აირჩია. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 97)

აღსანიშნავია, რომ უკვე მე-12 საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს სომხური მოსახლეობა იმდენად იზრდება, რომ საჭირო ხდება სომხური ეკლესიის ეპარქიის დაარსება. შედეგად, ეპარქიის ცენტრად არჩეულ იქნა ქალაქი თბილისი. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 97) თეთვაძეების თანახმად, 1629 წლის ერთ-ერთ სომხურ ხელნაწერში თბილისს „სომხების ქალაქს“ უწოდებენ. ავტორების თქმით, ამის მიზეზი იყო ის, რომ „თბილისში ბევრი სომეხი ცხოვრობდა, ხოლო სომხური სახელმწიფო არც ისტორიულ სომხეთში, არც სხვაგან არ არსებობდა“. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 15)

საქართველოში სომხურ დასახლებებზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს სხვა ქართველი მეფეების დამოკიდებულება სომხებისადმი. ასე, მაგალითად, მეფე თამარმა ორ სომეხ მთავარს ზაქარია და ივანე მხარგრძელებს მისცა თანამდებობა. პირველი მათგანი გახდა ამირსპასალარი, ხოლო მეორე - ათაბაგი. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 98; Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 21) აბრაჰამიანის თქმით, ძმები ივანე და ზაქარია არ არიან ერთადერთი სომეხი მთავრები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს საქართველოს ისტორიაში. ვაჰრამ ფაჰლავუნი, რომელიც იყო მხედართმთავარი თამარ მეფის მმართველობამდე საუკუნე ნახევრით ადრე, ასევე იყო წარმატებული

სამხედრო პირი, „რომელზეც ქართველი ჯარი მღეროდა სიმღერებს, როგორც ნახევრად ღმერთზე“. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 99)

მეორე მხრივ, თეთვაძეები აღნიშნავენ იმასაც, რომ ქართული სახელმწიფო მიზნად ისახავდა სომხების გადასვლას მართლმადიდებლობაზე. თუმცა, სომხების „გაქართველება“ არ იყო ადვილი, რამდენადაც „დიდი ისტორიისა და მაღალი კულტურის მქონე სომხებს მაგ პერიოდისათვის მკვეთრად გამოხატული ეროვნულ-რელიგიური სახე ჰქონდათ“. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 20)

აღსანიშნავია, რომ სომხების მიგრაცია საქართველოში გრძელდება მონღოლების მიერ სომხეთის დაპყრობის შემდეგ. უნდა ითქვას, რომ სომხური მოსახლეობა ამ პერიოდშიც თავისი სამშობლოს გათავისუფლების იმედს ამყარებდა ბაგრატიონებზე. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 99)

უნდა ითქვას, რომ სომხების მასობრივი მიგრაცია მოხდა მე-13-მე-14 საუკუნეებშიც, როდესაც სომხური მიწები დაპყრობილ იქნა. მაისურაძის თქმით, ამის შედეგად სომხები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ სახლები და გადასულიყვნენ როგორც მეზობელ ქვეყნებში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. უკვე მე-16 საუკუნეში სომხებს ჰქონდათ კოლოლიები თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სადაც თავიანთი „ეროვნული არსებობის კერები“ გადაიტანეს. თუმცა, საქართველო განსაკუთრებულ ადგილს წარმოადგენდა სომხებისათვის. მაისურაძის თანახმად, სომხების ქართველებთან ხანგრძლივმა თანაცხოვრებამ ხელი შეუწყო ამ ხალხისადმი[ქართველებისადმი] ნდობას. (მაისურაძე, 1982, გვ. 124, 125)

მე-15-მე-17 საუკუნეებში, როდესაც ხდება საქართველოს დაქუცმაცება პატარა პოლიტიკურ ერთეულებზე და სპარსეთ-თურქეთის უღლის ქვეშ ექცევა, უარესდება სომეხი ემიგრანტების მდგომარეობა. ამას ემატება მრავალი სხვა უბედურება, რომელიც მე-15 საუკუნიდან საქართველოს დაატყდა თავს: ხოცვა, ძარცვა, ბავშვების მონად წაყვანა, მძიმე გადასახადები და სხვა. ამ პერიოდში აღსანიშნავია სომხების დამოკიდებულება მოძმე ქართველებისადმი. ისტორიკოს თომა მეწაფეცის თანახმად, 1416 წელს, როდესაც უზუნ ჰასანი საქართველოდან ბევრი ტყვე წაიყვანა და სომხეთის გავლით ბრუნდებოდა, სომხური მოსახლეობა ყველანაირად ცდილობდა ტყვეობაში აღმოჩენილი ქართველების გათავისუფლებას: ქალები აძლევდნენ თავიანთ სამკაულებს, კაცები კი, საქონელს. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 101-102)

უნდა აღინიშნოს, რომ სომხების საქართველოში მიგრაცია გამოიწვეული იყო იმითაც, რომ საქართველოს ძალით წაართვეს სომხური მიწები. შედეგად, მასობრივი გადმოსახლება ხდებოდა მე-15 საუკუნიდან. ასე, მაგალითად, მე-15 საუკუნის 30-იან წლებში 6000 ოჯახი სივნიეთიდან გადმოვიდა საქართველოში. მაისურაძე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სომხები არა მხოლოდ გადმოსახლდნენ საქართველოში, არამედ ქართველებთან შერეულად ცხოვრობდნენ და მთელ საქართველოში იყვნენ გაფანტულნი. მეტიც, მათი „დიდი ნაწილი ქართული ფეოდალური საზოგადოების განუყოფელ ნაწილად იქცა“. (მაისურაძე, 1982, გვ. 291-292)

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მე-16 საუკუნის შუა ხანებში თბილისში სომხური მოსახლეობის ზრდის გამო გამოჩნდა ახალი, მელიქის თანამდებობა სპეციალურად სომხებისათვის განკუთვნილი. ხოლო მე-18 საუკუნეში ამ თანამდებობას ერქვა მელიქ-მამასახლისი. თეთვაძეების თქმით, ამ პერიოდში სომხები და ქართველები ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მეტიც, საქართველოში „სომეხი გადმოსახლებულები არ ქმნიდნენ ცალკე კოლონიებს, რადგან აქ „არ არსებობდა რელიგიური და ეროვნული შეზღუდვები“. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ ცხოვრობდნენ რა ქართულ გარემოში, ხშირად ხდებოდა სომხების „გაქართველება“. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 27)

უნდა ითქვას, რომ სიმონ I-იც დაინტერესებული იყო სომხური სავაჭრო კაპიტალით, რომელსაც მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ დამყარებული დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. მეტიც, სომხების კაპიტალი მოძრაობდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. სომხური სავაჭრო ფენის წარმომადგენლებს შორის აღსანიშნავია სამღვდელო პირი ტერ-აკოფ მარქარიანი, რომელიც „მოგზაურობდა ვენეციასა და ამიერკავკასიას შორის, თან სიმონ მეფის დავალებით წერილები მიჰქონდა ვენეციის მთავრობასთან და რომის პაპთან“. იგი ევროპაში ცნობილი იყო როგორც ქართველი ელჩი დონ ჯაკომო. უნდა ითქვას, რომ მარქარიანი, როგორც სომხური სავაჭრო წრის ბევრი სხვა წარმომადგენელი თარჯიმანის, ელჩის პოზიცია ეკავა და შესაბამისად, ქართული სახელმწიფოს სამსახურში იყო. (მაისურაძე, 1982, გვ. 146-147)

თეთვაძეების თანახმად, სომხებისათვის ხელსაყრელი პირობები საქართველოში შეიქმნა როსტომ მეფეს დროსაც. გამაჰმადიანებული როსტომ მეფის

მმართველობისას, კონკრეტულად კი, 1632-1658 წლებში, „დიდი ყურადღება უთმობოდა თბილისის აღდგენას და კეთილმოწყობას“. სწორედ ამ პერიოდში „თბილისში გადმოსახლდა სომეხი ვაჭრებისა და ხელოსნების ახალი თაობა“. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 25)

საქართველოში სომხების სხვა მნიშვნელოვანი დასახლება იყო ქალაქ გორში. აღსანიშნავია, რომ მე-17 საუკუნეში სომხური მოსახლეობა იმდენად გაიზარდა, რომ ეჩმიაწინმა საჭიროდ მიიჩნია ახალი ეპარქიის შექმნა, ხოლო ეპარქიის წინამძღვარის ცენტრი უნდა გამხდარიყო დაბა უფლისციხეში. აბრაჰამიანის თანახმად, ფოთში ასევე კონცენტრირებული იყო დიდი რაოდენობით სომეხი. საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ევროპელი ვაჭარი ამბროსიო კონტარინი, მე-15 საუკუნის 70-იან წლებში(1473-1477 წ.წ.) თავისი მოგზაურობის დროს ქალაქ ფოთთან დაინახა ცხრა სომხური სოფელი. გარდა ამ ორი ადგილისა, სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა სამშვილდეში, რომლის რაოდენობა მე-15 საუკუნეში 20 ათასს აღწევდა. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 106)

აბრაჰამიანის თანახმად, არ არის საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ ადგილებში ცხოვრობდნენ სომხები და რა რაოდენობით. გარდა ამისა, შუა საუკუნეებში ხშირად იცვლებოდა როგორც სომხური მოსახლეობის რაოდენობა, ასევე მისი დასახლების არეალი. თუმცა, შესაძლებელია ზოგადი სურათის შექმნა ისტორიულ ცნობებზე დაყრდნობით. როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი კოლონია იყო თბილისში, რაზეც მოწმობდა მარკო პოლოს ცნობა. მოგზაურის თანახმად, ქართველები და სომხები იყვნენ ქალაქის ძირითადი მაცხოვრებლები. ტურენფორის თანახმად, უკვე მე-18 საუკუნეში, თბილისის მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 20 000 ადამიანს, რომელთა შორის იყო 12 000 სომეხი. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 105)

კათოლიკოსი სიმეონი თავის მიმართვებში, რომელიც დაწერილი ჰქონდა 1763-1767 წლებში, თბილისს, გორს, თელავს სომხურ კოლონიებად მოიხსენიებს. მისი ცნობით, სომხები ცხოვრობდნენ შემდეგ ადგილებში: თბილისი, გორი, სურამი, ახალგორი, დუშეთი, თელავი და სხვა. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 106)

ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიის თანახმად, მე-17-მე-18 საუკუნეებისათვის სომხები საქართველოში დასახლებულები იყვნენ შემდეგ ტერიტორიებზე: „ქცია-

ბერდუჯის მიდამოებში, ტაშირში, აბოცში, თბილისში, გორში, მდინარე ძამაზე, მძორეში, ახალგორში, ცხინვალში, გოკიოში, ბარალეთში, საჩხეიძო-არაგვეთში, ჩიხორში, საჩხერეში, ქუთაისში.“ მაისურაძე აღნიშნავს, რომ სომხური მოსახლეობის სიმჭიდროვით გამოირჩეოდნენ ქვემო ქართლისა და თბილისის მიდამოები. ასე, მაგალითად, სოფლების სახელწოდებები ქვემო ქართლში ადასტურებენ იმას, თუ ვინ იყვნენ მათი მაცხოვრებლები: „კირაკოზას სოფელი, ვასაკას სოფელი, აკოფას სოფელი, მახველას სოფელი... კარმირქარი, წაჰქარი“. გარდა ამისა, ვახუშტის ცნობით, „სომხითის“ მოსახლეობას ვახტანგ მე-6-ის მმართველობის პერიოდში „ძირითადად სომხური სარწმუნოების ხალხი შეადგენს და მხოლოდ მცირე ნაწილი არის ქართული სარწმუნოების“. ვახუშტი იგივეს აღნიშნავს ტაშირის მოსახლეობაზე, სადაც სომხური სარწმუნოების მქონე მოსახლეობაა. (მაისურაძე, 1982, გვ. 168; Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 26)

ქვემო ქართლში სომხების გადმოსახლება ხდებოდა გარკვეული ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზნებით. მაისურაძის თანახმად, ამ კუთხეს ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სავაჭრო გზები, რომლებიც გადიოდა ამ ტერიტორიაზე, საქართველოს მის სამხრეთის მეზობლებთან აკავშირებდა. ერთი მხრივ, ეს შედიოდა სომეხი ხელოსნებისა და ვაჭრების ინტერესებში, მეორე მხრივ კი, საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებში. (მაისურაძე, 1982, გვ. 168)

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ იმერეთის თავად ალექსანდრესგან ლევან დადიანი მისი მამის განსათავისუფლებლად მოითხოვა სომეხი ვაჭრები, რომლებიც ჩიხორსა და ჩხარში ცხოვრობდნენ. მან გადმოასახლა ისინი თავის ტერიტორიაზე და „აუშენა ქალაქი რუხი“. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 26-27)

მაისურაძის თქმით, თბილისი იყო მთელი ამიერკავკასიის ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, ამიტომაც სომეხი ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის მიმზიდველი აღმოჩნდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სომხების მიგრაცია და საქართველოში გადმოსახლება ყოველთვის არ ხდებოდა მათი ნებით. ასე, მაგალითად, ერეკლე II -მ 1779 წელს რვა სომხური სოფლის მოსახლეობა საქართველოში ჩაასახლა. (მაისურაძე, 1982, გვ. 169) გაჩეჩილაძის თანახმად, მეფე ერეკლე II-მ კართლ-კახეთში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი, მათ შორის სომხები,

შეგნებულად ჩასახლა. სომხების ჩასახლება ქართულ სახელმწიფოში მიზნად ისახავდა ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას. (გაჩეჩილაძე, 2013, გვ. 61-62)

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე II-მ ხელი შეუწყო ვაჭარ-მწარმოებელთა ფენის გაძლიერებას. რაც მთავარია, სამეფო ხელისუფლება ხშირად განიხილავდა მათ „თავადაზნაურობის შემაკავებელ ძალად“ და იყენებდა კიდევაც ვაჭართა ფენას ამ მიზნით. (მაისურაძე, 1982, გვ. 297) გარდა ამისა, იოსებ ემინი თავის წერილში ერეკლესთვის აღნიშნავდა, რომ „თუ იგი თავის სკიპტრის ქვეშ შეკრებს ყველა სომეხს, მდიდარ ვაჭარ ხალხს, მაშინ მასზე ძლიერი არავინ იქნება მთელს აღმოსავლეთში“. მეტიც, ემინი ერეკლეს „ქართველთა და სომეხთა მეფეს უწოდებს“. (მაისურაძე, 1982, გვ. 262)

აღსანიშნავია, რომ მე-18 საუკუნის 70-იან წლებში მადრასის სომხური ბურჟუაზია გეგმავდა საქართველოსა და სომხეთის გაერთიანებას. დიდი კაპიტალის მქონე შაამირ შაამირიანის აზრით, „საჭირო იყო ქართველი მეფისა და ყარაბაღელი მელიქების გაერთიანება, ხოლო შემდგომ რუსეთის იმპერატორთან დაკავშირება“. მადრასელი სომხები ცდილობდნენ სომხეთის გამოხსნას ქრისტიანულ ქვეყნებთან გაერთიანებით. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ საჭირო იყო ფეოდალური ქვეყნის ბურჟუაზიულად გარდაქმნა. მეტიც, შაამირიანს სურდა გადმოსახლებულიყო საქართველოში „თავისი ქონებით და ყმებით, 10000 ინდუსით“ და ისეთი ტექნიკური კულტურები დაენერგა, როგორებიცაა შაქრის ლერწამი, ბამბა და სხვა. რაც მთავარია, ამის განსახორციელებლად შაამირიანი მზად იყო 10 მილიონი რუპიის ჩადება. უნდა ითქვას, რომ ეს იდეა მიმზიდველი აღმოჩნდა ერეკლე II-თვის, რადგან სომხური კაპიტალისტები ხელს შეუწყობდნენ ვაჭრობის განვითარებას. (მაისურაძე, 1982, გვ. 279-280; Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 32)

უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე II-მ შაამირიანს სამფლობელოში ლორე გადასცა. მაისურაძის თქმით, ამით შაამირიანს „საშუალება მისცა ამ ოლქში სომხური მოსახლეობა შემოეკრიბა და მომავალი სახელმწიფოს საყრდენი ბირთვი შეექმნა“. ერეკლე მეფის ამ გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო ინდოეთის სომხურ კოლონიებსა და საქართველოს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას. (მაისურაძე, 1982, გვ. 280)

მე-18 საუკუნის 80-იან წლებში ირანის მიერ შევიწროების გამო, სომეხმა მელიქებმა თავშესაფრის თხოვნით მიმართეს ერეკლე მეფეს, რომელმაც დაასახლა ისინი ქვემო ქართლში, ბამბაკსა და შორაგელში. ლომსაძის თანახმად, სომეხი მელიქები (მელიქ აბოვი, ჯიმშიდ შახნაზარას შვილი და ფრიდონ ბეგლარის შვილი) საქართველოს თავადებად იქცნენ. მელიქ აბოვის სათავადოში იყო ქვემო ქართლის ტერიტორია ბოლნის-დმანისის ჩათვლით. უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით მელიქ აბოვმა „ყარაბაღელი სომხების 700-ზე მეტი ოჯახი დაასახლა ბოლნის-დმანისის მიდამოებში“. ხოლო მელიქ ჯიმშიდმა და მელიქ ფრიდონმა ასევე გადაასახლეს სომხები თავიანთ სათავადოებში, აჯიქილისაში და უზუნლარში შესაბამისად. (ლომსაძე, 2011, გვ. 343-344) უნდა ითქვას, სომხების საქართველოში გადმოსახლება არა მარტო ქართველთა მეფეების პოლიტიკის, არამედ სამეზობლოში სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზე პოლიტიკური ვითარების გაუარესების შედეგი იყო. ასე, მეფე გიორგი მე-12-ს მმართველობის პერიოდში გაუარესდა ყარაბაღის სომხების მდგომარეობა, რამაც აიძულა ისინი დაეტოვებინათ თავიანთი სახლები და საქართველოში გადმოსულიყვნენ საცხოვრებლად. (მაისურაძე, 1982, გვ. 283)

მაისურაძის თანახმად, რადგან სომხური სავაჭრო ბურჟუაზია კარგავდა გავლენას ევროპული კაპიტალის კონკურენციის გაძლიერების შედეგად, საჭირო იყო ახალი ცენტრის შექმნა, პირველ რიგში, სომხური ბურჟუაზიის ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. სწორედ საქართველო გახდა სომხური ეროვნული განვითარების მნიშვნელოვანი ცენტრი. საქართველო იყო ხელსაყრელი ადგილი სომხებისათვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველებსა და სომხებს ხანგრძლივი ისტორია აკავშირებდა, არამედ ქართველების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა სომხებს ბიძგს აძლევდა, რომ „აღედგინათ ძველი და აეშენებინათ ახალი“. მეტიც, სომხები ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ ქვეყნის მშენებლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამას ხელს უწყობდა საქართველოში დავით აღმაშენებლის დროიდან დამკვიდრებული შემწყნარებლური პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ქვეყანაში „უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი“. (მაისურაძე, 1982, გვ. 290-291)

როგორც აღნიშნავს მაისურაძე, საქართველოს ეკონომიკაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდნენ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული სომხები. რაც მთავარია, მათ მჭიდრო კავშირები ჰქონდათ დამყარებული მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მცხოვრები სომხების სავაჭრო კომპანიებთან, რაც ასევე სარგებლის მომტანი იყო ქართული სახელმწიფოსათვის. (მაისურაძე, 1982, გვ. 171)

თეთვაძეების თანახმად, 1804 წელს ერევნის სახანოდან თბილისში გადმოსახლებულთა რიცხვი 2000 კაცი შეადგინა, ხოლო სამი წლით გვიან თბილისის შემოგარენსა და ავლაბარში დასახლდა 1906 ადამიანი. გარდა ამისა, 1809-1811 წლებში ყარაბაღიდან ბოლნისში გადმოვიდა 2140 ადამიანი. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 49)

რუსეთის იმპერიის მიერ კართლ-კახეთის სამეფოს შეერთების შემდეგ ისევ იწყება სომხური მოსახლეობის მასობრივი გადმოსახლება საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ სომხების გადასახლებაში დიდი როლი შეასრულა გენერალმა ლაზარევმა. ასე, მაგალითად, სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებიდან მან რამდენიმე ათასი სომეხი შამშადილში(ლორეში) გადმოასახლა. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 48)

1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, 1830 წლიდან სამცხე-ჯავახეთში რუსებმა დიდი რაოდენობით სომეხი ჩამოასახლეს. (აბდალაძე, 2008, 144) 1829 წლის დეკემბერში გენერალმა პასკევიჩმა შექმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც დაკავდებოდა გადასახლების საქმით. შედეგად, ყარსიდან, არზრუმიდან და ბაიაზეთიდან უნდა გადმოესახლათ 8000 ოჯახი. თუმცა, მათი ჩამოსახლების შემდეგ ეს რიცხვი გაიზარდა 14000 ოჯახამდე. ამასთან ერთად, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გადმოსახლებულთა საქმიანობა. ასე, მაგალითად, ვაჭარ-ხელოსნები უნდა დასახლებულიყვნენ ქალაქებში და ეზრუნათ ამ სფეროს განვითარებისათვის. (Тетвадзе, Ш. и О., с. 50; ლომსაძე, 2011, გვ. 348, 350) ლომსაძის თანახმად, 1828 წლიდან თავდაპირველად ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ყაზახები უნდა ჩამოესახლებინათ, თუმცა შემდგომ გადაწყვეტილ იქნა თურქეთიდან ქრისტიანი სომხებისა და ბერძნების ჩამოსახლება. (ლომსაძე, 2011, გვ. 346)

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მთავრობა ერთხელ შეეცადა შეეჩერებინა არზრუმელი სომხები, რათა არ გადასახლებულიყვნენ, თუმცა ხალხი პასუხობდა, რომ „თვით ქრისტე რომ ჩამოვიდეს ზეციდან და ჩვენი

სურვილის წინააღმდეგ გვითხრას დარჩით თურქეთის მფლობელობაშიო, ჩვენ არც მის რჩევას არ დავუჯერებთო.“ (ლომსაძე, 2011, გვ. 351-352) ლომსაძის თანახმად, არზრუმელმა სომხებმა 1830 წლის მაისში დაიწყეს გადმოსახლება. მათგან 5000 ოჯახი ახალციხის საფაშოში გადმოვიდა. არზრუმიდან ახალციხეში გადმოსახლებულ იქნა 2000-მდე სომეხი ვაჭარ-ხელოსანი. (ლომსაძე, 2011, გვ. 356, 359)

საუბრობს რა ჯავახეთზე, ლომსაძე აღნიშნავს, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისში ბარალეთი და გოკიო მცირე ქალაქებს წარმოადგენდნენ, რომელთა მოსახლეობა შედგებოდა ძირითადად გამაჰმადიანებული მესხებისგან, მართლმადიდებლებისგან, ასევე სომხებისა და ებრაელებისგან. (ლომსაძე, 2011, გვ. 446-447)

ლომსაძის თანახმად, მე-18 საუკუნეში ქალაქ ახალციხის ძირითადი მაცხოვრებლები იყვნენ მაჰმადიანი, მართლმადიდებელი და კათოლიკე ქართველები, ასევე სომეხი და ებრაელი ვაჭრები და ხელოსნები. ადრიანოპოლის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ახალციხეში ჩამოსახლდა 1000 სომხური ოჯახი, რომელთა დიდი ნაწილი იყვნენ ვაჭარ-ხელოსნები. მალე „ახალციხე სომხების საეპისკოპოსო ქალაქად იქცა“. (ლომსაძე, 2011, გვ. 453-454) ახალციხის სომხებზე იმ პერიოდის(1828 წლის შემდგომი პერიოდი) მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ „მათ ჩამოაყალიბეს ცალკე თემი, არ ასიმილირდებოდნენ მკვიდრ მოსახლეობასთან და თავიანთ ეროვნულ ხასიათს ინარჩუნებდნენ”. (ლომსაძე, 2011, გვ. 458-459)

უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხეში ვაჭრობას მისდევდნენ მხოლოდ ქართველი კათოლიკეები, სომხები და ებრაელები. ქალაქში, ომების შედეგად, ვაჭრობა დაეცა და სწორედ სომხების გადმოსახლების შემდეგ მოხდა მისი გამოცოცხლება. ლომსაძის თანახმად, მე-19 საუკუნის 30-იან წლებში არზრუმიდან გადმოსახლებული სომხების დიდი ნაწილი ვაჭარ-ხელოსანი იყო. (ლომსაძე, 2011, გვ. 464) რაც შეეხება ახალქალაქს, ლომსაძე აღნიშნავს, რომ რუსეთის იმპერიის მიერ ქალაქის შემოერთებამდე, აქ ცხოვრობდნენ „სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ქართველები, ასევე ქართველი ებრაელები და მცირე რაოდენობით სომეხი ვაჭრები“. (ლომსაძე, 2011, გვ. 475)

თეთვაძეების თანახმად, არზრუმელი კათოლიკე სომხების საქართველოში გადმოსახლების შემდეგ, ქართველი-კათოლიკეები თბილისში გადაასახლეს, ნაწილი

კი გასომხდა. აღსანიშნავია, რომ „სომეხი-კათოლიკეები გადასახლებულები იყვნენ შემდეგ სოფლებში: წყალთბილა, გულიკამი, ტურცხი, ალასტანი, ვარგავი, ვარევანი, ეშტია, თორია, აბდახევი, სხვილისი, წინაუბანი, ნაოხრები, ბალაჯირი, ჯულღა“. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 53) ოსმალეთის იმპერიიდან სამცხე-ჯავახეთში გადმოსახლებულ იქნა 25 000-ზე მეტი სომეხი, რომლებიც დასახლდნენ ახალქალაქში, ახალციხეში, აწყურში, ხერთვისში და სხვა ტერიტორიებზე. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 54) გარდა ამისა, თუ 1800 წელს საქართველოში ცხოვრობდა 47 000 სომეხი, უკვე 1832 წლისთვის მათმა რიცხვმა 84 000 შეადგინა. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 37 ათასიდან 65 ათასამდე გაიზარდა. ოსმალეთის იმპერიიდან საქართველოში სომხების მასობრივი მიგრაცია გრძელდებოდა მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე. მიგრაციის ძირითადი მიზეზი მე-19 საუკუნის ბოლოდან 1918 წლებამდე იყო ირანსა და ოსმალეთის იმპერიაში ანტისომხური მოძრაობა და რეპრესიები. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 56-57) მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში სომხური მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 46,7 ათასიდან 124,9 ათასამდე. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 77)

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სომხურ კოლონიაში ხდებოდა სომხური კულტურის განვითარება. როგორც აღნიშნავს მაისურაძე, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთმა დაკარგა სახელმწიფოებრიობა და ამან ხელი შეუშალა სომხების როგორც ეთნო-სოციალური ერთობის განვითარების პროცესს, საქართველოში შეიქმნა პირობები სომხების „კულტურის განვითარებისათვის და მათი „ეკონომიკური ცხოვრების აღორძინებისათვის“. (მაისურაძე, 1982, გვ. 288)

„სომხური დამწერლობის კერებში ხდებოდა ძვირფასი ხელნაწერების გადაწერა, მათი მინიატიურების შექმნა, იწერებოდა ორიგინალური ნაშრომები, ითარგმნებოდა სხვადასხვა ნაშრომები“ და რაც მთავარია, ამ კერების წყალობით, დაკარგვას გადაურჩა სომხური ლიტერატურის ბევრი ნაწარმოები, რომელთა შორის არის ვარდან არეველცის „სომხეთის ისტორია“. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 100)

ქართველებისა და სომხების თანაცხოვრებაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს სომხური და ქართული კულტურების ურთიერთგავლენა. აბრაჰამიანის თანახმად, მე-5-მე-8 საუკუნეები ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობების პირველ ეტაპად ითვლება, ხოლო საკონტაქტო არეალად - ქვემო ქართლი და სომხური და ქართული

კოლონიები პალესტინაში. ამ პერიოდში უნდა აღინიშნოს ქართული და სომხური მწერლობის ურთიერთგავლენა, განსაკუთრებით რელიგიური ლიტერატურის სფეროში. მეორე ეტაპი იწყება, როდესაც ტაო და კლარჯეთი ქართული სახელმწიფოს ბატონობის ქვეშ გადადის. ამ პერიოდში აღდგენილ იქნა იშხანის, შატბერდის, მიჯნაძორისა და დამწერლობის სხვა კერები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კერებში სომხური ენიდან ქართულზე გადათარგმნილ იქნა ნაწყვეტები შემდეგი სომეხი ისტორიკოსების ნაშრომებიდან: მოვსეს ხორენაციდან, ფავსტოს ბიუზანდაციდან და სხვა ავტორების ნაშრომებიდან. ხოლო ქართულიდან სომხურზე - ეპიფანე კვიპროსელის, გრიგორ ნოსელის ნაშრომებიდან და სხვების. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 107)

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ისეთი გამოჩენილი მწერალი და პოეტი, როგორიცაა საიათნოვა, რომელიც მღეროდა როგორც სომხურ, ასევე ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე. სომეხი პოეტი ჩამჩი-მელქო, რომელიც ასევე ცხოვრობდა საქართველოში, ორ ენაზე - სომხურზე და ქართულზე- მღეროდა. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 111) საქართველოში მცხოვრები და მოღვაწე სომხებზე საუბრისას, აბრაჰამიანი აღნიშნავს, რომ ისინი არა მხოლოდ აქტიურად იყვნენ ჩართულები პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კულტურულ ცხოვრებაში.

ალექსანდრე აბდალაძის თანახმად, „თუ ქართველთა მეფეები სომხებს თბილისში დასახლების ნებას რთავდნენ, ეს ხდებოდა იმის გამოც, რომ საქართველოში ჟამთა სიავის დროსაც ცოცხლობდა კავკასიის ერთიანობის იდეა.“ (აბდალაძე, 2008, გვ. 135)

აბრაჰამიანის თქმით, საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო სომხეთის მეზობლებში, სადაც სომხებმა ნახეს რა თავშესაფარი, არ გრძნობდნენ უცხოობას. სომეხი ხალხისათვის შექმნილ მძიმე ვითარებაში მომმე ქართველ ხალხს ღია ჰქონდა კარები სომეხი დევნილებისათვის. მე-15 საუკუნეში მოღვაწე სომეხი მემატიანე მატთეოს ჯუღაეცი აღნიშნავდა, რომ „არსებობს ოთხი სახის სიკეთე: შეწყალება, კაცთმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობა.“ მისი თქმით, ქართველ ხალხს ოთხივე თვისება აქვს. რაც მთავარია, აბრაჰამიანის თქმით, გადაადგილებული სომხები სარგებლობდნენ იმავე უფლებებით, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა. (აბრაჰამიანი, 1957, გვ. 91)

3.2. სომხური იდენტობა ქართველების თვალთახედვით

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებში სომხობა იყო იდენტიფიცირებული რელიგიასთან. ეს იყო დაკავშირებული იმასთან, რომ რელიგია თავდაპირველად იყო მთავარი განმასხვავებელი ნიშანი სომხებსა და ქართველებს შორის. შესაბამისად, როდესაც სომეხი ქართულ სარწმუნოებას იღებდა, მას ქართველად თვლიდნენ. ნიკო მარის თანახმად, „სომეხი ქალკედონიტი(მართლმადიდებელი) ბერძნობას არ ჩემულობს, არამედ ქართველობას.“ (მაისურაძე, 1982, გვ. 82) მეტიც, მაისურაძე აღნიშნავს, რომ ქართული რელიგიის გავლენით, სომხები ქართული სტილით და ქართული წარწერებით იშენებენ ეკლესიებს სომხეთში, რაც ასევე ნიშნავს „გაქალკედონიტებას“, შესაბამისად, „გაქართველებას“. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს მონოფიზიტური სარწმუნოების გავლენა და სომხური ეკლესიის მიერ მოსახლეობის სომხურ სარწმუნოებაზე მოქცევა, ე. ი. გასომხება. (მაისურაძე, 1982, გვ. 83)

მაისურაძის თქმით, რადგან სომხობა პოლიტიკურად დამოკიდებული იყო საქართველოზე, მისი ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას ცდილობდა რელიგიური განსხვავებულობის საფუძველზე. (მაისურაძე, 1982, გვ. 91) როგორც აღნიშნავს მაისურაძე, დავიდ ბატონიშვილის შრომაში „Обозрение Грузии по части прав и законоведения“ ნათქვამი იყო, რომ „სხვა აღსარების მიმდევრებისათვის თბილისში არსებობდა კერძო სასწავლებლები, მაგალითად, კათოლიკების, სომხებისა და მაჰმადიანებისათვის“. (მაისურაძე, 1982, გვ. 313) შესაბამისად, ქართველებში ტერმინი „სომეხი“ იყო რელიგიის აღმნიშვნელი.

უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიის სომხურ იდენტობასთან იდენტიფიცირება კარგად ჩანს „ქართლის ცხოვრებაში“, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს: „პირველი, უკეთუ ჰკითხო ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა, ჰერკახსა რა რჯულის ხარ, წამს მოგიგებს: „ქართველი“. ქართლის სომხითის მკვიდრნი, მიუხედავად იმისა, რომ ქცევა-ზნითა ქართულითა არიან, მაინც სომხებად იწერებიან, რადგან სარწმუნოებით სომეხნი არიან.“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 4, 1973, გვ. 291-292)

გაჩეჩილაძის თანახმად, როდესაც შუა საუკუნეებში ქართველი მართლმადიდებელი გადადიოდა „გრიგორიანობაზე“, „სომეხი“ ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მარტო

ქართული ენა იცოდა. იგივე შეიძლება ითქვას ამ პერიოდში სომხების მართლმადიდებლობაზე გადასვლაზე, რომლის შედეგადაც სომეხი „ქართველი“ ხდებოდა. შესაბამისად, ქართველები და სომხები სომეხ ქალკედონიტებს, „დიოფიზიტურ მართლმადიდებელ სომხურენოვან მიმდევრებს“ ქართველებად აღიქვამდნენ. (გაჩეჩილაძე, 2013, გვ. 79)

თეთვაძეების თანახმად, მე-18 საუკუნის ბოლოს სპარსელების შემოსევებმა აიძულა ქართველები გამხდარიყვნენ გრიგორიანები, რადგან სპარსელები მტრად აღიქვამდნენ ქართველებს მართლმადიდებლური სარწმუნოების გამო, ხოლო სომხებს არ ემუქრებოდა საფრთხე, რადგან მათი სარწმუნოება განსხვავდებოდა მართლმადიდებლურისაგან. შედეგად, ბევრი ქართველი იმალებოდა სომხურ ეკლესიებში. სოფლებში კი, დაიწყო ქართველების გრიგორიანობაზე მოქცევა. ამ პერიოდში მაისურაძეები, ლაზარიშვილები, რამილიკულაშვილები და სხვები გასომხდნენ, ე. ი. სომხური სარწმუნოება მიიღეს. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 36)

მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ „სომეხი“ იყო სოციალური კატეგორია. როგორც აღნიშნავს მაისურაძე, ქართულ წყაროებში ეთნიკური ტერმინი „სომეხი“ ასოცირდება „ვაჭართან“. (მაისურაძე, 1982, გვ. 299) თუმცა, მაისურაძის თქმით, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოში ვაჭრებს მხოლოდ სომხები წარმოადგენდნენ. სომხის ვაჭართან გაიგივების მიზეზი მდგომარეობს სომეხი ვაჭრების უპირატესობაში. გარდა ამისა, ავტორთა ნაწილი ვაჭრობა სომხების ეროვნულ თვისებად მიიჩნევდა. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით სომხებს ჰქონდათ რა სავაჭრო გაერთიანებები, ისინი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობას მართავდნენ. (მაისურაძე, 1982, გვ. 302) ამგვარად, მე-17-მე-18 საუკუნეებში ტერმინები „სომეხი“ და „ვაჭარი“ სინონიმებად გამოიყენება. (მაისურაძე, 1982, გვ. 306) შესაბამისად, ტერმინი „სომხები“ არის მთელი სოციალური ფენის სახელი.

თავის მხრივ, ქართველობაც სოციალურ ფენას უკავშირდებოდა. როდესაც სომეხი ქართულ ფეოდალურ კლასში შედიოდა, ხდებოდა მისი გაქართველება. უკვე მე-18 საუკუნეში ასეთ სომხებს შორის იყვნენ თავადი თუმანიშვილები, მარტიროზიშვილები, ბეგთაბეგიშვილები. ამ გვარების წარმომადგენლები იყვნენ როგორც ქართულ სამოხელეო აპარატში, ასევე ქართული ქულტურის მოღვაწეებიც.

ასე, მაგალითად, „ავთანდილ თუმანიშვილი ცნობილი იყო როგორც ქართველი პოეტი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი“. (მაისურაძე, 1982, გვ. 309)

3.3. თბილისი როგორც სომხური კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი (მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარი და მე-20 საუკუნის დასაწყისი)

რამდენადაც საკვლევ პერიოდში თბილისი გახდა საქართველოს დედაქალაქი, მნიშვნელოვანია ვისაუბროთ მის როლზე სომხური კულტურის განვითარებაში. სწორედ თბილისის სომხებისათვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შემდგომ თავში იქნება განხილული სომხების რეაქცია თბილისის საქართველოს დედაქალაქად არჩევაზე.

როგორც აღნიშნავს გაჩეჩილაძე, „არცერთი ქალაქი რუსეთის იმპერიაში არ ფლობდა ისეთი ზომის სოციალურ ინფრასტრუქტურას და არ ასრულებდა ასეთ კულტურულ ფუნქციას, როგორსაც თბილისი ასრულებდა“. 1913 წლის „Кавказский календарь“-ის მონაცემების თანახმად, თბილისში იბეჭდებოდა 10 სომხურენოვანი გაზეთი და არსებობდა 22 სომხური გრიგორიანული ეკლესია. (გაჩეჩილაძე, 2013, გვ. 66)

პარსამიანის თანახმად, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ვითარდება არა მხოლოდ ზოგადად სომხური კულტურა, არამედ მისი მნიშვნელოვანი შტოც, პერიოდული პრესა. ამ პერიოდის სომხური პრესა დიდ როლს ასრულებს სომხების სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განათლებისა და განმანათლებლობის გავრცელებაში, საზოგადოებრივი აზრის, სომხური ენისა და ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში. ამ პერიოდში სომხური პერიოდული გამოცემებისა და ბეჭდვის მნიშვნელოვანი ცენტრი გარდა კონსტანტინეპოლისა და ვენეციისა, იყო თბილისი. რაც მთავარია, ცნობილი მწერლები, პუბლიცისტები, მეცნიერები და ხელოვნების წარმომადგენლები თავიანთ შემოქმედებას პრესის მეშვეობით ავრცელებდნენ. (პარსამიანი, 1979, გვ. 281)

როგორც აღნიშნავს პარსამიანი, მე-19 საუკუნის ბოლოს პროგრესული და რეგრესულ მოძრაობებს შორის ბრძოლა კარგად არის ასახული პერიოდულ გამოცემებში. ამ მხრივ აღსანიშნავია თბილისში გამოცემული გაზეთი „მშაკი“(1872-1920 წ.წ.) გრიგორ არწრუნის რედაქტირებით. „მშაკი“ იყო ლიბერალურ-ბურჟუაზიული პოზიციის

მქონე გაზეთი, რომელიც იბრძოდა სამღვდელო-რეაქციული მოძრაობის წინააღმდეგ. რაც მთავარია, პრესა იყო არა მხოლოდ მიმდინარე მოვლენებზე ამბების გაგების საშუალება, არამედ სომეხი მწერლების განვითარების ასპარეზად იქცა. (პარსამიანი, 1979, გვ. 282) გარდა ამისა, სომხური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო სკოლა. მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან თბილისში მოქმედებდა ორი ქალთა საშუალო სკოლა, რომლებიც გაიხსნა 1869 და 1877 წელს - „გაიანიანი“ და „მარიამიანი“ შესაბამისად. (პარსამიანი, 1979, გვ. 283; არწრუნი გ., 1875ა, 31 ივლისი, გვ. 1)

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისი იყო მნიშვნელოვანი ცენტრი სომეხი მწერლებისათვის. აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში მწერალ, პუბლიცისტ, პედაგოგ და პოეტ ღაზაროს აღაიანის (1840-1911 წ.წ.) გამოჩენა სომხურ ლიტერატურაში, რომელიც მოღვაწეობდა თბილისშიც. როგორც აღნიშნავს პარსამიანი, თავის ნაწარმოებში აღაიანი ასახავს „სომეხი ხალხის მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას“, და ამავე დროს „მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებს“. ამ პერიოდში თბილისში ასევე მოღვაწეობდა რაფი(ჰაკობ მელიქ-ჰაკობიანი), რომლის ნაწარმოები „ემსახურება თურქული ბატონობის ქვეშ მყოფი დასავლელი სომხების განთავისუფლებას“. (პარსამიანი, 1979, გვ. 289)

1880-იანი წლებში სომხური ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები არიან შირვანზადე(ალექსანდრ მოვსისიანი) და ნარ-დოსი(მიქაელ ჰოვანისიანი). უნდა აღინიშნოს, რომ შირვანზადემ დიდი როლი შეასრულა როგორც სომხური თეატრის, ასევე რეალისტური დრამატურგიის განვითარებაში. (პარსამიანი, 1979, გვ. 300) გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ შირვანზადეს ნაწარმოები და მისი სტატიები იბეჭდებოდა გაზეთ „მშაკში“. (მშაკი, 1918)

თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სომეხი დრამატურგი გაბრიელ სუნდუკიანი, რომელმაც თავისი პიესებით დიდი წვლილი შეიტანა სომხური თეატრის განვითარებაში. პარსამიანის თანახმად, სუნდუკიანის პიესა „პეპო“ როგორც სომხების, ასევე „მოძმე ქართველი ხალხის ერთ-ერთი საყვარელი პიესა იყო“. (პარსამიანი, 1979, გვ. 301)

სამი წლის განმავლობაში თბილისის ნერსესიანის სკოლის მოსწავლე იყო ცნობილი სომეხი მწერალი დერენიკ დემირჩიანი, რომელიც დაბადებული იყო ახალქალაქში.

იგი მონაწილეობდა თბილისში თუმანიანის მიერ თავისი სახლის მეორე სართულზე მოწყობილ ლიტერატურული წრის საქმიანობაში ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად, როგორებიც არიან აღაიანი, ისაჰაკიანი, შანთი და აღბალიანი. მიიღო რა განათლება შვეიცარიაში, დემირჩიანი 1910 წელს დაბრუნდა საქართველოში და 10 წელი იმუშავა თბილისის ქალთა სკოლაში სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ დემირჩიანი იყო ცნობილი როგორც დრამატურგი. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: „სომეხი ხალხის გმირული სული დაფასებულ იქნა დიდი მწერლისა და პატრიოტის დერენიკ დემირჩიანის ხელოვნების დიდ ტილოებზე. თავისი ხალხის ოცნებებისა და მისწრაფებების გამომხატველი იყო დერენიკ დემირჩიანი.“ (სმოიანი, 1997, გვ. 24)

თბილისში მოღვაწე ცნობილ სომეხ მწერლებს შორის იყო ვაჰან ტერიანი, რომელმაც კარგად იცოდა ქართული ენა. უნდა აღინიშნოს, რომ მან გადათარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხვისტყაოსანის“ პროლოგი. (სმოიანი, 1997, გვ. 15) ხოლო, ახალქალაქის სოფელ კარწახში დაბადებული აშუღ ჯივანიმ, რომელმაც მუსიკალური მოღვაწეობა დაიწყო თბილისში, 40 სიმღერა დაწერა აზერბაიჯანულ ენაზე. უნდა ითქვას, რომ ჯივანის სიამოვნებით უსმენდა ამიერკავკასიის სამივე ხალხი. აშუღ ჯივანი დაკრძალული იყო ხოჯივანქის პანთეონში. (სმოიანი, 1997, გვ. 10)

აღსანიშნავია, რომ თბილისში, ვანქის ეკლესიის ბაღში დაკრძალულები არიან ცნობილი სომხები, როგორებიც არიან ლორის-მელიქოვი, ტერ-ღუკასოვი, შოლკოვნიკოვი, ლაზარევი, სასულიერო პირი, როგორიცაა გაბრიელ აივაზოვსკი, ასევე დამსახურებული მოქალაქეები. ხოლო ხოჯივანქის პანთეონში დაკრძალულები არიან ისეთი ცნობილი მწერლები და ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც არიან გრიგორ არწრუნი, რაფი, წერენცი. (მშაკი, 1895, N 32, ნიჭით თუ ფულით)

თბილისზე, როგორც სომხების მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ სომხური თეატრი თბილისში იყო სომხური კულტურის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი საშუალება. „მშაკის“ ყველა ნომერში ვკითხულობთ როგორც თეატრში წარმოდგენების აფიშას, ასევე სომხურ ცხოვრებაში თეატრის მნიშვნელობას. ასე, მაგალითად, არაქელიანი საუბრობს მშობლიური

სცენის შენარჩუნების აუცილებლობაზე. მის თანახმად, „სომხებს სჭირდებათ მშობლიური სცენა, როგორც ტაძარი ხელოვნებათმცოდნესათვის“. თეატრი უნდა იყოს ადგილი, სადაც ერთი მხრივ, სომეხი მოუსმენს მშობლიური ენაზე შესრულებას, მეორე მხრივ, უნდა გაეცნოს ევროპული სასცენო წარმოდგენებს სომხური თარგმანით. (მშაკი, 1910, N 228, შეინარჩუნეთ მშობლიური სცენა)

შეუძლებელია საუბარი თბილისზე, როგორც სომხური კულტურის ცენტრზე ისეთი ცნობილი მწერლის ხსენების გარეშე, რომელიც არის ჰოვანეს თუმანიანი(1869-1923 წ.წ.). თუმანიანმა დიდი როლი შეასრულა არა მხოლოდ სომხური ლიტერატურისა და კულტურის განვითარებაში, არამედ ამიერკავკასიის ხალხების კულტურული და ძმური კავშირების გაძლიერების საქმეში. (პარსამიანი და ჰარუთინიანი, 1979, 395) გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჰოვანეს თუმანიანი იყო პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. თავისი ცნობილი ისეთი ნაწარმოებით როგორებიცაა „გიქორი“(1895), „ანუში“(1890), „ერთი წვეთი თაფლი“(1909) და სხვა, თუმანიანი იყო სომხების ერთ-ერთი საყვარელი მწერალი. (ლეო, 1985, 422, 423) მას დიდ პატივს სცემდნენ ქართველი მწერლებიც. ტიციან ტაბიძის თანახმად, თუმანიანი იყო „პირველი ადამიანი, რომელსაც ყველაზე უფრო აწვალებდა ფიქრი სომხებისა და ქართველების ძმობაზე“. მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდი პატრიოტი იყო, მას უყვარდა საქართველო. (ტაბიძე, ოვანეს თუმანიანი(ნაწყვეტი მოგონებიდან).

3.4. სომხური ეროვნული იდენტობის ძირითადი მარკერები საქართველოს სომხურ დიასპორაში(მე-19 საუკუნე- 1918 წ.)

3.4.1. ტერიტორია - ისტორიული მიწები

უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული მიწები და ზოგადად, ტერიტორიული საკითხები დიდ როლს ასრულებდა და მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა სომხების ისტორიაში. სომხებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ტერიტორიები, რომლებიც მათ დაკარგეს.

სომხურ ტერიტორიებზე საუბრისას, „მშაკი“ მწუხარებით აღნიშნავს, რომ სომხები იძულებულნი არიან დატოვონ თავიანთი სახლები და გაიფანტონ მთელ მსოფლიოში. სომხების მიგრაციის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მათ მიერ

ჩამოყალიბებული ეროვნული ცენტრები „მშაკის“ თანახმად, დროებით ცენტრებს წარმოადგენენ. მეტიც, ამ გაზეთში აკრიტიკებენ იმ ადამიანებს, ვისაც მიაჩნია, რომ ერის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ენისა და ეკლესიის შენარჩუნებით. სტატიაში ვკითხულობთ, რომ მშობლიური მხარე „ელოდებოდა და ახლაც ელოდება თავის შვილს“. (იარო, 1876, გვ. 1)

გრიგორ არწრუნის თანახმად, ის ფაქტი, რომ სომხების ნაწილმა დატოვა სამშობლო და სხვა ქვეყანაში გაიქცა, არ არის სარგებლის მომტანი დანარჩენი სომხებისათვის. არწრუნი აკრიტიკებს იმ სომხებს, რომლებმაც დატოვეს სამშობლო და არ ჰქონდათ გამბედაობა გადაეტანათ ცხოვრების სირთულეები მშობლიურ მიწაზე და საჭიროების შემთხვევაში, თავი შეეწირათ სამშობლოსათვის. არიან სომხები, რომლებიც უცხო ქვეყანაში გამდიდრდნენ და შეწყვიტეს კავშირი სამშობლოსთან. არწრუნის თანახმად, ასეთი სომხების სიმდიდრე დანარჩენი სომხებისათვის „გროშიც არ ღირს“. (არწრუნი გ., 1876, გვ. 1) აქედან გამომდინარე, ავტორის თანახმად, ის ერი, რომელსაც არ სურს დანარჩენ სომხებს გვერდში დაუდგეს ჭირსა და ლხინში, არ შეიძლება ჩაითვალოს ერად.

სომხურ საკითხზე[5] საუბრისას, „მშაკში“ აღნიშნავენ: „სახელმწიფოები თუ დაივიწყებენ თავიანთ პოლიტიკურ ინტერესებს და ხმელთაშუაზღვას, სპარსეთის ყურესა და შავ ძღვას შორის არსებულ ტერიტორიაზე, სხვადასხვა გზების გადაკვეთის ადგილზე, ე. ი. სომხეთში, შექმნიან ხელოვნურ ორგანოს. რამდენად სიცოცლისუნარიანი აღმოჩნდება და რამდენად იგი შეძლებს მის საზღვრებს გარეთ მყოფი თურქული სომხების უფლებების დაცვის უზრუნველყოფას?“ შესაბამისად, აქ ჩანს თუ რა ტერიტორია სომხების თანახმად, უნდა შედიოდეს სომხეთის შემადგენლობაში. საუბარია ტერიტორიაზე, რომელიც თურქეთმა თავისი ტერიტორიის ფარგლებში შეიყვანა. (სომხური საკითხი, მოთხოვნები, 1913)

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სხვა ქვეყნებში, ასევე საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის ტერიტორია მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. 1918 წლის თურქეთის ულტიმატუმი, რომლის თანახმადაც, საქართველო საკუთარი ნებით თურქეთისათვის უნდა დაეთმო ახალქალაქისა და ახალციხის რაიონები, იწვევდა უკმაყოფილებას არა მხოლოდ ქართველ ხალხში. ერთი მხრივ, „ეგ რაიონები

[5] ტერმინი „სომხური საკითხი“ ამ კონტესქტში გულისხმობს სომხებისათვის თურქეთის მიერ დაპყრობილი სომხური ტერიტორიების - დასავლეთ სომხეთის - დაბრუნებას.

წარმოადგენენ ქართული კულტურის აკვანს, ქართული ეროვნული სხეულის ორგანულ ნაწილებს და დიდი მწერლების სამშობლოს“. ამ რაიონების დათმობა „საქართველოსთვის იქნებოდა თვითმკვლელობის ტოლფასი“. (ქართველები და თურქები, 1918, გვ. 3) მეორე მხრივ, რადგან ამ რაიონების მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ სომხები, ულტიმატუმი იყო მნიშვნელოვანი სომხებისათვის. ამ საკითხზე იყო დამოკიდებული მათი მომავალი.

სომხებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერიტორიები, რომლებიც ისტორიულად ძირითადად სომხებით იყო დასახლებული. „თუ საქართველო „წაიღებს“ ლორეს, რომელიც ექსკლუზიურად და ისტორიულად სომხებით არის დასახლებული და სომხური მიწაა, სომხური მთავრობა შეზღუდული იქნება ძალიან ვიწრო და უნაყოფო ტერიტორიის ფარგლებში.“. (არაქელიანი ჰ. 1918, გვ.1)

უნდა აღინიშნოს, რომ ჰამბარცუმ არაქელიანი თავის სტატიაში „საქართველოს მოთხოვნა არის უსამართლო“ ასევე სომხური ტერიტორიების საკითხს განიხილავს. მის თანახმად, ლორეს, ბორჩალოს, ყაზახისა და ბამბაკის რაიონებში „არ ყოფილა ქართველი ხალხი...აქ ცხოვრობენ მხოლოდ სომხები და თურქები“. შესაბამისად, „საქართველოს ისტორიული უფლება ამ ტერიტორიებზე საეჭვოა“. არაქელიანის თანახმად, „ლორე, ბამბაკი და ბორჩალო იყვნენ სომხეთის ისტორიული ტერიტორიები, დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ სომხური სამეფოს ნაწილი და სომხურმა კულტურამ დატოვა მანდ კვალი სანაჰანის, ჰაღპატის მონასტრებისა“ და სხვა ძეგლების სახით. ხოლო „უფრო დიდ დასტურს წარმოადგენს დღემდე მაგ ტერიტორიებზე მცხოვრები სომეხი ხალხი.“ (არაქელიანი ჰ., 1918, გვ. 1)

3.4.2. ენა, როგორც სომხური იდენტობის მნიშვნელოვანი მარკერი

უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარსა და მე-20 საუკუნის პირველ ოცწლეულში სომხურ პრესაში აქტიურად განიხილავენ სომხური ენის საკითხს. რაც მთავარია, სომხებს აკრიტიკებენ მშობლიური ენის არცოდნის ან მისი დავიწყების გამო, რადგან მიიჩნევენ ეროვნების შენარჩუნების მნიშვნელოვან ფაქტორად.

გაზეთ „მშაკში“ შემდეგ შემთხვევაზე საუბრობენ: თბილისში განათლებამიღებული გოგონა დაბრუნდა რაიონში და შეხვდა ახალგაზრდა ბიჭს. როდესაც გაირკვა, რომ გოგონამ მარტო რუსული იცოდა და სომხურად არ ლაპარაკობდა. ახალგაზრდამ ნახა

თარჯიმანი, რომ ეთქვა გოგონასთვის: „ყველაზე უბედურ ადამიანად ვგრძნობ თავს, რუსული რომ არ ვიცი, მაშინ როგორ უნდა იგრძნოს თავი უბედურად იმ ადამიანმა, რომელმაც თავისი მშობლიური ენა არ იცის“. (სხვადასხვა ამბები, 1872, გვ. 4)

გაზეთ „მშაკში“ სტატიაში სათაურით „რატომ არ გვესმის ერთმანეთის“ აღნიშნავენ, რომ ხალხს აღარ ესმის სომხური სალიტერატურო ენა. საუბარია არა „გრაბარზე“, ე.ი. ძველ სომხურ ენაზე, არამედ თანამედროვე სომხურზე. საუკუნეების განმავლობაში ხალხი უსმენდა გალობლებს, თუმცა ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ ისევ ლაპარაკობდა ქართულად, თურქულად ან ბერძნულად. სტატიაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ენა არის როგორც განათლების, ასევე სხვადასხვა იდეების გავრცელების საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა სომეხმა ისწავლა საზღვარგარეთ, გახდა კარგი სპეციალისტი, განსაკუთრებით კი შეძლებული ფენა, შორდება თავის თანამემამულეებს. გარდა ამისა, როდესაც უცხოეთში განათლების მიღების შემდეგ იგი ბრუნდება და ელაპარაკება ხალხს, მათ არ ესმით იგი. (რატომ არ გვესმის ერთმანეთის?, 1872)

ამ საკითხზე საუბრისას, „მშაკში“ აღნიშნავენ, რომ გერმანელი მეცნიერის კარლ ფოხტის თანახმად, ენის აგებულება უკავშირდება ადამიანის ფიზიოლოგიას. ამიტომაც, იშვიათად ხდება ისე, რომ რომელიმე ადამიანმა უცხო ენაზე შეძლოს დამოუკიდებელი აზრის სრულყოფილად გამოხატვა. შესაბამისად, „მშობლიური ენა ადამიანისათვის ძვირფასი უნდა იყოს არა მხოლოდ იმიტომ რომ მას უყვარს თავისი ერი, არამედ იმიტომაც, რომ ეს ყველა სხვა ენას შორის ყველაზე მოსახერხებელია მისი გონებრივი მუშაობისათვის და საჭიროა ადამიანის ინტელექტუალური განვითარებისათვის“. სტატიის თანახმად, ენა არის ადამიანის „ბუნებრივი ორგანო“. როდესაც ადამიანს ავიწყდება მშობლიური ენა, ეს უარყოფითად აისახება მის ბუნებრივ განვითარებაზე, პიროვნულ თვისებებზე და აქედან გამომდინარე, ადამიანი ვერ მოუტანს სარგებელს საზოგადოებას. ფრანგს თუ არ ეცოდინება ფრაგული ენა, იგი ვერ იქნება სრულყოფილი ფრანგი. იგივე ეხება სომეხს, რომელსაც არ ეცოდინება სომხური ენა. თუ ქართველი და სომეხი უარს იტყვიან თავიანთ მშობლიურ ენაზე, საშინელ დანაშაულს ჩაიდენენ კაცობრიობის წინაშე, რადგან მათ აქვთ გარკვეული ვალდებულება და მოწოდება - შეასრულონ შუამავლის როლი ევროპასა და აზიას შორის. (ენა და ცხოვრება, 1872, გვ. 1)

„მშაკის“ თანახმად, ენა არის ის კონტაქტი, რომელიც ერთ მთლიანობად აკავშირებს ერის ყველა წევრს, სწორედ „ენაა ეროვნებების გაერთიანების საშუალება, ენა თვით ეროვნებაა. ენის მეშვეობით ერი სრულყოფილდება და მასში მტკიცდება ერის მთელი მორალური სიმდიდრე.“ სტატიის თანახმად, ენის დაკარგვასთან ერთად იკარგება ის გამოცდილება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გროვდებოდა წინაპრების ძალისხმევით, იკარგება ხალხის ორგანული კავშირი. შესაბამისად, მშობლიური ენის დაკარგვის შემთხევაში ერი კვლავ გამოუცდელი ხდება და იძულებულია უცხო ენის მეშვეობით ანბანის შესწავლა დაიწყოს. (ლიტერატურული მაღაზია, 1872, გვ. 1)

გრიგორ არწრუნის თანახმად, სომხური ენა არის სომხური ეკლესიის ენა. ავტორისთვის გაუგებარია სამღვდელოების მიერ იმ ფაქტის უგულვებელყოფა, რომ ის სომხები, რომლებმაც არ იციან სომხური ენა, ეკლესიაში მიდიან და უცხო ენაზე აღსარებას აბარებენ. „როგორ იღებენ ადამიანს ეკლესიის წევრად, როდესაც მან არ იცის თავისი ეკლესიის ენა“. (არწრუნი, 1875ბ, გვ. 1)

1876 წლის „მშაკის“ ერთ-ერთ ნომერში საუბარია კავშირზე სომხურ ენასა და რელიგიას შორის. სტატიის ავტორის თანახმად, არსებობს მცდარი მოსაზრება იმაზე, რომ, ადამიანის რწმენის შემცირება განაპირობებს მისი მშობლიური ენის დავიწყებას. თუმცა, იმ ადამიანებს შორის, ვინც ცხოვრობს ევროპაში და ამბობს, რომ არ არის მორწმუნე, ბევრია, ვინც არის ყველაზე მტკიცედ იცავენ თავიანთ მშობლიურ ენას და პირიქით, არიან ღრმა მორწმუნეები და ამავე დროს უგულებელყოფენ თავიანთ მშობლიურ ენას. არწრუნის თანახმად, „მშობლიური ენა არის ტომობრივი ისტორიული თვისება, ხოლო რწმენა არის ან პირადი, ან სარიტუალო(საწესო). სომხების მშობლიური ენა იყო სომხური სანამ მათ წარმართული რელიგია ჰქონდათ და მშობლიურ ენად დარჩა ქრისტიანობის მიღების შემდეგაც. სომხური ენა არის იმ სოხმების მშობლიური ენა, რომლებიც არიან პროტესტანტები და კათოლიკეები. (არწრუნი, 1876ა, გვ. 1)

მშაკის თანახმად, ენა არის ერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკერი. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა დარჩეს უცვლელი. პირიქით, უნდა მოხდეს მისი განვითარება. თუ ერი არ არის მკვდარი, მას უნდა ჰქონდეს ცოცხალი ენა. ავტორის

თქმით, ძველი სომხური არის მკვდარი ენა, რომელიც „ვერ გახდება ერის მორალური და ინტელექტუალური განვითარების საშუალება“. (არწრუნი, 1877ა, გვ. 1)

ხაზს უსვამს რა მშობლიური ენის მნიშვნელობას, არწრუნი განიხილავს უნგრელების მაგალითს, რომლებმაც შეცვალეს თავიანთი სამშობლო და რელიგია, თუმცა შეინარჩუნეს ეროვნება. არწრუნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ კვლევებმა აჩვენა, რომ დღევანდელი უნგრელები არ არიან ძველი უნგრული ტომის შთამომავლები, არამედ ევროპელები არიან, ისინი უნგრელები არიან იმდენად, რამდენადაც მათი მშობლიური ენა არის უნგრული. აქედან გამომდინარე, სამშობლოსა და რელიგიის შეცვლის შემთხვევაშიც კი მშობლიური ენის შენარჩუნება არის ეროვნების შენარჩუნების საშუალება. ხოლო საქართველოს სომხებს, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ რელიგია, მშობლიურ ენას კი, უგულებელყოფენ, ეროვნების დაკარგვის საფრთხე ემუქრებათ. (არწრუნი, 1880ა, გვ. 1)

სტატიაში „თანამედროვე ენის შესახებ“, აღნიშნავენ, რომ ენა არის ეროვნული განძი, რომელიც ეკუთვნის ყველას. „ენა არის ერის გენიალურობა, მასში ჩანს ერის გემოვნება, მისი მოწოდება“. (თანამედროვე ენის შესახებ, 1880, გვ.1)

არწრუნის თანახმად, რამდენიც არ უნდა აუხსნა, რომ რელიგია და ეროვნება ცალკე კატეგორიებია, მაინც არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ რელიგიის შეცვლასთან ერთად იცვლება ადამიანის ეროვნება. ავტორის თქმით, რელიგია და სარწმუნოება არის ადამიანის რწმენა და არა მისი ეროვნული თვისება. იგი არ არის ორგანულ კავშირში ეროვნებასთან ან მშობლიურ მიწასთან. არწრუნის თქმით, რწმენა არ არის მუდმივი, ის შეიძლება შეიცვალოს და ამით არც სამშობლო, არც ეროვნული თვისება, არც ეროვნება და არც ენა არ იცვლება. „სამშობლო, ეროვნება და ენა არის უცვლელი, მაგრამ თუ შეიცვლება, ამით საფრთხე შეუქმნება ეროვნების არსებობას. როდესაც ადამიანი კარგავს ეროვნულ თვისებებს, ივიწყებს თავის ენას და ტოვებს სამშობლოს, იგი კარგავს ეროვნებას.“ შესაბამისად, ეროვნების მთავარი საფუძვლები არის ენა, სამშობლო და გვარი. ამ სამიდან ორის, ენისა და სამშობლოს შენარჩუნების შემთხვევაში შენარჩუნდება ეროვნება. (არწრუნი, 1880ბ, გვ. 1)

„მშაკში“ განიხილავენ არწრუნის სტატიას მშობლიური ენის მნიშვნელობაზე სკოლებში, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ „მშობლიური ენა საუკუნეების განმავლობაში გადადის რა თაობიდან თაობამდე, მაგ ერის ფიზიოლოგიურ

მემკვიდრეობად იქცევა“. არწრუნის თანახმად, სომხური ენა არის მოსახერხებელი სომხების ფიზიოლოგიისათვის, მისი ტვინის, მისი ენისათვის, იმ შემთხვევაშიც კი, აქვს თუ არა მაგ სომეხს შესწავლილი მშობლიური ენა ბავშვობიდან თუ სულაც დავიწყებული აქვს. (აღასარიანი, 1913, გვ. 3)

3.4.3. რელიგია, როგორც სომხური იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი

რელიგია და ზოგადად, ეკლესია დიდ როლს ასრულებდა სომხების ცხოვრებაში. პირველ რიგში, სომხებს თავიანთი რელიგია გააჩნიათ, რომელის ქრისტიანობის სხვა მიმართულებისგან განსხვავდება. მეორე, რელიგია ხშირად გამოდიოდა სომხობის აღმნიშვნელად. თუმცა, უკვე „მშაკში“ შესამჩნევია რელიგიის, როგორც იდენტობის მარკერის გამოყენებაზე უარის თქმა, რადგანაც ამ გაზეთისა და მისი რედაქტორის შეხედულებებიდან გამომდინარე, სომეხი სომხად რელიგიის შეცვლის შემთხვევაშიც დარჩება.

როდესაც საუბრობენ საზოგადოების სხვადასხვა ფენებსა და მათ ურთიერთობებზე, 1872 წლის „მშაკში“ აღნიშნავენ, რომ ფენებს შორის არ არსებობს სოციალური კავშირი. თითოეული მათგანი ვითარდება თავისებურად. თუმცა მაინც არსებობს ის ერთადერთი საშუალება, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა ფენებს. ეს არის სარწმუნოება. (რატომ არ გვესმის ერთმანეთის?, 1872, გვ. 1)

„მშაკის“ 1877 წლის ერთ-ერთ ნომერში სტატიაში „რელიგია და მიგრაცია“, არწრუნი აღნიშნავს, რომ წარმართული რელიგიის დროს ყველა, ვინც სომხეთის ტერიტორიაზე სახლდებოდა და სომხურ მიწაზე ცხოვრობდა, სომეხი იყო. უკვე ქრისტიანობის მიღების შემდეგ, სომხებად ითვლებოდნენ გრიგორიანი სომხები. როგორც აღნიშნავს არწრუნი, „სომეხი-კათოლიკე, იუდაიზმის მიმდევარი სომეხი, სომეხი-პროტესტანტი და სომეხი-მაჰმადიანი დღემდე არ ითვლებიან სომხებად“. სტატიის ავტორის თქმით, როდესაც დაიწყო მიგრაცია, სომხეთი მეორე სამშობლოდ იქცა, ხოლო მთავარ სამშობლოს ეკლესია წარმოადგენდა. (არწრუნი, 1877ბ, N 67)

უნდა ითქვას, რომ რამდენადაც „მშაკს“ „შემწყნარებლური დამოკიდებულება აქვს სხვადასხვა რელიგიებისადმი და აღიარებს სინდისის თავისუფლებას“, მიაჩნია, რომ არ აქვს მნიშვნელობა თუ რა რელიგიას მიიღებს სომეხი. მთავარია, რომ მისი ეროვნება და მშობლიური ენა სომხური დარჩეს. (არწრუნი, 1881, გვ. 1)

გაზეთ „მშაკში“ ვკითხულობთ, რომ მთელი სომეხი ხალხის ბედის საკითხი დგას, მისი „ყოფნა-არყოფნის საკითხი“, თუმცა თვითონ სომეხი ხალხი დუმს. ავტორის თანახმად, ამის მიზეზი კი ის, არის, რომ სომეხ ხალხს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი. უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინეპოლში უნდა გამართულიყო საერთაშორისო კონფერენცია, სადაც კავკასიის ხალხთა ბედი უნდა განესაზღვრათ, ავტორის თანახმად, კონფერენციის შედეგები არა მხოლოდ არარატის(სომხეთის) პატარა სახელმწიფოს სომხების ბედს განსაზღვრავს, არამედ მთელი სომეხი ხალხის. მაგრამ, სომეხ ხალხს არ ჰყავს წარმომადგენელი. „რადგანაც არ არსებობს საერთო ეროვნული საბჭო, სომხების ინტერესებისა და უფლებების დასაცავად“, სომხების მხრიდან გამოსვლის უფლება და იურისდიქცია აქვს სომხური ეკლესიის უმაღლეს პირს. (არაქელიანი, 1918ა, გვ. 1) აქედან გამომდინარე, რელიგია არის ის მარკერი, რომელიც წარმოადგენს სომეხი ხალხის გამაერთიენებელი, რომელიც არის საერთაშორისო ასპარეზზე სომეხი ხალხის კანონიერი წარმომადგენელი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კონსტანტინეპოლის კონფერენციაზე უნდა ესაუბრათ ამიერკავკასიის მომავალზე. შესაბამისად, საკითხი შეეხებოდა რეგიონის მთელი სომხური მოსახლეობის მდგომარეობას, და არა ამიერკავკასიის კონკრეტული ქვეყნის. აქედან გამომდინარე, არაქელიანის თქმით, კონფერეციაზე სომხობის წარმომადგენლები უნდა იყოს არა სომხური ეროვნული საბჭო, არამედ საერთო ეროვნული წარმომადგენლობა, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნას პოღოს ნუპარ ფაშას საერთო ეროვნული წარმომადგენლობა. შესაბამისად, არსებულ პირობებში უნდა გამოვიდეს სრულიად სომხეთის კათოლიკოსი, ამჟამად, არა როგორც სომხური ეკლესიის უმაღლესი პირი, არამედ როგორც მთელი სომხობის მიერ არჩეული და აღიარებული წარმომადგენელი. სტატიის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ არარატის ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლების კონფერენციაში მონაწილეობა არ არის აკრძალული, ისინი ვერ იქნებიან მიჩნეულნი ამიერკავკასიის მთელი სომხობის წარმომადგენლები. სწორედ კათოლიკოსმა უნდა დაიცვას სომხების ინტერესები და უფლებები. (არაქელიანი, 1918ბ, გვ. 1)

4. საქართველოს დამოუკიდებული რესპუბლიკის პოლიტიკური ვითარება და სომხური მოსახლეობის ხედვა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში

ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი როგორც ქართველების, ასევე ამ ქვეყანაში მცხოვრები სომხებისათვის. ამ თავში საუბარი იქნება იმ პოლიტიკურ პროცესებზე, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მიმდინარეობდა და ნაჩვენები იქნება სომხების ხედვები ამ პროცესებთან მიმართებაში. ასეთ საკითხებს წარმოადგენენ საქართველოში მცხოვრები სომხების რეაქცია საქართველოს დამოუკიდებლობასა და თბილისის მიდ დედაქალაქად არჩევაზე, მათი ხედვა ტერიტორიებთან დაკავშირებით და რაც მთავარია მათი პოზიცია ქართულ-სომხურ ომში. სწორედ ამ საკითხის განხილვა ნათელყოფს სომხების აღქმას.

4.1. ამიერკავკასიის ფედერაცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება

რონალდ გრიგორ სიუნი თავის წიგნში „ქართველი ერის ჩამოყალიბება“ საუბრობს საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდზეც(1918-1921 წლები). სიუნის თანახმად, თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში ორხელისუფლებიანობა ჩამოყალიბდა, რაც გულისხმობდა იმას, რომ როგორც „თბილისში, ისე ბაქოში მუშებს ჰყავდათ წარმომადგენლები ადგილობრივ საბჭოებში.“ ხოლო ცარიზმის ეპოქის დამთავრების შემდეგ მუშათა საბჭოები წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ცენტრებს. თბილისში სოციალ-დემოკრატებმა ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით მოიპოვეს ძალაუფლება. (Suny, 1994, 186)

სიუნის თანახმად, ახალმა მთავრობამ დაიწყო „პოლიტიკური ძალაუფლების დემოკრატიზაცია“ და სხვადასხვა ფენებს საშუალება მიეცათ მონაწილეობა მოეღოთ პოლიტიკაში. ხოლო თბილისის საბჭოს თანახმად, „რევოლუცია განხორციელებულ იქნა მუშათა კლასის, პროგრესიული ბურჟუაზიისა და რევოლუციური ჯარის მიერ“. ხოლო ჟორდანიას რევოლუციურ ძალებს წარმოადგენდნენ „მუშები, რომელთა უმრავლესობას ქართველები წარმოაგდენდნენ, ჯარს წარმოადგენდნენ ეთნიკურად

რუსები“, რაც შეეხება „პროგესიულ ბურჟუაზიას“, იგი იყო წარმოდგენილი ძოროთადად სომხებით(კერძოდ, დაშნაკები და ლიბერალური პარტიები). სიუნი აღნიშნავს, რომ სწორედ ამ ძალების მიერ განიხილებოდა ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა შორის საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხიც იყო. (Suny, 1994, 187)

სიუნის თანახმად, ამ პერიოდში იწყება დაპირისპირება მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის. მენშევიკებმა მოიპოვეს გამარჯვება და საქართველო მათ ხელში დარჩა. უნდა აღინიშნოს, რომ არჩეულ იქნა მუნიციპალიტეტის ახალი სათათბირო ორგანო, რომლის უმრავლესობას ადრე სომხები წარმოადგენდნენ. შედეგად, სომხების ადგილები დაიკავეს ქართველებმა. აღსანიშნავია, რომ „დაშნაკებმა სოციალ-დემოკრატებს „ქართული შოვინისტები“ უწოდეს“. ქართველების მოსვლამ ასევე გამოიწვია მუსლიმების უკმაყოფილება, რადგანაც მათ არ ჰყავდათ წარმომადგენლები ოზაკომში. (Suny, 1994, 190)

როდესაც 1918 წლის დასაწყისში რუსეთის ჯარი ტოვებდა საქართველოს, გაჩნდა საჭიროება, რომ ეფიქრათ თავდაცვაზე. შემდგომში კი 1918 წელს 23 იანვარს შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო პერიოდი, როდესაც სომხური და ქართული ჯარი დარჩნენ დაუცველები თურქეთისგან მომავალი საფრთხის წინაშე. ხოლო აზერბაიჯანელებს არ აწუხებდათ ეს პრობლემა, რადგან თურქები მათ მხარს უჭერდნენ. აღსანიშნავია, რომ უკვე აპრილში სეიმმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ხოლო ამიერკავკასიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ იარსება ერთი თვე, რომლის დაშლის შემდეგაც თითოეულ ერს თავად უნდა განესაზღვრა თავისი ბედი. (Suny, 1994, 191)

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის სეიმის ლიკვიდაციის შემდეგ თურქულმა დელეგაციამ დაიწყო ცალკე მოლაპარაკებები სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოებთან. ბათუმის მოლაპარაკებების დროს თურქეთი არ წავიდა დათმობაზე. პირიქით, გამოაცხადა პრეტენზიები, რომელთა შორის იყო ამიერკავკასიის რკინიგზაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება. (პარსამიანი ვ., ჰარუთინიანი შ., 1979, გვ. 419)

მეტიც, თურქეთმა დაიკავა ბათუმი, ხოლო 1918 წლის მაისში მან ულტიმატუმი წაუყენა საქართველოს, რომლის თანახმადაც მისგან ახალქალაქისა და ახალციხის

მაზრების გამოყოფას და მისთვის გადაცემას ითხოვდა. (თურქეთის ულტიმატუმი, 1918, გვ. 1) სიუნის თანახმად, თურქებს ამაში „მხარს უჭერდნენ ადგილობრივი მუსლიმები“. ამას ემატებოდა ის ფაქტორი, რომ ამიერკავკასიის ხალხების ინტერესები უპირისპირდებოდა ერთმანეთს, რის შემდეგადაც 1918 წელს, 26 მაისს, საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. სიუნის თანახმად, დამოუკიდებლობის მოპოვება იყო საჭიროება, რადგანაც არსებობდა თურქების შეჭრის საფრთხე. უპირველესი მიზანი კი იყო ახალი მოკავშირის მოძებნა, შესაბამისად საქართველო გერმანიასთან დაახლოებას იწყებდა. (Suny, 1994, 192) ბათუმის მოლაპარაკებებში ასევე იღებდა მონაწილეობას გერმანიის წარმომადგენელი, რომელიც ამიერკავკასიაში გერმანიის ინტერესების გატარებას ცდილობდა. როდესაც ამიერკავკასიის სეიმის წარმომადგენლები სამივე ქვეყნიდან ცალ-ცალკე მართავდნენ საიდუმლო მოლაპარაკებებს გერმანიასთან და თხოვდნენ მის მფარველობას. თუმცა, საბოლოოდ გერმანია საქართველოს მფარველი გახდა. (პარსამიანი ვ., ჰარუთინიანი შ., 1979, გვ. 419) გაფორმებულ იქნა ორმხრივი შეთანხმებები, რომელთა თანახმადაც გერმანია საქართველოს დაიცავდა გარედან მომავალი საფრთხისაგან. ამის სანაცვლოდ კი, საქართველო გერმანიას საშუალებას აძლევდა „გამოეყენებინა მისი რკინიგზა, გემები, გერმანული ფულის თავისუფალი მოძრაობისა“ და სხვა. (Suny, 1994, 192)

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო დათანხმდა თურქეთის ულტიმატუმის პირობებს და დაუთმო მას ახალქალაქი და ახალციხე, ასევე თურქულ მხარეს საქართველოს რკინიგზის გამოყენების შესაძლებლობა მისცა. მხოლოდ ამის შემდეგ ოსმალეთის იმპერიამ აღაიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. ევროპაში პოლიტიკური ვითარების შეცვლის შედეგად და იმის გამო, რომ გერმანიას სურდა თავიდან აეცილებინა დანაკარგები, მან ხელი მოაწერა ზავს. შედეგად, საქართველო იძულებული გახდა ახალ მოკავშირესთან, ბრიტანეთთან დაახლოვებულიყო. თუმცა, როგორც აღნიშნავს სიუნი, ბრიტანეთი ეჭვის თვალით უყურებდა საქართველოს ხელისუფლებას. ამიტომაც მათ ვერ დაამყარეს მჭიდრო ურთიერთობები. (Suny, 1994, 194)

სიუნი აღნიშნავს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ სოციალ-დემოკრატები არ იყვნენ სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის მომხრეები, ისინი უფრო მეტად

აღიქმებოდნენ, როგორც ეროვნული ხასიათის მქონე ძალა, რომელიც სწორედ ეროვნულ დამოუკიდებლობაზე აკეთებდა აქცენტს. იდგნენ რა ხელისუფლების სათავეში, სოციალ-დემოკრატები „მთელი ქართველი ერის ხმად“ იქცნენ. უნდა ითქვას, რომ სამივე ხალხის ნაციონალიზმმა დააშორა ისინი ერთმანეთისაგან. (Suny, 1994, 207)

ჰამბარცუმ არაქელიანი საუბრობს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე როგორც ისტორიულ აქტზე, რომლის შედეგადაც სომხები ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ, სადაც აღარ არსებობდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, არსებობდა მხოლოდ დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო. შესაძლოა შეიქმნას „დამოუკიდებელი და თავისუფალი ან ვასალური თათრეთი ან აზერბაიჯანი, რომლის შემადგენლობაში ჩვენი მტრები დიდი ალბათობით შეიყვანენ სომხურ ტერიტორიებს. დღეს ჩვენ ვიმყოფებით საქართველოს დედაქალაქ თბილისში როგორც საქართველოს ქვეშევრდომი მოქალაქეები.“ არაქელიანის თქმით, საქართველო რუსეთისგან გამოყოფით გახდა ამ უკანასკნელის მტერი, შესაბამისად, დრო გვიჩვენებს, მოუტანს თუ არა ეს აქტი ბედნიერებასა და ნამდვილ თავისუფლებას ქართველ ხალხსა და საქართველოს, რომელსაც თურქეთმა უკვე წაართვა ორი ნაწილი. თუმცა, სომხები მიესალმებიან საქართველოს დამოუკიდებლობას და გულწრფელად უსურვებენ მას მშვიდობას, ბედნიერებასა და აყვავებას. (არაქელიანი, 1918გ, გვ. 1)

1920 წელს მზადდებოდა საფუძველი საბჭოთა კავშირის შესაქმნელად. ამავე წელს შეიქმნა კომუნისტური პარტიები ამიერკავკასიის სამივე ერთეულში. 1920 წლის აპრილში გამოაცხადეს აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკა. რაც შეეხება სომხეთსა და საქართველოს, საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა თანამშრომლობა ამ ორის ხელისუფლებასთან. იმავე წლის ბოლოს „სომხეთი დაშნაკებთან ხელისუფლებაში ომში იყო თურქ ნაციონალისტებთან ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის გამო... საბჭოთა ჯარი იდგა საზღვრებთან, ხოლო სამოქალაქო ომი რუსეთში სრულდებოდა“. ამ მდგომარეობით ისარგებლა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც დაშნაკებს შესთავაზა „უმცირესი ბოროტების არჩევა“ და ამით თურქული ოკუპაციის თავიდან აცილება“. იმავე წლის დეკემბერში გამოაცხადეს სომხეთის საბჭოთა

რესპუბლიკა. ხოლო 1921 წლის თებერვალში საბჭოთა ხელისუფლებამ დაიკავა საქართველო. (Suny, 1994, 206)

4.2. სომხური დიასპორის ხედვა ტერიტორიებთან დაკავშირებით

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საჭირო იყო მისი საზღვრების დადგენა. შესაბამისად, საქართველოს ჰქონდა გარკვეული მოთხოვნები კონკრეტულ ტერიტორიებთან მიმართებაში. „მშაკში“ აღნიშნავენ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესრულების შემთხვევაში მნიშვნელოვნად შემცირდება სომხეთის რესპუბლიკის ისედაც შეზღუდული ტერიტორია. აღსანიშნავია, რომ საქართველომ გადაწყვიტა დაეკავებინა მთელი ბორჩალოს მაზრა, ყაზახის მაზრა, ასევე ალექსანდროპოლის მაზრის ნაწილი. გამოხატავენ რა უკმაყოფილებას, „მშაკში“ ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ბორჩალო თითქმის მთლიანად არის სომხებით დასახლებული და მათი[სომხების] „ისტორიული სანაჰინ-ახპატი, ლორე უნდა გადავიდეს საქართველოს ხელში“. გარდა ამისა, სტატიის თანახმად, ნაკლებად საალბათოა, რომ აზერბაიჯანმა დაუთმოს საქართველოს ყაზახის მუსლიმანებით დასახლებული ნაწილი. სომხებს ასევე არ შეუძლიათ ამ ტერიტორიების დათმობა. მეტიც, ქართველების მოთხოვნა მათ უსამართლოდ მიაჩნიათ როგორც ისტორიული თვალსაზრისით, ასევე საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. (საქართველოს ახალი მოთხოვნა, 1918, გვ. 2)

აღსანიშნავია, რომ სომხებისათვის მნიშვნელოვანია ხალხთა თვითგამორკვევის უფლების დაცვა. როდესაც საქართველოს აქვს პრეტენზია ისეთ ტერიტორიებზე, როგორებიცაა ახალქალაქის რაიონი, რომელიც იყო და არის დასახლებული სომხებით, სანაჰინ-ახპატის რაიონი, რომელიც მთლიანად სომხებით იყო დასახლებული, ამ მოთხოვნას უსამართლობად მიიჩნევენ. „მშაკის“ თანახმად, ეს უკანასკნელი ისტორიულად სომხეთთან იყო დაკავშირებული, რასაც ადასტურებს ისტორიული ძეგლები, მონასტრები და ისტორიული მოვლენები. შესაბამისად, სომხების თანახმად, საქართველოს ამ მოთხოვნით ქართული დემოკრატია საკუთარ

თავს ეწინააღმდეგება და იმპერიალიზმისკენ იხრება. (საქართველოს ახალი მოთხოვნა, 1918, გვ. 2)

უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიების საკითხს განიხილავს ჰამბარცუმ არაქელიანი თავის სტატიაში სათაურით „საქართველოს მოთხოვნა არის უსამართლო“. მის თანახმად, საქართველო 1783 საზღვრებზე დაყრდნობით, მოითხოვს ისეთ ტერიტორიებს, როგორებიცაა ლორე, ბორჩალო, ყაზახისა და ბამბაკის რაიონები, „სადაც არ ყოფილა ქართველი ხალხი და სადაც ცხოვრობენ მხოლოდ სომხები და თურქები“. არაქელიანის თქმით, დავა ამ ტერიტორიების გარშემო შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ სომხებსა და თურქებს შორის, ხოლო „საქართველოს ისტორიული უფლება ამ ტერიტორიებზე საეჭვოა“. (არაქელიანი, 1918დ, გვ. 1)

ავტორის თანახმად, მაგ შემთხვევაში საქართველომ უნდა მოითხოვოს ასევე „ყარსი, ანი, რომლებიც თავის დროს მისი ბატონობის ქვეშ იყვნენ“. ამ შემთხვევაში საჭიროა დემოკრატიული პრინციპებით ხელმძღვანელობა, კერძოდ, ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპით. რაც მთავარია, ამ ტერიტორიების მოსახლეობის უმრავლესობას სომხები წარმოადგენენ. არაქელიანის თანახმად, „ლორე, ბამბაკი და ბორჩალო იყვნენ სომხეთის ისტორიული ტერიტორიები, დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ სომხური სამეფოს ნაწილი და სომხურმა კულტურამ დატოვა მანდ კვალები სანაჰანის, ახპატის მონასტრების“ და სხვა ძეგლების სახით. ხოლო „უფრო დიდ დასტურს წარმოადგენს დღემდე მაგ ტერიტორიებზე მცხოვრები სომეხი ხალხი.“ (არაქელიანი, 1918დ, გვ. 1)

აღსანიშნავია, რომ 1918 წლის ივნისში საქართველოს ეროვნულ საბჭოში მიიღეს სომხების ერივნული საბჭოს მიმართვა, რომელიც ეხებოდა სომხეთსა და საქართველოს შორის საზღვრების დადგენის საკითხს. მიმართვაში აღნიშნულია, რომ მოლაპარაკებების წარმოება შესაძლებელი იქნება მხოლოდ რეალური დაყოფის საფუძველზე, ორივე მხარის ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში. გარდა ამისა, ბორჩალოს მაზრის დაყოფა შესაძლებელია მხოლოდ ეთნიკურ საფუძველზე. (საქართველოსა და არარატის სომხური რესპუბლიკის საზღვრები, 1918, გვ. 3)

შესაბამისად, სომხურ პრესაში ერთი აზრია ტერიტორიების მფლობელობის შესახებ. ტერიტორიები, რომელთა მოსახლეობის უმრავლესობას სომხები წამოადგენდნენ მათი აზრით, უნდა შევიდეს სომხეთის შემადგენლობაში. აქედან გამომდინარე,

გაზეთებში ხაზი ესმებოდა დემოკრატიულ ქვეყანაში ხალხის თვითგამორკვევის პრინციპის დაცვის აუცილებლობას.

4.3. საქართველოს სომხური დიასპორის რეაქცია საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის დედაქალაქად თბილისის გამოცხადებაზე

წინა თავში საუბარი იყო თბილისის მნიშვნელობაზე სომეხი ხალხისათვის. ის ერთი მხრივ იყო რეგიონის ცენტრი, ხოლო მეორე მხრივ, სომხების კულტურის განვითარების, მათი ეკონომიკური გაძლიერებისა და შემდგომ პოლიტიკური მოღვაწეობის ცენტრი. აქედან გამომდინარე, საინტერესოა გარკვევა იმისა, თუ როგორი რეაქცია ჰქონდათ სომხებს თბილისის საქართველოს დედაქალაქად არჩევაზე.

საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ქართულ გაზეთ „საქართველოში“ უკმაყოფილებას გამოხატავენ იმასთან დაკავშირებით, რომ სომხურ მხარეს არ მოულოცავს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც ნიშნავს იმას, რომ მათთვის არასასურველია დამოუკიდებელი საქართველო. ამის საპასუხოდ, „მშაკი“ შემდეგ კომენტარს აკეთებს: „თუ ერთ სახლში სიკვდილი და გლოვაა, მაგ სახლის წევრებს, მათდა უნებურად, გული არ მისდით, რომ მიულოცონ მეზობლის ქორწილი. პირიქით, ვისაც ქორწილი აქვს, ის თავს ვალდებულად გრძნობს, რომ ანუგეშოს მგლოვიარე მეზობელი“. სტატიაში იგულისხმება დიდი ხოცვა-ჟლეტით გამოწვეული უბედურება, რომელიც სომხებს დაატყდა თავს. სომხური გაზეთი აღნიშნავს რა, რომ „საქართველო“, “Возрождение“ და მსგავსი ნაციონალისტური გაზეთებისგან არ გაუგიათ ნუგეშის სიტყვა, ამატებს, რომ „ჩვენმა გაზეთებმა თავის დროს მათ [ქართველებს] ძმური სალამით თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს კეთილდღეობა და აყვავება უსურვეს“. (ორი სიტყვა „საქართველოს“, 1918, გვ. 4)

საუბრობს რა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე სომხების რეაქციაზე, არაქელიანი აღნიშნავს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ როგორც ერი, რომელიც ასევე მიისწრაფებოდა და მიისწაფვის დამოუკიდებლობისაკენ, თავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრებისაკენ, სომხებს მხოლოდ უხარიათ და

მიესალმებიან მეზობელი ქართველების მიერ გადადგმულ ნაბიჯს და უსურვებენ მათ „ყოველგვარ სიკეთეს და აყვავებას, მითუმეტეს, რომ საქართველოში ცხოვრობს ნახევარი მილიონი სომეხი, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები უნდა გახდნენ“. ავტორი დარწმუნებულია იმაში, რომ ქართველები სომხებს პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს მიანიჭებენ. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ავტორის თქმით, საქართველომ ამ ნაბიჯით სომხები ორცეცხლშუა დატოვა, „ქართველებისგან არ უნდა მოვითხოვოთ, რომ პირველ რიგში, საკუთარ გადარჩენაზე არ იფიქრონ“. (არაქელიანი, 1918გ, გვ. 1)

აღსანიშნავია ამიერკავკასიის სეიმის დაშლაზე „დაშნაკცუთიუნის“ ფრაქციის წარმომადგენლის, სმბატ ხაჩატრიანის სიტყვით გამოსვლა 25 მაისის სხდომაზე. მისი აზრით, ამიერკავკასიის რესპუბლიკა ამიერკავკასიის ყველა ხალხს აერთიანებდა. თუმცა, ისტორიის მნიშვნელოვან მონაკვეთში მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. ხაჩატრიანი აღნიშნავს, რომ „გვრჩება მარტო ქედი მოვიხაროთ არსებული რეალობის წინაშე“ და უსურვა გამოყოფილ ხალხებს ახალი ცხოვრების შექმნა. (ამიერკავკასიის სეიმი, სამშვიდობო მოლაპარაკებები და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, 25 მაისის სხდომა, 1918, გვ. 1)

აღსანიშნავია ნოე ჟორდანიას სიტყვები, რომლებიც ციტირებულია გურამ მაისურაძესთან და რომლებიც ეხება სომხების დამოკიდებულებას თბილისისადმი. ჟორდანია აღნიშნავს, რომ სომხებს შორის უკმაყოფილება გამოიწვია „თბილისის გაქართველება, საქართველოს დედაქალაქად გადაქცევა“. სომხები თბილისს თავიანთ ქალაქად მიიჩნევდნენ, რადგან დიდი ხნის განმავლობაში ეკონომიკა სომხების ხელში იყო. მათ[სომხების] თანახმად, „მთავრობა უნდა გადავიდეს ქუთაისში, თბილისში კი შეიქმნება შერეული ხელისუფლება სხვადასხვა ერებისგან”. (გურამ მაისურაძე, 2008, 137-138)

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისი ასევე იყო მნიშვნელოვანი სომხური იდენტობისათვის, რადგანაც სწორედ აქ იყო კონცენტრირებული სომხური ელიტა და სწორედ აქ იყო სომხური იდენტობის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, გაზეთ „მშაკში“ აღნიშნულია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თბილისის საკითხი აუცილებლად დადგება დღის წესრიგში, რადგან სწორედ ის იყო

მთელი „ამიერკავკასიის დედაქალაქი და სამივე ხალხის - ქართველების, სომხებისა და თურქების ძალისხმევით ყვავდებოდა და ვითარდებოდა“. არაქელიანის თანახმად, თბილისში მდებარეობდა ყველა ცენტრალური დაწესებულება, ისეთი როგორებიცაა „ბანკი, ცენტრალური ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი და სამთავრობო შენობები და სხვა. მაგ ყველაფერზე უფლება აქვთ არა მხოლოდ ქართველებს, არამედ სომხებსა და თურქებს[6]. თბილისის უძრავი ქონების დიდი ნაწილი სომხებს ეკუთვნის, არა მკვიდრ თბილისელებს, არამედ რაიონის სომხებს. არ არის სამართლიანი, რომ ეგ ყველაფერი დარჩეს საქართველოს“. (არაქელიანი, 1918ე, გვ. 1)

იმავე საკითხს „მშაკის“ 103-ე ნომერშიც განიხილავენ, სადაც აღნიშნავენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ყველა ცენტრალური დაწესებულება საქართველოს საკუთრებად უნდა იქცეს, რადგანაც საქართველოს დედაქალაქ თბილისში მდებარეობს. სტატიის თანახმად, ეს არც ისტორიული, არც სამართლებრივი თვალსაზრისით არ არის მართებული. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი ისტორიულად საქართველოს დედაქალაქია, იგი ასი წლის განმავლობაში მთელი ამიერკავკასიის ცენტრი იყო. გარდა ამისა, საერთო ყაზინის ე. ი. ამიერკავკასიის სამივე ხალხის გადახდილი გადასახადების ხარჯზე მოხდა ყველა სახელმწიფო ქონებისა და შენობების შეძენა. სწორედ ამიტომ, სომხების თანახმად, მთელი ეს ქონება მარტო ქართველებს არ ეკუთვნის, არამედ საერთო საკუთრებაა და შესაბამისად, უნდა გაიყოს ამიერკავკასიის სამ ხალხს შორის. (ამიერკავკასიის სახელმწიფო საკუთრების ლიკვიდაციის საკითხი, 1918, გვ. 2)

თბილისის საკითხზე საუბრისას, „მშაკში“ აღნიშნავენ, რომ ეს ქალაქი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. თუმცა, მის შესახებ მხოლოდ „საქართველოს ისტორიის ბოლო საუკუნეებში წერენ“. სტატიის თანახმად, თბილისს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ქართველებისათვის, ასევე ამიერკავკასიის დანარჩენი ხალხებისათვის. საქართველოს ისტორიის თანახმად, თბილისი დაარსდა მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს. თუმცა, არ არის აღნიშნული თუ რა გარემოებებმა ხელი შეუწყეს თბილისის განვითარებასა და

[6] უნდა ითქვას, რომ სომხები როგორც აზერბაიჯანელებს, თურქებს, ასევე მაჰმადიან ქართველებს თურქებად მოიხსენიებენ.

გაფართოებას. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელთს შორის არის „თბილისთან მდებარე სომხური რაიონის, სომხეთიის(დღევანდელი ბორჩალოს) პოლიტიკური დაცემა. ხოლო სომხეთიის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისთან. (თბილისის პოლიტიკური მდგომარეობა, 1918ა, გვ. 4)

იგივე სტატიის თანახმად, მე-4 საუკუნეში თბილისის განვითარებას და მისი მოსახლეობის ზრდას ხელი შეუწყო სომხური მოსახლეობის გადმოსახლებამ. სომხური მოსახლეობის დიდი რაოდენობით აქ მოსვლამ, რომელთა შორის ბევრს ჰქონდა შემოქმედებითი ნიჭი, შესაძლებელი გახადა მაგ დიდი ქალაქის შექმნა. საქართველოს ისტორიაში ნახსენებია ის ფაქტი, რომ ვახტანგ გორგასალმა იპოვა და მოაყვანინა სომხები მცირე აზიიდან და დაავალა მათ თბილისში ქალაქური წყობის დამყარება. ზემოთ აღნიშნულ „სომხეთიას ჰქონდა თავისი სომხური მოსახლეობა და ისტორია“. (თბილისის პოლიტიკური მდგომარეობა, 1918ა, გვ. 4)

თბილისის პოლიტიკურ მდგომარეობაზე საუბრისას, „მშაკში“ ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ სომხებმა არა მხოლოდ შემოიღეს საქალაქო წყობა, მათ ასევე შექმნეს პირველი სამუშაო ორგანიზაციები - ხელოსანთა ამქრები. უკვე მე-17 - მე-18 საუკუნეებში, როდესაც წერდნენ თბილისის ცხოვრებაზე, საუბრობდნენ მოქალაქეებზე, ხელოსნებზე, მელიქებზე (ქალაქის თავი), რომლებიც სომხები იყვნენ. სტატიის თანახმად, თამარ მეფის დროს თბილისი დიდ სამხედრო მნიშვნელობას წარმოადგენდა და სწორედ ამ პერიოდში იგი გახდა „ნამდვილი საერთაშორისო ცენტრი, სადაც ამიერკავკასიის ხალხების ბედს წყვეტენ“. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სტატიის ავტორი სვამს კითხვას: რამდენად შესაძლებელია ამ ქალაქის მნიშვნელობის შემცირება და მისი ექსკლუზიურად ქართულ ქალაქად ქცევა? ქართველების თანახმად, თბილისი საქართველოს ცენტრია და მის გარეშე საქართველო ვერ იარსებებს. სტატიის თანახმად, თბილისი „ისევ დარჩება საერთაშორისო ქალაქად ამიერკავკასიაში და იქნება სომხური და ქართული ინტელიგენციის ცენტრი“. (თბილისის პოლიტიკური მდგომარეობა, 1918ბ, გვ. 4)

როდესაც საუბარია თბილისის საკითხზე, უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთ „მშაკში“ განიხილავენ ქართულ პრესაში მოყვანილ მოსაზრებას და ამის საპასუხოდ მოჰყავთ ისტორიული ფაქტები, რათა დაადასტურონ, რომ სომხები კავკასიაში და კერძოდ,

თბილისში არ იყვნენ ჩამოსულები რუსეთის წყალობით. სტატიაში მოყვანილია ინფორმაცია თბილისის მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ ამიერკავკასიაში რუსების ჩამოსვლამდე ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. ასე, მაგალითად, ტურნეფორის მიხედვით, რომელიც თბილისში 1701 წელს იყო ჩამოსული, ქალაქში 20 ათასი მცხოვრებელი იყო, რომელთაგან 14 ათასი სომეხი იყო, 3 ათასი მუსლიმი და 2 ათასი ქართველი. ხოლო ალექსანდრ ნეგრის მიხედვით, 1877 წელს თბილისში 20 ათასი მცხოვრებელი იყო და 2000 სახლი. აქედან მხოლოდ 200-მდე სახლი იყო ქართველების. რაც შეეხება „Обозрение“-ში გამოქვეყნებულ სტატისტიკას, 1834 მონაცემების თანახმად, თბილისში 4936 ოჯახიდან რომელთა შორის დაახლოებით 11 581 სოფელში მცხოვრები მამაკაციდან 1947 ქართველი, 9447-სომეხი, ხოლო 187 აზერბაიჯანელი იყო. გარდა ამისა, „Обозрение“-ს თანამხად, როდესაც თბილისში ბერძნულ და ქართული 13 ეკლესია იყო, სომხებს 22 ეკლესია ჰქონდათ. შესაბამისად „მშაკის“ თანახმად, სომხების რაოდენობრივი უპირატესობა არ იყო განპირობებული „რუსული იმპერიალიზმით“. (თბილისის საკითხი, 1919, გვ.4)

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ოფიციალურად დაადასტურებულ იქნა 1919 წლის 12 მარტს, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ. შესაბამისად, საინტერესოა სომხების დამოკიდებულება ამ აქტისადმი. როგორც აღინიშნავენ „მშაკში“ არაფერია განსასჯელი იმაში, რომ საქართველომ, როგორც ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებმა აირჩიეს დამოუკიდებელი განვითარების გზა. საქართველოს დამფუძნებელი კრების მიზანია ქვეყანაში ცხოვრების გაუმჯობესება და მტკიცე კანონებით მოქალაქეთა ურთიერთობების დარეგულირება როგორც მიწის, ასევე ეროვნული საკითხების ფარგლებში. სტატიაში წარმატებას უსურვებენ დამფუძნებელ კრებას მისი საქმიანობის ღირსეულად შესრულებაში. ხოლო მის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვა, რაც „მშაკის“ თანხმად, შესაძლებელი იქნება, თუ სიტყვას მოჰყვება საქმე. სტატია მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს“. (საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919, გვ. 2)

4.4. საქართველო-სომხეთის ომის მიზეზები და სომხების პოზიცია

უნდა აღინიშნოს, რომ 1918-1921 წლები იყო პერიოდი, როდესაც დამოუკიდებლობა გამოცხადებული ორივე ქვეყანა - საქართველო და სომხეთი - ცდილობდნენ მათი ტერიტორიული საზღვრების დადგენას. ორივე ქვეყანას ჰქონდა პრეტენზიები ერთსა და იმავე ტერიტორიებზე. შესაბამისად, თითოეული მათგანის მიზანი იყო მათი თავისი ტერიტორიის ფარგლებში შეყვანა.

შედეგად, 1918 წელს მოხდა ქართულ-სომხური კონფლიქტი იმ ტერიტორიების გამო, რომლებიცაა ლორე, ახალციხე და ბორჩალო. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ტერიტორიები თავიანთი ისტორიის მანძილზე გადასულან როგორც საქართველოს, ისე სომხეთისა და თურქეთის ხელში. სიუნის თანახმად, პირველმა მსოფლიო ომმა და სომხების ხოცვა-ჟლეტამ გამოიწვია სომხების მასობრივი გადასახლება. ხოლო იმის შემდეგ, რაც „თურქულმა ჯარმა დატოვა ამიერკავკასია, საქართველომ დაიკავა ჩრდილოეთი ლორე და ახალქალაქი, ხოლო სომხები გადავიდნენ ლორეს სამხრეთში და ბამბაკში. მხარეებმა ვერ აიცილეს თავიდან კონფლიქტი“, რომელიც მოხდა დეკემბერში. მხოლოდ ბრიტანეთის ჩარევით კონფლიქტს მოეღო ბოლო. (Suny, 1994, p. 202)

ქართულ-სომხური ომი, რომელიც დაიწყო 1918 წლის 7 დეკემბერს, განხილულია შოთა და ოთარ თეთვაძეების წიგნში. ავტორების თქმით, „დაშნაკების“ მიზანი იყო „დიდი სომხეთის“ აღდგენა, რაც საქართველოს ტერიტორიების ნაწილს მოიცავდა. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტს, რომ სტამბოლში დაბეჭდილი იყო რუკა, სადაც ბათუმი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა და თბილისი ასევე შედიოდნენ სომხეთში. ამავე დროს თეთვაძეები აღნიშნავენ, რომ ომის დაწყებას გარკვეულწილად ხელი შეუწყეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებმაც „1912 წელს სომხებს დაუთმეს ახალციხე, ახალქალაქი და ბორჩალოს მაზრა. ნოე ჟორდანია კი, ამტკიცებდა იმას, რომ თბილისის მესამედი სომხებს ეკუთვნის“. ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეები, ჟორდანია და რამიშვილი, ტერიტორიული საკითხების განხილვისას, სომხურ ეროვნულ საბჭოს განუცხადეს, რომ ბორჩალოს მაზრა ეთნიკური პრინციპის მიხედვით იქნებოდა გაყოფილი, ხოლო წერეთელმა სომხური ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებს განუცხადა, რომ როგორც ყაზახის, ახალქალაქის, ბორჩალოს მაზრები, ასევე ბამბაკის რაიონი უნდა შევიდნენ

საქართველოს შემადგენლობაში. მაგ პოზიციას არ ეთანხმებოდა სომხური ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი წარმომადგენელი, თვლიდა რა ამ ქმედებას „საქართველოს იმპერიალისტურ პრეტენზიებად“. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 192)

შედეგად, ტერიტორიულმა უთანხმოებამ გამოიწვია ქართულ-სომხური კონფლიქტი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა ცალკეული პირები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქართველების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში ასევე ისინი, ვინც ააფეთქეს სარკინიგზო ხიდი. ხოლო როდესაც 1918 წლის იანვარში ახალქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა „ჯავახკი“ სომხეთის ნაწილად გამოაცხადა. ამის საპასუხოდ კი, გაზეთ „საქართველოში“ წერდნენ: “არავინ არ უკრძალავს სომხებს თავიანთი ერთიანობა შეინარჩუნონ, მაგრამ ჯავახელები არ დაუთმობენ მათ თავიანთ მიწას. არ დავუთმობთ კუმურდოს ტაძარს, ფარავნის ტბას, სადაც წმინდა ნინომ მიიღო ვაზის ჯვარი. ჯავახეთის გამოყოფით მკვიდრი მოსახლეობა სომხების მონებად იქცევა“. (Тетвадзе, Ш. и О., 2008, с. 93)

ქართული მხარის თანახმად, „დაშნაკები“ ავრცელებდნენ ანტიქართულ განწყობას სომხურ ხალხში. მათი მიზანი იყო სომეხი დევნილების საქართველოში დასახლება. თეთვაძეების მიხედვით, „დაშნაკებს“ არ სურდათ სომხური მოსახლეობის შემცირება ახალქალაქში, რათა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ ისინი და განეცხადებინათ პრეტენზიები. 1918 წელს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ტიგრანიანის ნოტაში იყო აღნიშნული, რომ „ახალქალაქის მაზრა და ბორჩალოს მაზრის ნაწილი სომხეთს ეკუთვნის და პირველ მათგანში ქართული ჯარის შეყვანა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით, „ახალქალაქის სომხების ტერიტორიულ უფლებების წინააღმდეგ ბრძოლად“ შეიძლება ჩაითვალოს. ქართული მხარის პასუხი იყო შემდეგი: „ახალქალაქის მაზრის აღება პოლიტიკური, ისტორიული და მორალური თვალსაზრისით არ არის დავის საგანი“. (Тетвадзе, 2008, с. 96, 98)

სომხური გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინ“(„ხალხის ხმა“) სომეხ-ქართველთა კონფლიქტზე შემდეგ კომენტარს აკეთებს: „სომეხთა ეროვნული საბჭოს დელეგაცია, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრა სანაჰინის ახლო-მახლო ალაგებში სომეხ და ქართველ ჯარებს შორის მომხდარი შეტაკების გამო, 27 ოქტომბრის დეპეშით ატყობინებს საქართველოს მთავრობას და სომეხთა ეროვნულ საბჭოს, რომ შეტაკების მიზეზები

არის გაუგებრობა და უცხადებს ორივე სახელმწიფოს მთავრობას, რომ მისი გულწრფელი სურვილია სასაზღვრო დავა მოგვარდეს მშვიდობიანი და სამართლიანი გზით.“ (ქართულ-სომხური კონფლიქტი მოგვარებულია, 1918, გვ. 1)

სომხური ეროვნული პარტიის გაზეთ „ჟოღოვრდი ძაინ“-ში („ხალხის ხმა“), სტატიაში სათაურით „შეაჩერეთ ძმათამკვლელი ომი“, გმობენ ქართულ-სომხურ ომს და მას სამწუხარო რეალობად მიიჩნევენ. ავტორი აკრიტიკებს როგორც ქართველ, ისე სომეხ პოლიტიკოსებს, რადგან მათ ვერ ნახეს საკითხის მოგვარების მშვიდობიანი გზა და ძმათამკვლელი ომი გააჩაღეს. ნიშანდობლივია ის, რომ ავტორი ამ ომს „უაზრო სისხლისღვრას და დანაშაულს“ უწოდებს და ხაზს უსვამს იმას, რომ ამ რეალობის გამო შეწუხებულია „ნებისმიერი ცივილიზებული კავკასიელი, რომლისთვისაც ძვირფასია კეთილმეზობლობის საკითხი კავკასიის პატარა ხალხებს შორის“. (შეაჩერეთ ძმათამკვლელი ომი, 1919, გვ. 1)

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ომის შემდეგ, საქართველომ მიიღო დადგენილება თბილისის მოსახლეობის რეგულირების შესახებ. თეთვაძეების თანახმად, ამის საჭიროება გამოჩნდა იმის გამო, რომ ქართულ-სომხურ ომში სომხური მოსახლეობა მხარს უჭერდა სომხეთს. თუმცა, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ქართულ-სომხურ ომს გმობდნენ ცნობილი სომეხი მწერლები და სხვა მნიშვნელოვანი მოღვაწეები. ისინი მას ძმათამკვლელ ომს უწოდებდნენ, ხოლო ისეთი ცნობილი სომეხი მწერალი, როგორიცაა ჰოვანეს თუმანიანი აქტიურად ცდილობდა შეეჩერებინა ომი. სწორედ ამ მიზნით მან მიუწოდა სომხეთის მთავრობას „პროტესტი გამოეხატათ ამ ძმათამკვლელ ომს, შეეჩერებინათ იგი, განეხილათ ყველა სადაო საკითხი, გაევრცელებნათ დადგენილება ორივე ქვეყნის მოსახლეობასა ეროვნულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში“. თუმანიანისვე ინიციატივით ორგანიზებული იყო სომეხი და ქართველი ხალხების წარმომადგენლების თათბირი, რომელზეც მიღებულ იქნა სამშვიდობო რეზოლუცია. (Тетвадзе, 2008, с. 105, 190)

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთებში კარგად არის ნაჩვენები სომხების პოზიცია ომთან მიმართებაში, რაც განსხვავდება თეთვაძეების მიერ მოყვანილი მოსაზრებისაგან. სტატიაში „ქართულ-სომხური ომის გაკვეთილები“, ქართულ-სომხურ ომს „შემთხვევითობასა და დიდ გაუგებრობას“ უწოდებენ. სტატიის ავტორის თანახმად, უმჯობესი იქნებოდა თუ სომხეთი და საქართველო მესამე

მხარის ჩარევის გარეშე შეძლებდნენ შეთანხმებას. ავტორი აღნიშნავს, რომ ომი ერთი მხრივ, სომეხი ხალხისათვის, მეორე მხრივ, ქართველი ხალხისათვის იყო „დიდი ბოროტება“, რადგან პირველი მათგანი ისედაც რთულ მდგომარეობაში იყო, ხოლო მეორე მათგანში მტრული განწყობა ვრცელდებოდა მეზობლისა და მეგობრის მიმართ. სტატიის თანახმად, ის ლიდერები, რომლებიც თავს პოლიტიკოსებად თვლიან, ამ მწარე გამოცდილებიდან უნდა ისწავლონ გაკვეთილი. ერთ-ერთი ასეთი გაკვეთილი არის ის, რომ ქვეყნების ლიდერებმა „არ უნდა იხელმძღვანელონ ეროვნული ეგოიზმით“. (ჟოღოვრდი ძაინი, N 25, 1919, ქართულ-სომხური ომის გაკვეთილები)

საქართველო-სომხეთის ომზე საუბრისას, საინტერესოა სომხების პოზიცია, რომელიც კარგად არის ასახული გაზეთ „მშაკში“. „სომეხი ხალხის სამართლიანი მოთხოვნების გულისათვის, ორი დროებით დაპირისპირებული, თუმცა ისტორიულად ბედის მოზიარე და მოძმე ერების გულისათვის, რომლებიც მომავალშიც ძმებივით იცხოვრებენ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესტიჟის გულისათვის, გვინდა გვჯეროდეს, რომ როგორც მთავრობა, ასევე პარლამენტი მოიპოვებენ საკმარის სულიერ წონასწორობას გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო გადაწყვეტილებების გასაუქმებლად“. (საპარლამენტო მოთხოვნა, 1919, გვ. 2)

საუბრობენ ქართულ-სომხურ ომზე, „მშაკში“ აღნიშნავენ, რომ ომი დასასრულისკენ მიდის. თუმცა ჯერ კიდევ ისმის ქართველი ნაციონალისტების შეძახილებები ერევნის მისამართით. მიუხედავად ამისა, გაზეთში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ როგორც ქართველი ხალხის, ასევე სომეხი ხალხის მასა შორს არის საომარი განწყობისგან. თუ ქართველი თავადაზნაურობა და ქართული სავაჭრო ბურჟუაზია დაინტერესებულნი არიან ამ ომის გაგრძელებით, გასაგებია თუ რა მიზეზით. (ვიჩქაროთ, 1919, გვ. 1)

„მშაკში“ დაბეჭდილია წერილი ნოე ჟორდანიას, რომელშიც ავტორი საუბრობს სომხების მასობრივ დაკავებებზე. წერილის ავტორის, ზოჰრაბიანის თანახმად, დაკავებულის სასარგებლოდ გამოთქმული აზრი „დაშნაკცუთიუნის“ პარტიის დაცვად აღიქმება, რაც სამწუხაროა. სწორედ ასეთი მოსაზრების გამო ანგრევენ კულტურულ დაწესებულებებს და დახურეს ეროვნული საბჭო. ზოჰრაბიანის აზრით,

ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ ტოლობის ნიშანი არის დასმული სომხურ საზოგადოებასა და „დაშნაკცუთიუნის“ პარტიას შორის, რაც არასწორ მიდგომას წარმოადგენს. ავტორის თქმით, რადგან სოციალისტური მთავრობა ყველა სომეხს დევნის, კონფლიქტი საქართველოსა და სომხეთს შორის იქცა სომხურ-ქართულ კონფლიქტად. „ჩვენ არასოდეს წარმოვიდგენდით თუ აღმოვჩნდებოდით ასეთ სამარცხვინო სიტუაციაში“. ამავე დროს, ზოჰრაბიანი ხაზს უხვამს იმ ფაქტს, რომ არასწორია ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ეროვნულ საბჭოში მიმდინარეობდა მოხალისეთა რეგისტრაცია ომში მონაწილეობის მისაღებად. (ზოჰრაბიანი. 1919, გვ. 1) თავის მხრივ, ნოე ჟორდანია სომხების პოზიციაზე საუბრისას, აღნიშნავს, რომ საზღვრისპირას მცხოვრები სომხები არიან ლოიალურები, ხოლო საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ გამოდიან ჩამოსული სომხები. (საქართველოს პარლამენტი, 1919, გვ. 3)

„მშაკში“ თბილისში განხორციელებულ მასობრივ დაკავევებთან დაკავშირებით შემდეგ კომენტარს აკეთებენ: „თუ საქართველოს მთავრობაში აღნიშნავენ, რომ სომხური მოსახლეობა ლოიალურია და მას არ დევნიან, რა უნდა უნდა დავარქვათ კვირას 3-4 ათასი სომხის დაკავებას?“. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ადამიანი არის სომეხი საკმარისია, რომ ის სხვებთან ერთად წაიყვანონ ნერსისიანის სკოლის შენობაში, სადაც უკვე ადგილიც აღარ დარჩა, არა მხოლოდ დასაჯდომად, არამედ დასადგომადაც, „ვინმეს პური რომ მისცე, ვერ შეჭამს“. სტატიაში აღნიშნავენ, რომ „თუ ჩვენ დავდუმდებით, ქვები იღაღადებენ“. ამავე დროს, „მშაკში“ აკრიტიკებენ სოომხურ დელეგაციას იმის გამო, რომ იგი არც კი აძლევს რაიმე შენიშვნას და არც უკმაყოფილებას გამოხატავს ამ ფაქთთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც საქართველოში იმყოფება. (რას აკეთებენ სომეხი დელეგატები?, 1919, გვ. 2)

ომთან მიმართებაში საქართველოში მცხოვრები სომხების პოზიციაზე საუბრისას, აღსანიშნავია გაზეთ „მშაკის“ რეაქცია „Борьба“-ს სტატიაზე, რომელშიც ვინმე გლინსკის ცნობით დაღეთ-ხაჩენის სომხები ემზადებოდნენ საქართველოს მთავრობის ჯარის წინააღმდეგ გამოსვლას. მეტიც, აღნიშნული იყო, რომ ამაში სომხეთის სამხედრო შტაბია ჩარეული. ამის საპასუხოდ „მშაკში“ აღნიშნავენ, რომ სამწუხაროა, რომ ასეთ ინფორმაციას ავრცელებენ, რაც მიანიშნებს ავტორის

არასერიოზულობაზე და საქმეში ჩაუხედაობაზე. სტატიის ავტორი უარყოფს რა აღნიშნულ ინფორმაციას, აღნიშნავს, რომ ხუთი თვის განმავლობაში იმყოფება მაგ რაიონში და მოვლილი აქვს ბორცალოსა და თბილისის მაზრის სომხეთიის სოფლები, რომლებიც ქართულ-სომხური ომის ველს წარმოადგენენ: ბოლნის-ხაჩენი, დაღეთ-ხაჩენი, დურნუკი, შულავერი, „ბელი კლიუჩი“(თეთრიწყარო) და სხვა. ამ პერიოდში მოსახლეობასთან აქტიური დიალოგის შემდეგ, ავტორმა ადგილობრივი მოსახლეობისგან მიიღო დეტალური ინფორმაცია რეალურ სიტუაციაზე. მის თანახმად, ამ რაიონის მოსახლეობა ყვებოდა თურქებთან შეტაკებების შესახებ და მათი თავდასხმის შემთხვევაში თავდაცვის საშუალებებზე. მეტიც, იარაღი, ტრანშეა და თავდაცვის სხვა საშუალებები მომზადებული იყო მოსახლეობის მიერ. რამდენადაც აქ მცხოვრები მამაკაცების 80% სამხედრო პირი იყო, იცოდა სამხედრო ხელოვნება. შესაბამისად, დაინახეს რა საფრთხე, თავდაცვის ზომები მიიღეს. ამავე დროს, იყვნენ ოფიცრები, რომლებიც სოფლის მეურნეობით იყვნენ დაკავებულები. აქედან გამომდინარე, ამ რაიონების მოსახლეობა არ ემზადებოდა საქართველოს წინააღმდეგ გამოსვლას, არამედ ლოიალური დარჩა. (ვის წინააღმდეგ გამოსვლისთვის ემზადებოდნენ დაღეთ-ხაჩენის მაცხოვრებლები, 1919, გვ. 4)

ნიშანდობლივია ლაგოდეხის ქართულ-სომხური საზოგადოების კრების ტელეგრამა, რომელშიც უჩივიან მთავრობის თავმჯდომარეს უაზრო სისხლისღვრის გამო და მოითხოვენ, რომ ბოლო მოუღონ ძმათამკვლელ სასაკლაოს მომმე ხალხების სოლიდარობისა და დემოკრატიული პრინციპების გულისათვის. (ქართულ-სომხური კონფლიქტის გამო, 1919, გვ. 2)

აღსანიშნავია, რომ როგორც სომხური, ასევე ქართული მხარე ქართულ-სომხურ ომს „ძმათამკვლელ ომს“ უწოდებს. 1921 წლის „მშაკში“ აღნიშნავენ, რომ „ერთი ლორეს მაგივრად სამიც რომ ყოფილიყო, უფრო მეტი სისხლი დაიღვრებოდა, თუმცა რეალობა ყოველთვის უცვლელი დარჩება - ჩვენ მეზობლები ვართ, ათასობით წლის განმავლობაში ერთმანეთის გვერდიგვერდ ვცხოვრობდით, ერთი ცის, ერთი ბუნების და შესაბამისად, ერთნაირი ისტორიის შვილები ვართ“. სტატიის თანახმად, ხალხების სიყვარულის გულისათვის კარგად უნდა იყოს გაანალიზებული ომის სავალალო შემთხვევები, რათა გაირკვას თუ ვინ არის პასუხისმგებელი და სად არის უბედურების ფესვი. გარდა ამისა, სტატიაში აღნიშნავენ, რომ პრესამ, სომხური და

ქართული, უნდა შეინარჩუნოს ცივსისხლიანობა და არ დაუშვას, რომ გაღიზიანებამ დაიკავოს საღი აზროვნებისა და სერიოზულობის ადგილი. (გავიგოთ მაინც, 1921, გვ. 1)

აღსანიშნავია რამიშვილის გამოსხვლა საქართველოს პარლამენტის 31 დეკემბრის სხდომაზე, რომელზეც მან აღნიშნა, რომ „დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არ ახორციელებს ზეწოლას არცერთ ხალხზე და არც არასოდეს განახორციელებს“. გარდა ამისა, რამიშვილის თანახმად, სომეხ ხალხს, როგორც საქართველოში მცხოცრებ სომხებს არ მიუციათ სოხმების წინააღმდეგ ომის დაწყების საბაბი. რაც მთავარია, მთელი ახალქალაქის მაზრა დარჩა ლოიალური, რადგან ნახა, რომ საქართველოს მთავრობა არ ახდენს რომელიმე ხალხის დისკრიმინაციას. გარდა ამ მაზრის სომხებისა, ლოიალურები დარჩნენ ასევე მთელი ქუთაისის გუბერნიისა და თბილისის გუბერნიის მნიშვნელოვან ნაწილში მცხოვრები სომხები. რამიშვილის თანახმად, ხალხი, როგორც ასეთი, ყოველთვის ლოიალურია. მომხსენებლის თანახმად, თბილისში მხოლოდ „დაშნაკცუთიუნის“ პარტია მოქმედებს არალოიალურად. რაც შეეხება სომხურ ეროვნულ საბჭოს, ისიც ლოიალურია, რადგან არ ჰქონდა კავშირი ომში მონაწილეობის მისარებად მოხალისეების რეგისტრაციასთან. (საქართველოს პარლამენტი, 1919, გვ. 3)

5. საქართველოსა და ქართველებთან ურთიერთობების აღქმა საქართველოს სომხურ დიასპორაში 1918-1921 წლებში.

1918-1921 წლების საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, რამაც გავლენა მოახდინა საქართველოს სომხების ცხოვრებაზე. ასეთ საკითხებს წარმოადგენდა არაქართულ სკოლებში ქართული ენის შესწავლის საკითხი, მოქალაქეობის საკითხი, სამშობლოს აღქმის საკითხი და ზოგადად, ქართველებისადმი დამოკიდებულება. რამდენადაც აღნიშნული საკითხები, პირდაპირ ასახავს სომხების იდენტობის პრობლემებს და ამავე დროს, მათი და სხვა საკითხების გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემა.

5.1. სამშობლოს აღქმა და საქართველოს, როგორც სამშობლოს აღქმის პრობლემა

აღსანიშნავია, რომ 1918 წელს სომხური ეროვნული საბჭო გადავიდა სომხეთში, რის გამოც საჭირო გახდა სომხებსა და საქართველოს მთავრობას შორის წარმომადგენლების არსებობა, აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო ახალი საბჭოს შექმნა უკვე საქართველოს საზღვრებში. ამავე წლის ოქტომბერში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, როგორც დროებითმა საკანონმდებლო ორგანომ, მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მის წევრებად უნდა მიეღო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. შედეგად, სხვადასხვა პარტიიდან არჩეულ იქნა ათი წარმომადგენელი, რომლებიც გახდნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრები. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ თავისი კოლეგების სახელით დავითხანიანმა მიესალმა რა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ სომხური ეროვნული საბჭოს წევრები ვართ, აქ მოვედით არა მხოლოდ ჩვენი ეროვნულ-კულტურული ინტერესების დასაცავად, არამედ თქვენთან ერთად გავერთიანდეთ და ჩვენი პატარა თავისუფალი სამშობლოს, საქართველოს კეთილდღეობისათვის ვიმუშაოთ“. (ვიჩქაროთ, 1919, გვ. 1)

როდესაც საუბარია საქართველოს მოქალაქეობაზე, აბელიანი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ როგორ შეიძლება არ მოუნდეს საქართველოს მოქალაქე გახდეს ქვეყნის მკვიდრ

სომეხს, რომელსაც მიწა, წყალი და სახლი საქართველოში აქვს. გარდა ამისა, აბელიანი აღნიშნავს, რომ მთელ სომხობას, იქნებიან ესენი საქართველოს მკვირდი სომხები თუ სომხეთის, მხოლოდ „საქართველოს გაძლიერება და კეთილდღეობა სურს, რადგან ის[საქართველო] ამავდროულად ჩვენიც არის, იმ პირობით, რომ არ ვიყოთ ამ ქვეყანაში უუფლებონი და უცხონი“. (სომხები და ქართველები, 1918ა, გვ. 1)

5.2. საქართველოს მოქალაქეობის საკითხი

აღსანიშნავია, რომ სომხებისათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლოების გამოცხადების შემდეგ ისინი ქართველებთან ერთად გახდარიყვნენ ქვეყნის თანასწორუფლებიანი წევრები. როგორც აღნიშნულია „მშაკის“ ერთ-ერთ სტატიაში, თუ საქართველო მართლაც ხელმძღვანელობს დემოკრატიული პრინციპებით, სომხების უფლებებიც უნდა იყოს დაცული და მათ თანაბარი უფლებები უნდა მიენიჭოს. (არაქელიანი, 1918ე, გვ.)

საინტერესოა საქართველოს მთავრობის ორგანოში, „საქართველოს რესპუბლიკაში“ საქართველოში მცხოვრები სომხების ქვეშევრდომობის საკითხზე დაწერილი სტატია, რომელზეც პასუხობს სომხური გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“. „საქართველოს რესპუბლიკაში” წერენ, რომ საქართველოში მცხოვრებმა ყველა სომეხმა თავი არარატის რესპუბლიკის ქვეშევრდომად გამოაცხადა. ისმის კითხვა, თუ რამდენად მიზანშეწონილია, რომ პატარა რესპუბლიკაში იცხოვროს ამდენი(200 ათასზე მეტი) მკვიდრი სომეხი და ამავე დროს არ იყოს საქართველოს ქვეშევრდომი? ამის პასუხად, აბელიანი აღნიშნავს, რომ ასეთი ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. პირველ რიგში, ცნობილია, რომ არაქართულ საჯარო სკოლებში მშობლებს უსვამდნენ კითხვას იყვნენ თუ არა ისინი საქართველოს ქვეშევრდომები. ბევრმა არც იცოდა, რა პასუხი გაეცა, და ბევრმა არც ის იცოდა, იყო თუ არა საქართველოს თუ სომხეთის ქვეშევრდომი. ამავე დროს, აბელიანის თქმით, ბევრი მშობელი შესაძლოა არ იმყოფებოდა თბილისში. შესაბამისად, ამგვარი დასკვნების გაკეთება ავტორს არამიზანშეწონილად მიაჩნია. ეს ინფორმაცია რომ ყოფილიყო სიმართლე, გამოდიოდა, რომ საქართველოში მცხოვრებ არცერთ სომეხს არ სურს იყოს ან არ თვლის თავს საქართველოს ქვეშევრდომად. და თუ ეს ასეა, მაშინ სომხებს უკმაყოფილების არანაირი უფლება არ გააჩნიათ, როდესაც საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობს და მათ ბედ-იღბალს საქართველოს ეროვნული საბჭო მართავს. (სომხები და ქართველები, 1918ა, გვ. 1)

აბელიანის თანახმად, არა თუ ყველას, არამედ ბევრ მკვირდ სომეხსაც თავი არ ექნება გამოცხადებული სომხეთის ქვეშევრდომად. მეტიც, არსებობდნენ სომხები, რომლებიც არ იყვნენ საქართველოს მკვიდრნი, თუმცა სურვილი ჰქონდათ საქართველოს ქვესევრდომები გამხდარიყვნენ. რადგან საქართველოში არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც საქართველოს ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ ისინი, ვინც 1914 წლის 19 ივნისამდე იყო ჩაწერილი საქართველოს რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულში, აქედან გამომდიარე, ადამიანის პირადი სურვილი არ არის საკმარისი საქართველოს ქვეშევრდომობის მისაღებად. ავტორი აღნიშნავს, რომ საჭიროა საქართველოში მცხოვრები მკვიდრი სომხების სიების შედგენა, ხოლო შემდგომ მათთან პირისპირ შეხვედრა ზუსტი ინფორმაციის მისაღებად. „სწორედ ასე გაირკვევა, რომ ძალიან ცოტა აღმოჩნდება ისეთი, ვინც უარს იტყვის საქართველოს მოქალაქეობაზე“. (სომხები და ქართველები, 1918ა, გვ. 2)

აბელიანის თანახმად, უდაოდ, არ შეიძლება, რომ სახელმწიფოში იცხოვრონ მკვიდრი სომხები და არ იყვნენ მაგ სახელმწიფოს ქვეშევრდომები. როდესაც ისინი არიან მკვიდრნი, მაშინ უნდა იყვნენ ქვეშევრდომებიც და მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფოს საქმეებში. ამავე დროს, აღნიშნავს აბელიანი, არა მხოლოდ მისაღებია, არამედ სასურველიც არის, რომ პატარა რესპუბლიკაში იცხოვრონ არამკვიდრნი. ამით სახელმწიფო მეტ სარგებელს მიიღებს. მოქალაქეობაზე საუბრისას, აბელიანი აღნიშნავს, რომ საქართველოში სომხებს უნდა მიეცეს პოლიტიკური და ეროვნული უფლებები ქართველებთან თანაბრად. ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ შეიძლება არსებობდეს მმართველი და მართვადი ერი. გარდა ამისა, საქართველოს მმართველ ორგანოში სომხები უნდა იყვნენ წარმოდგენილნი მათი რიცხვის შესაბამისად. (სომხები და ქართველები, 1918ბ, გვ. 2)

უნდა აღინიშნოს, რომ 1919 წლის იანვარში იგეგმებოდა თბილისის საქალაქო არცევნებში, რომლების ჩატარებამდე მიმდინარეობდა ამომრჩეველთა სიების შედგენა. სტატიის თანახმად, როდესაც მითითების მიხედვით ყველა ქართველი იყო დარეგისტრირებული, სხვა ეროვნებების წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი, სომხების აბსოლუტური უმრავლესობა არ იყო შეყვანილი ამომრჩეველთა სიაში, მათ

შორის, სომეხი საზოგადო მოღვაწეები და პარლამენტის წევრები. მიუხედავად იმისა, რომ პირველ რიგში უნდა მოეთხოვათ მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა, რეგისტრატორებმა საკმარისად მიიჩნიეს ეკითხათ ადამიანის ეროვნება. შესაბამისად, სომხებს არ არეგისტრირებდნენ. შედეგად, თბილისის მცხოვრებლების დიდ ნაწილს ჩამორთმეული ჰქონდა საარჩევნო უფლებები. შედარებისათვის, „მშაკში“ მოყვანილია ამომრჩეველთა რაოდენობა პირველ საქალაქო არჩევნებში - 144 ათასი ადამიანი, რომელთა რიცხვმა 1919 წელს 66 ათასი შეადგინა. „მშაკის“ თანახმად, რადგან ამომრჩეველთა სიაში სომხების უმნიშვნელო უმცირესობა მოხვდა, არჩევნები არის მიზანშეუწონელი. რაც მთავარია, „ჩვენ უნდა შევასრულოთ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი და ვიბრძოლოთ დემოკრატიზმის, უფლებისა და სამართლიანიობისათვის“. (არა, არასოდეს? 1919, გვ.1)

5.3. სომხური სკოლების საკითხი

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იწყებოდა სხვადასხვა დაწესებულებების ნაციონალიზაცია, მათ შორის სკოლების. 1918 წელს „მშაკის“ ერთ-ერთ სტატიაში განხილული იყო განათლების მინისტრის ბრძანება, რომლის თანახმადაც, არაქართული სკოლების მოსწავლეების მშობლებს უნდა გადაეწყვიტათ სურდათ თუ არა, რომ მათმა შვილებმა განათლება მიეღოთ იმავე სკოლებში, რა ენაზე და ვისი ქვეშევრდომები უნდა გამხდარიყვნენ. ამ ბრძანებამ მშობლების მღელვარება გამოიწვია. მშაკის თანახმად, ეს იყო ნაჩქარევი ბრძანება, რომელმაც სხვადასხვა ინტერპრეტაციები გამოიწვია. გარდა ამისა, ხაზგასმული იყო, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი ასეთ ნაციონალისტურ მიდგომებს. (ერთი ბრძანების გამო, 1918, გვ. 1)

სკოლების საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს გაზეთ „ჟოღოვრდი ძაინის“ პოზიცია. საქართველოს მთავრობასა და განათლების სამინისტროს წინაშე იდგა არაქართულენოვანი ხალხის საგანმანათლებლო საკითხის მოგვარების პრობლემა. გაზეთი აღნიშნავს, რომ განათლების მინისტრის მიერ გაკეთებული ახსნის საფუძველზე, შესაძლებელია იმის თქმა, რომ „ყველა ეროვნული უმცირესობა მიიღებს სკოლის ფართო ავტონომიას, რომელიც განხორციელდება ქვეყნის

მდგომარეობის ნორმალიზების შემდეგ“. (სომხური სკოლა საქართველოში, 1918ა, გვ. 2)

სტატიაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ფინანსურად რთულ მდგომარეობაში არის რა, ვერ ახერხებს უცხოელების ბავშვების განათლების საკითხის მოგვარებას. თუმცა, ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში, როდესაც საქმე ეხება განათლების საკითხს, არ უნდა მოხდეს განსხვავება უცხოელებსა და ქვეყნის მოსახლეობას შორის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის ამგვარ პოზიციას გაზეთი არადემოკრატიულად მიიჩნევს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ თუ უცხოელი(არაქართველი) ცხოვრობს საქართველოში, ეს ნიშნავს იმას, რომ იგი რომელიმე კულტურული საქმით არის დაკავებული(მუშაა, ხელოსანი, ვაჭარი, ჟურნალისტი და სხვა). მეტიც, ქვეყნის განვითარებას ხელს უწყობს არა მხოლოდ ქვეყნის მოსახლეობა, არამედ უცხოელებიც. უცხოელი იხდის გადასახადებს, იღებს შემოსავალს და ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას. აქედან გამომდინარე, მას უფლება აქვს „უფასოდ თუ არა, შვილისათვის ფასიანი განათლების მიცემის შესაძლებლობა მიიღოს“. (სომხური სკოლა საქართველოში, 1918ა, გვ. 2)

ედელიანი თავის სტატიაში საუბრობს განათლების მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომ იგი სკოლების ფართო ავტონომიის მომხრეა. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში საჭირო იყო განმარტება იმისა, თუ რას გულისხმობს მინისტრი ფართო ავტონომიაში. ავტორის თქმით, სკოლების თვითმართველობაში იგულისხმება პირველ რიგში, მართვის, ხოლო მეორე რიგში, პროგრამის საკითხები. ამავე დროს, თვითმართველი სკოლის ადმინისტრაცია უნდა შედგებოდეს ეროვნული წარმომადგენლებისაგან, ხოლო გაკვეთილები უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე. (სომხური სკოლა საქართველოში, 1918ბ, გვ. 2)

ედელიანის თანახმად, საჭიროა შემოიღოს სავალდებულო და უფასო სწავლა. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მას ვერ შემოიღებენ, საჭიროა საშუალო საჯარო და სხვა სკოლების გახსნა, სადაც ისწავლიან სომხები, რუსები და უცხოელები. ამიტომაც საჭიროა სომხური ელემენტარული, საშუალო და პროფესიული საჯარო სკოლების გახსნა, სადაც სწავლის ენა იქნება მშობლიური. ამის აუცილებლობას ავტორი ხსნის იმით, რომ „ბავშვი იზრდება და ვითარდება გარკვეულ გარემოცვაში და სწორედ ამ

გარემოცვაში არსებული ენის მეშვეობით ყალიბდება ბავშვის სული. აქედან გამომდინარე, ბავშვის სული მოითხოვს, რომ სწორედ ამ ბუნებრივი მონაცემის საფუძველზე უნდა მოხდეს ახალი ინფორმაციის მიღება. ამგვარად სწავლაც უფრო ადვილდება, ხოლო ბავშვი უფრო სწრაფად ვითარდება. გარდა ამისა, ავტორი ხაზს უსვამს მშობლიური ენაზე განათლების მიღების კულტურულ მნიშვნელობასაც. ავტორის თქმით, მხოლოდ მშობლიურ ენაზე განათლებამიღებულ ადამიანს შეუძლია სრულყოფილად იმუშაოს თავის სამშობლოში და ხელი შეუწყოს მის კულტურულ განვითარებას. მხოლოდ საჯარო ელემენტარული, საშუალო და უმაღლესი სკოლების გახსნის შემთხვევაში, სადაც სწავლა იქნება მშობლიურ ენაზე, სომხები დაკმაყოფილებულად იგრძნობენ თავს სკოლების საკითხში. სწორედ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაში ავტორი ხედავს სომხებსა და ქართველებს შორის ურთიერთგაგების პირველ ნაბიჯს. (სომხური სკოლა საქართველოში, 1918ბ, გვ. 2) გარდა ამისა, ავტორი აღნიშნავს, რომ თვითმმართველობა არ ნიშნავს სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას. (სომხური სკოლა საქართველოში, 1918გ, გვ. 2)

სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლის შემოღებაზე საუბრისას, ედელიანი აღნიშნავს, რომ რამდენი სომხური სკოლაც არ უნდა იყოს ნაციონალიზებული, უცხო ენისა და სახელმწიფო ენის სწავლა უნდა დარჩეს ამ სკოლებში. მეორე მხრივ, ნამდვილმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ არ უნდა მოითხოვოს, რომ უმრავლესობის ენაზე სწავლა სავალდებულო გახდეს უმცირესობისათვის, თუ ამ უკანასკნელს არ სურს ამ ენის შესწავლა. ამის მაგივრად სახემწიფომ უნდა შექმნას ისეთი ბუნებრივი პირობები, რომ ქვეშევდდომებმა თვითონ იგრძნონ სახელმწიფო ენის მოთხოვნილება და მიიღონ გადაწყვეტილება სკოლებში ამ ენის შემოღება-არშემოღების შესახებ. თუმცა, ავტორს მაინც მიაჩნია, რომ საქართველოს სომხურ საჯარო სკოლებში აუცილებელია ქართული საგნების შემოღება. მეტიც, ამას მოითხოვს ამიერკავკასიის ხალხებს შორის არსებული კულტურული კავშირები და ურთიერთგავლენა. „როდესაც ეს ხალხები კარგად არ იცნობენ ერთმანეთს, კარგად ვიცით, თუ რას იწვევს ეს“. აქედან გამომდინარე, სომხებმა უნდა ისწავლონ როგორც ქართული, ასევე თურქული ენები, რადგან ენის ცოდნა არის მნიშვნელოვანი

კულტურული კავშირების დასამყარებლად და წარმატების მისაღწევად. (სომხური სკოლა საქართველოში, სახელმწიფო ენა, 1918დ, გვ. 3)

ედელიანის თანახმად, „სომეხი ხალხის გეოგრაფიული განაწილება მისი კულტურულ-ეკონომიკური როლი და პოლიტიკური მდგომარეობა იყო ისეთი, რომ ისინი გრძნობდნენ და ახლაც გრძნობენ მეზობელი ხალხის ენის ცოდნის საჭიროებას“. გარდა ამისა, ამიერკავკასიის ხალხებს არ შეუძლიათ ერთმანეთისგან განცალკებებულად ცხოვრება, ისინი საბოლოოდ უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რათა შექმნან პოლიტიკური გაერთიანება. აქედან გამომდინარე, „სომხებმა სიყვარულით უნდა შემოიღონ ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლა“. ამჟამად, რადგანაც ურთიერთობები ხალხებს შორის დაიძაბა და ამ მდგომარეობამ იმოქმედა სომეხ მოსწავლეებზეც, ისინი „არ ისწავლიან ქართულ ენას სიყვარულით“, მშობლებმა და გამგებმა ადამიანებმა უნდა აუხსნან მათ, რომ „სწორედ სომეხი ხალხის ინტერესი მოითხოვს“, რომ ახალი თაობა კარგად ფლობდეს ქართულ ენას და იცოდეს ამ ხალხის ისტორია და დღევანდელობა. (სომხური სკოლა საქართველოში, სახელმწიფო ენა, 1918დ, გვ. 3)

ტერ-მინასიანი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, თუ ვინ უნდა გახდეს ნაციონალიზებული სკოლების ბატონ-პატრონი. „სომხების მინიმალური მოთხოვნა უნდა ყოფილიყო კულტურული და საგანმანათლებლო ავტონიმია საქართველოს ფარგლებში“, რითაც სომხური სკოლების საკითხი იქნებოდა მოგვარებული. რეალობაში, განათლების სამინისტრო არაქართული ნაციონალიზებული საჯარო სკოლების დირექტორებად და ინსპექტორებად ქართველებს ნიშნავს და „საკითხავია, თუ როგორ უნდა მოახდინონ ამ ადამიანებმა სკოლის ნაციონალიზაცია სომხებისათვის“. სწორედ ამიტომ, ავტორის თქმით, საჭიროა, რომ სომხურმა ეროვნულმა საბჭომ გამართოს მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასთან, რათა საკუთარი იურისდიქციის ქვეშ მოაქციოს ნაციონალიზებული სომხური საჯარო სკოლები. (სკოლის საქმის დღევანდელი ვითარება, 1918, გვ. 2)

5.4. ქართველების აღქმა სომხების მხრიდან

1918-1921 წლების საქართველოში მცხოვრები სომხების იდენტობის კვლევის მნიშვნელოვან და აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს სომხების მხრიდან ქართველების აღქმისა და მათდამი დამოკიდებილების შესწავლა. საინტერესოა აღიქვამდნენ თუ არა საქართველოში მცხოვრები სომხები ქართველებს „სხვად“.

„ჟოღოვრდი ძაინის“ სტატიაში სათაურით „ქართველები და სომხები“ ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ქართული პრესა უარყოფით სტატიებს წერს სომხებზე. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ეს არის განპირობებული იმით, რომ გაღარიბებული ქართული თავადები იმის მაგივრად, რომ გამოსულიყვნენ „სომხური ბურჟუაზიის“ წინააღმდეგ, გამოვიდნენ სომეხი ხალხის წინააღმდეგ. ავტორი შეწუხებულია იმ ფაქტით, რომ სოციალ-დემოკრატებს ისეთივე დამოკიდებულება აქვთ სომხებისადმი, როგორიც თავადებს ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს დამოკიდებულება არ იწვევს ავტორის არაკეთილმოსურნეობას ქართველების მიმართ, ის იწვევს გაუცხოებას. ავტორისათვის მოულოდნელი იყო სოციალ-დემოკრატების მხრიდან ასეთი დამოკიდებულება. (ქართველები და სომხები, 1918ა, გვ. 1)

უნდა ითქვას, საკვლევი პერიოდის სომხურ გაზეთებში ხშირად არის საუბარი სომეხ დევნილ მოსახლეობაზე, კერძოდ ახალქალაქიდან დევნილებზე, „იმ ქალაქის, რომელსაც თვლიან და მომავალშიც ჩათვლიან საქართველოს ნაწილად. ერთ-ერთი ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ სოციალ-დემოკრატებმა სომხები მტერს დაუთმეს, საუკუნოვან მტერს. ავტორისათვის წარმოუდგენელია, რომ სომხების საყვარელმა ძმამ, ქართველმა არ დაეხმარა დევნილებს და უარი თქვა მათ შემოსვლაზე. „რატომ უნდა მომხდარიყო ეს? რატომ საუკუნოვანი ძმური ხალხები მივიდნენ ამ მდგომარეობამდე?“- ამ კითხვებით სტატიას ამთავრებს აბეგიანი. (ქართველები და სომხები, 1918ა, გვ. 1)

„ჟოღოვრდი ძაინში“ განხილულია, თუ რა მიზეზების გამო ქართველებმა არ შეუშვეს სომეხი დევნილები. გაზეთი არ ეთანხმება ქართველების არგუმენტს იმის შესახებ, რომ დევნილები ავრცელებენ დაავადებებს, რადგანაც, მის თანახმად, ახალქალაქის რაიონში არ არსებობდა ინფექციური დაავადებები, მხოლოდ დევნილობაში ყოფნისას, შიმშილობის, სიცივისა და სხვა მიზეზების გამო მოხდა დაავადებების გაჩენა. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი ეთანხმება ქართველებს იმაში, რომ

საქართველოს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსები, აღნიშნავს, რომ „მთავრობას შეუძლია თბილისის მდიდარი სომხებისგან რამდენიმე მილიონი გამოართვას სომეხი დევნილების დასახმარებლად“. (ჟოღოვრდი ძაინი, N 5, 1918)

გაზეთი სამწუხარო ფაქტად და მიიჩნევს იმას, რომ ბევრი ეთანხმება იმ აზრს, „რომ სომხების შემოსვლით საქართველო დაზარალდება, რადგან გახდებიან ქართული მიწების პატრონები და ერთ დღეს ეგ ტერიტორია სომხეთად გადაიქცევა.“ (ქართველები და სომხები, 1918ბ, გვ. 1)

1918 წლის „ჟოღოვრდი ძაინის“ მე-7 ნომერში განხილულია საქართველოს მთავრობის განცხადება დევნილთა საბჭოსათვის, რომლის თანახმადაც საქართველოს შეუძლებლად მიაჩნია ლტოლვილების დატოვება თავის საზღვრებში. აქედან გამომდინარე, საბჭომ უნდა იფიქროს დევნილების სხვა ადგილზე გადაყვანაზე უახლოეს მომავალში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საქართველოს ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზები(ქვეყნის ეკონომიკირი მდგომარეობა, ლტოლვილების მიერ ინფექციური დაავადებების გავრცელება საქართველოში და სვხა), საქმე მდგომარეობს სხვა რამეში. (საქართველო და სომეხი დევნილები, 1918, გვ. 1)

სტატიის თანახმად, „საქართველოს მთავრობამ კარგად იცის, რომ როგორც ამჟამად, ასევე ყოველთვის არა მხოლოდ დევნილთა საბჭოს, არამედ მთელი სომხობის საკითხი იყო დევნილების დაბრუნება მათ სამშობლოში, მათ სახლებში“. სტატიის ავტორისათვის რთულია იმის გაგება, რომ მთელი საუკუნეების მანძილზე მეზობელი ხალხები ერთად იყვნენ ჟირსა და ლხინში, დღეს კი, როდესაც ყველაზე მეტად საუბრობენ კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე, ხდება მეზობლების გაუცხოება. რაც მთავარია, სტატია მთავრდება შემდეგნაირად: „მოვა დრო და სომეხი ხალხი დაბრუნდება სისხლიდან დაცლილ სამშობლოში და თუ როგორი გრძნობებით გაიხსენებს საუკუნოვანი მეზობლის, ქართველი ხალხის მისდამი დამოკიდებულებას ცხოვრების შავ დღეებში - ამაზე არ არსებობს ორი აზრი“. (საქართველო და სომეხი დევნილები, 1918, გვ. 1)

ნიშანდობლივია საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველებისადმი სომხების დამოკიდებულება, რომლებსაც სომხები თურქებად მოიხსენიებენ. ასე, მაგალითად საინტერესოა წერილი, გამოქვეყნებული გაზეთ „მშაკში“, რომელიც

დაწერა ქალაქ ახალქალაქის მცხოვრებმა და ქალაქის ყოფილმა კომისარმა. წერილის ავტორი შეწუხებულია იმით, რაც ხდებოდა ახალქალაქის სომხურ და თურქულ სოფლებში. „ჩემი ლამაზი სამშობლო, ჯავახკი, დაიცალა. თურქები ან განადგურდნენ, ან გაიქცნენ ჩილდირში, ხოლო სომხები და ქართველები იტანჯებიან ტყეებსა და მთებში.“ (პიჩიკიანი, 1918, გვ. 1)

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ „80 ათასმა გლეხმა დატოვა თავისი სახლი“ და ვერ ბრუნდებოდა. ავტორის თანახმად, ასი წლის განმავლობაში თურქები და სომხები ამ ტერიტორიაზე მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ, შესაბამისად, საჭიროა გარკვევა იმისა, თუ ვინ გამოიწვია ამ ხალხების ტანჯვა. ავტორი ადანაშაულებს როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას, ისე დაშნაკებსა და ადგილობრივ ეროვნულ საბჭოს იმაში, რომ სწორედ მათ მიერ იყო ორგანიზებული ძალადობრივი ქმედებები თურქულ სოფლებში. მათ მიაჩნდათ, რომ ამ ქმედებებით გადაარჩენდნენ სომხებს. ავტორი ასევე ადანაშაულებს ეროვნულ საბჭოს, რადგან არ დაიცავეს ის თურქი ადამიანი(მამედ ალი ბეკ ფალავანდოვი), ვისაც მთელს ქალაქში სცემდნენ პატივს. რაც მთავარია, ეს ადამიანი ხშირად ეხმარებოდა გაჭირვებულებს და სხვა ადგილობრივებს და იყო მშვიდობისმოყვარე. მეტიც, მან „არდაგანიდან გადაარჩინა 1500 ქალისა და ბავშვის სიცოცხლე, რომლებსაც სიკვდილი ემუქრებოდა“, ახლა კი ამ ადამიანის სახლს ძარცავენ. წერილის ავტორისათვის მიუღებელია ადგილობრივი იმ მოღვაწეების ქცევა, ვინც სომხები რთულ მდგომარეობაში დატოვა, გადასახლების დროს არ იყო მათ გვერდით, არამედ წავიდა თბილისში, როსტოვში და სხვაგან და „თავისუფლად სეირნობს“ და მას არ ადარდებს გადაადგილებული სოხმების ბედი, რომლებიც იტანჯება „ტყეებსა და მთებში“. (პიჩიკიანი, 1918, გვ. 1)

როდესაც ვსაუბრობთ სომხების მიერ ქართველების აღქმაზე, უნდა ითქვას, რომ ქართულ-სომხური ომის შემდგომ პერიოდში „მშაკში“ ვკითხულობთ დაღეთ-ხაჩენის რაიონში ქართველების მიერ განხორციელებული თავდასხმების შესახებ. ამ რაიონის მცხოვრები, ჰარუთინ ალავერდიანი თავის გაცხადებაში აღწერს რაიონში არსებულ მდგომარეობას და დახმარებას სთხოვს. ალავერდიანის თანახმად, დაღეთ-ხაჩენისა და მასთან ახლოს მდებარე სოფლებში ყოველდღიურად უარესდება მოსახლეობის მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ომი დასრულდა, ქართული ახალი სოფლის და კლდესის მაცხოვრებლებმა ახალი სოფლის კომისარის მეთაურობით სომხებს

წაართვეს და წაიყვანეს „600 ცხვარი, 250 ხარი, ძროხა და ცხენი, წაიღეს ასევე ოქრო“. გარდა ამისა, ალავერდიანის ცნობით, მათ ასევე წაიყვანეს 5 ტყვე. რაც შეეხება კლდესში მცხოვრებ ქართველებს, მათ ცემეს ერთი სომეხი და წაართვეს მას ფული. ეს ყველაფერი, განმცხადებლის თანახმად, ხდება მხოლოდ სომხურ სოფლებში. ამიტომ ალავერდიანი თხოვნით მიმართავს როგორც საქართველოს მთავრობას, ასევე სომხურ ეროვნულ საბჭოსა და პარლამენტის სომეხ წევრებს, დახმარება გაუწიონ ამ სოფლების მცხოვრებლებს და უზრუნველყონ მშვიდი ცხოვრება. განცხადება მთავრდება შემდეგნაირად: „გთხოვთ, გადაგვარჩინეთ“. (მდგომარეობა დაღეთ-ხაჩენის რაიონში, 1919, გვ. 4)

უნდა აღინიშნოს, რომ ომის შემდგომ პერიოდშიც სომხებზე ვრცელდებოდა შეზღუდვები. ასე, მაგალითად, „მშაკში“ აღნიშნავენ, რომ საქართველოს საზღვრები არის ჩაკეტილი სომხებისათვის. მეტიც, სანაჰინში ქართველები არავითარ შემთხვევაში არ უშვებენ არცერთ სომეხს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი საქართველოს მოქალაქეა და წარადგენს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ საბუთებს. მათ არც ნეიტრალურ ტერიტორიაზე შესვლის უფკებას აძლევენ. ხოლო ნებისმიერი სომეხი, რომელსაც თბილისში ჩამოსვლა სურდა, მას დასცინოდნენ შეურაცხყოფას აყენებდნენ. გარდა ამისა, საქართველოში არ უშვებდნენ საქართველოს სომხების ეროვნული საბჭოს წევრებს და ეუბნებოდნენ, რომ მარტო ის, რომ სომხები არიან უკვე საკმარისია, რომ არ შეუშვან, რადგან ქვეყნის საზღვრები ყველა სომხისათვის არის ჩაკეტილი. სტატიაში ასევე განხილულია შემთხვევა, როდესაც სადახლოში ჩამოსული სომეხი ახალგაზრდა გააშიშვლეს და ის ძლივს დაბრუნდა უკან. შესაბამისად, ქართველების ქმედებების შედეგად, საქართველოში მცხოვრები სომხების გარკვეული ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავდა იმასთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი საქართველოს ქვეშევდომები არიან, მათ უსამართლოდ ეპყრობიან. (ახალი შეზღუდვები, 1919, გვ. 2)

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სომხებს სჯერათ, რომ ქართველი ხალხი, როგორც ასეთი, არ არის დამნაშავე იმაში, რომ ომის შედეგად, სომხებისათვის შეიქმნა რთული ვითარება. „მშაკის“ თანახმად, ქართველი ხალხი არის საქართველოს მთავრობის გავლენის. სტატიაში აღნიშნავენ, რომ თბილისისა და ქუთაისის საპყრობილეები სასაფლაოდ იქცა სომხებისათვის. ხოლო თელავის, სიღნაღისა და

სხვა რაიონების სომხების მიმართ ხორციელდება ტერორი, რაც არის სომხების მიმართ განხორციელებული პოლიტიკის ნაწილი. ერთაედრთი საშუალება, რომ სომხებმა გამოვიდნენ ამ მდგომარეობიდან არის ინგლისის მთავრობისათვის დახმარების თხოვნა. შესაბამისად, სომხებს მაინც შენარჩუნებული აქვთ მეგობრული დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ, ისინი უკმაყოფილებას საქართველოს მთავრობის პოლიტიკის გამო გამოხატავენ. (ხანგრძლივი ომის მდგომარეობა, 1919, გვ. 1)

სომხების მიერ ქართველების აღქმასა და მათ მიმართ დამოკიდებულებაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-სომხური ომის შედეგად შეიცვალა ქართველების დამოკიდებულება სომხებისადმი, რასაც ადასტურებს დარბინიანი, რომელიც საუბრობს მდგომარეობაზე ქართულ-სომხურ შერეულ სოფელში - დუმანისში. აღსანიშნავია, რომ ამ სოფელში მცხოვრებმა სომხებმა იციან ქართული, ხოლო სომხურს არ ფლობენ. სოფლის მცხოვრებლების თანახმად, სანამ დაიწყებოდა ქართულ-სომხური ომი, ისინი არ დაფიქრებულან იმაზე, რომ სომხები არიან: „რა ქართველი, რა სომეხი. ვცხოვრობდით ერთად და ვიყავით მეზობლები, ძმები და მძახლები". თუმცა, როდესაც მოვიდნენ სამხედროები, სწორედ სომხების წინააღმდეგ დაიწყეს ძალადობა და ძარცვა. ამ უკანასკნელებმა არ იცოდნენ ასეთი მოპყრობის მიზეზი და მხოლოდ მოგვიანებით გაიგეს, რომ „საქმე მათ სომხობაში იყო." (დარბინიანი მ., 1919, გვ. 4) შესაბამისად, სტატიაში კარგად ჩანს, თუ როგორ აღიქვამდნენ ამ სოფლებში მცხოვრები სომხები ქართველებს. მშაკის თანახმად, სწორედ პოლიტიკური ელიტა არის ორ ხალხს შორის ურთიერთობების განმაპირობებელი ფაქტორი. თუმცა, ისის უნდა აღინიშნოს, რომ „მშაკში" კარგად ჩანს, რომ როგორც ქართველებს, ასევე სომხებს სურთ, რომ შეინარჩუნონ მეგობრული ურთიერთიბები მომმე ხალხთან.

5.5 კულტურული ავტონომიის საკითხი და უმცირესობების უფლებები

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სომხური ეროვნული საბჭო 1920 წლის გაზაფხულზე ეცნობოდა საქართველოს სომხური მოსახლეობის ავტონომიის თეზისებს, რომლებიც წარდგენილი იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების

საკონსტიტუციო კომისიაზე. აღნიშნული თეზისების მიხედვით, საქართველოში მცხოვრებმა სომხებმა უნდა შექმნან სომხური ეროვნული ავტონომია, რომელიც უნდა განახორციელოს ეროვნულმა კრებამ. სომხური ეროვნული ავტონომიის ქონება უნდა ჩაითვალოს საქართველოს სომხური ეროვნული საბჭოს საკუთრებად. (საქართველოს სომხების ავტონომია, 1920, გვ. 1)

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი პუნქტის თანახნად, იმ რაიონებში, სადაც სომხური მოსახლეობა 15 %-ს ან მეტს შეადგენს, სომხური ენა მიიღოს სახელმწიფო ენასთან გათანაბრებული სტატუსი როგორც თვითმმართველობის ორგანოებში, ასევე სასამართლოებში, საფოსტო-სატელეგრაფო ურთიერთობებში. ეგ დაწესებულებებმა და ოფიციალურმა პირებმა სომხებთან ურთიერთობებისას ვალდებულები არიან არა მხოლოდ მიიღონ განცხადებები და სხვა დოკუმენტები ზეპირ და წერით ფორმაში, არამედ უპასუხონ და გასცენ დოკუმენტი სომხურ ენაზე. ამავე დროს, გარდა ქართულისა, სომხურ ენაზე უნდა გამოქვეყნდნეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები, ბრძანებები და ზემოთ აღნიშნული ორგანოების გადაწყვეტილებები. სომხურ სკოლებში სწავლების ენა უნდა იყოს სომხური. თუმცა, სკოლებში ქართული ენის შესწავლა უნდა იყოს სავალდებულო. გარდა ამისა, მინისტრთა საბჭოს სხდომებზე უნდა იყოს სომხური ეროვნული ავტონომიის სომხების საქმეების წარმომადგენელი. (საქართველოს სომხების ავტონომია, 1920, გვ. 1)

განიხილავენ რა მშობლიური ენის საკითხს კანონპროექტში, „მშაკში“ აღნიშნავენ, რომ ენა წარმოადგენს ეროვნების უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს გამომხატველს და შეადგენს მთელი ერის წმინდა საგანია. უძველესი დროიდან ეროვნული ენა იყო უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ეროვნული მოზრაობებისა და ბრძოლებში. თუმცა, როგორც აღნიშნულია გაზეთში, მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის თანახმად, ყველა ეროვნულ უმცირესობას აქვს უფლება ილაპარაკოს, წაიკითხოს, დაწეროს თავის მშობლიურ ენაზე, არ არის აღნიშნული თუ როგორ უნდა განახორციელოს ეს. (საქართველოს სომხები II. 1920, გვ. 1)

სომხები წარმოადგენენ საქართველოს არა მხოლოდ რიცხობრივად ყველაზე დიდ უმცირესობას, არამედ თავისი მნიშვნელობით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჰქონდათ. შესაბამისად, გაზეთში აღნიშნავენ, რომ როგორც ეროვნულ

უმცირესობებს სომხებს უფლება აქვთ არასაკმარისად მიიჩნიონ საქართველოს საკონსტიტუციო პროექტით მისანიჭებელი როლი. უსვამენ რა ხაზს ქართველი მეფეების პოლიტიკას, რომელიც გულისხმობდა სომხების საქართველოში ჩამოსახლებას ვაჭრობის განვითარებისა და საქალაქო წყობის განვიტარების მიზნით, სტატიაში აღნიშნავენ, რომ სომხების მოთხოვნა არის სამართლიანი. (საქართველოს სომხები III, 1920, გვ. 1)

6. საქართველოში მცხოვრები სომხების თვითაღქმა

სომხების იდენტობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს სომხების თვითაღქმა, რომელიც ერთი მხრივ, დამოკიდებულია მტერთან მიმართებაში საკუთარი თავის აღქმა, ხოლო მეორე მხრივ, ხალხის თვითაღქმა, რომელიც შეიძლება იყოს გამოხატული თვითკრიტიკაში.

6.1. სომხები, როგორც ტანჯული ხალხი და თურქი, როგორც მტერი

უნდა ითქვას, რომ საკვლევი თემის პერიოდში სომეხი ხალხის ყოფნა - არყოფნის საკითხი იდგა, რაც არაერთხელ არის ხაზგასმული სომხურ პრესაში. „ჩვენს ქვეყანაში ჯერ ღამეა, სიბნელე, ჩვენს სამშობლოში სისხლი და ნგრევა“. უნდა აღინიშნოს, რომ სომეხი ერი თავს ტანჯულ ერად აღიქვამს. ვაღინაკის თანახმად, ომის წლები ყველაზე მძიმე, საშინელი იყო, განსაკუთრებით სომხებისათვის. (ვაღინაკი, 1918ა, გვ. 1) „როდემდე უნდა ვიმგლოვიაროთ და ვიტიროთ? ნუთუ ჩვენი სამყარო სიკვდილის სამყაროა, ჩვენი ცხოვრება კი სასაფლაო?“- ასე მგლოვიარობს სომხების მდგომარეობას მამა ხრიმიანი. (ვაღინაკი, 1918ბ, გვ. 1)

„მშაკის“ თანახმად, სომეხი ხალხი აღმოჩნდა „საშინელი კატასტროფის წინაშე“, და დარჩა ძალიან პატარა ტერიტორიაზე, სადაც მას „არავინ არ უწვდის დახმარების ხელს“. უნდა ითქვას, რომ სტატიაში სომხები ნახსენები არიან როგორც „საუკუნეების განმავლობაში ტანჯული ხალხი“. (ნავასარდიანი, 1918, გვ. 2)

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მსოფლიო ომის და ხოცვა-ჟლეტის პერიოდში თურქული სომხები იძულებულები იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი ადგილები, თავშესაფარი კი ნახეს საქართველოში. თუმცა, თვითონ საქართველო მომარაგების მხრივ რთულ მდგომარეობაში იყო, შესაბამისად, დევნილი სომხების დიდი ნაწილი გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში. (არაქელიანი, 1918ვ, გვ. 1) აქედან გამომდინარე, მთავარ მტრად რჩებოდა თურქი, რომელმაც გამოიწვია სომხების მასობრივი და ძალადობრივი გადასახლება.

აღსანიშნავია, რომ „ჟოღოვრდი ძაინ“-ის თანახმად, სომეხი ხალხის მძიმე მდგომარეობა იყო განპირობებული არა მხოლოდ არაკეთილმოსურნე მეზობლების

დამოკიდებულებით, არამედ იმ ფაქტორითაც, რომ სომეხი ხალხი გაიფანთა მთელ მსოფლიოში და აღმოჩნდა რა „სამშობლოს მოწყვეტილი და უცხოელების გავლენისა და წნეხის ქვეშ, დიდიხანია ვერ მოქმედებდა და ვერ ვითარდებოდა ისე, როგორც სასურველი იყო და როგორც კარნახობდა ჯანსაღი ეროვნული პოლიტიკის ყველაზე ელემენტარული მოთხოვნები“. სწორედ ამიტომ, სომხებმა ვერ შეძლეს ასეთ მნიშვნელოვან პერიოდში მოეძებნათ მათი მტკიცე გზა. (გაურკვევლობას ბოლო უნდა მოეღოს, 1919, გვ. 2)

სომხების ბედზე საუბრისას, „მშაკში“ აღნიშნავენ, რომ არ არსებობს არანაირი ეჭვი იმაზე, რომ „სომეხ ხალხს განუწყვეტელი და მუდმივი განსაცდელების დაწყევლილი ბედისწერა აქვს. ჯერ არ გაუვლია ერთი განსაცდელი და უკვე მეორე ატყდება თავს, და ასე უსასრულოდ.“ სტატიის მიხედვით, ადამიანთა ტანჯვას დასასრული და ზღვარი აქვს, მაგრამ არა სომხების შემთხვევაში, რასაც ადასტურებს ბოლო შვიდი წელი(1914-1921 წ.წ.), მსოფლიო ომით დაწყებული. „მშაკის“ თანახმად, ჯერ არ გათავისუფლებულა ამ ტანჯულ ხალხს ქემალისტური თავდასხმების საშინელი შედეგებისაგან და უკვე ახალი განსაცდელი ელოდება. საბოლოოდ, „სომხების პატარა და გასისხლიანებული მიწა ჯოჯოხეთად იქცევა“. (ახალი გასაცდელი, 1921, გვ. 1)

6.2. სომხების თვითკრიტიკა

აღსანიშნავია, რომ სომხების ბედსა და მდგომარეობაზე საუბრისას, „მშაკში“ ხშირად ისმის თვითკრიტიკა. ასე, ვაღინაკი თავის რამდენიმე სტატიაში განიხილავს სომხების მდგომარეობას, მთავარ შეცდომებს და იმას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი. ავტორი ამტკიცებს, რომ რადგან სომხებს არ ჰყავდათ „გამოცდილი და გონივრული მოქალაქეები და მმართველები, ორგანიზაციული საქმისკენ არ იყვნენ მიდრეკილები, შედეგად, მოხდა მათი დაყოფა... ეროვნული საქმე მონოპოლისტური გავხადეთ“. (ვაღინაკი, 1918გ, გვ. 1)

ვაღინაკი აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში „ყველა მღვდელი მასწავლებელი იყო“, ხოლო უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში არის ის დრო, როდესაც წიგნიერების გავრცელებას ხელს უწყობენ სპეციალისტი მასწავლებლები. ავტორი აკრიტიკებს სომხებს იმაში, რომ ასეთი პროგრესი არ შეინიშნება პოლიტიკისა და

დიპლომატიის სფეროში, სადაც „ყველა, ვისაც თავისუფალი დრო აქვს, პოლიტიკით არის დაკავებული“. „ყოველი სომეხი თავს პოლიტიკოსად და დიპლომატად თვლის, ბჭობს, ადანაშაულებს, აკრიტიკებს, თავის აზრს აცხადებს ისეთ რთულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შორს არის მისი გამოცდილებისგან, მისი მოღვაწეობის სფეროსგან.“ ამიტომ, ავტორის აზრით, ყველა უნდა იყოს თავის ადგილას. (ვაღინაკი, 1918გ, გვ. 1)

წინა თავში რელიგია განხილული იყო როგორც სომხური იდენტობის ერთ-ერთი მარკერი. უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ პერიოდში აქტიურად მიდის რელიგიის როლის დასუსტება და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სომხური ენას. ასე, „მშაკში“ აღნიშნავენ, რომ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში უკვე დიდი ხანია რელიგია არ ისწავლება სკოლებში. წარსულში რელიგია იყო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ტირანიის ხელში, რათა დაესუსტებინათ ხალხის კრიტიკული აზროვნება. საქართველომ რელიგია არასავალდებულო საგნად აღიარა. თუმცა, გაზეთის თანახმად, რამდენიმე სომეხი მოძღვარი შესულია თბილისის სომხურ გიმნაზიებში, როგორც სომხური ენის მასწავლებელი. უწოდებს რა მათ „შუა საუკუნეების ფანატიკოსებად“, სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ისინი[მოძღვრები] სარგებლობენ შემთხვევით და სკოლაში რელიგიის ქადაგებას იწყებენ, რაც ძნელად აღსაქმელია ბავშვების გონებისათვის. ამის მიუხედავად, მამაოები არწმუნებენ მოსწავლეებს იმაში, რომ ქადაგება სომხური ენის გაკვეთილებზე უფრო მნიშვნელოვანია. საჭიროა ამ არასასურველ ფაქტებზე ყურადღების გამახვილება და რელიგიური პირების მიერ განათლების ასპარეზის დატოვება და ეკლესიის მოღვაწეობის სფეროში დაბრუნება. (ჩვენს გიმნაზიებში, 1919, გვ.3)

უნდა აღინიშნოს, რომ „მშაკის“ ერთ-ერთ ნომერში კი ისმის კრიტიკა მიმართული სომხური ეროვნული საბჭოსადმი, რომელიც სტატიის თანახმად, ვერ ასრულებს თავის როლს და ვერ იცავს სომეხი ხალხის ინტერესებს. ”ხალხის საერთო აზრი არის ის, რომ მოქმედი ეროვნული საბჭო თავისი შემადგენლობით, თავისი არჩევანის პირობებით არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს სომეხი ხალხის სურვილისა და ნების ნამდვილ გამომხატველად...” (თურქეთის ულტიმატუმი, 1918, გვ. 1)

აღსანიშნავია, რომ როდესაც „მშაკში“ საუბრობენ მისი რედაქტორის, ჰამბარცუმ არაქელიანის მკვლელობაზე, აღნიშნავენ, რომ იმის მაგივრად, რომ ერთად

გადატანილი ამდენი უბედურების შენდეგ, სომხებმა გაერთიანდნენ და ერთმანეთი დაიცვან, ისინი დაუნდობლად კლავენ დიდ სომეხ პუბლიცისტს. ავტორი აკრიტიკებს სომხებს იმის გამო, რომ მათ მოექცნენ ჰამბარცუმიანს, როგორც სასტიკ მტერს. სწორედ ამიტომ, ავტორი აღნიშნავს, რომ „ციხე-სიმაგრეს შიგნიდან იღებენ“. შესაბამისად, მისი აზრით, სომეხი არის სომხის მტერი. (ნავასარდიანი, 1918, გვ. 2)

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ცნობილი სომეხი მწერლის, შირვანზადეს სტატია, რომელშიც მწერალი მიმართავს ყველა შოვინისტს და აღნიშნავს, რომ შოვინიზმი არის დამღუპველი, ხოლო რუსული შოვინიზმის შედეგები არის სახეზე. „გარდა იმისა, რომ სულელია და უსინდისო, სასაცილოა ჩვენი ქვეყნის ყველა ის შოვინისტი, იქნება ეს სომეხი, ქართველი თუ თურქი (იგულისხმება ეთნიკურად აზერბაიჯანელი), ვინც ოცნებობს თავისი ერისათვის მიაღწიოს ჰეგემონობას ჩვენს ქვეყანაში. ვინც ამ სამივე ერიდან ფიქრობს, რომ შეძლებს ამა თუ იმ მეზობლის გადაყლაპვას, ძალიან დიდი წარმოდგენის უნდა იყოს საკუთარ საცოდავ კულტურაზე...“. საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ შირვანზადეს თანახმად, ამიერკავკასიის სამი ხალხის ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ ძმათამკვლელ ომამდე მიიყვანს. მისი თქმით, ამიერკავკასია არის სამფეხა, რომლის ფეხებს სამი ხალხი წარმოაგდენს. (შირვანზადე, 1918, გვ. 4)

6.3. სომხები უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სომხეთი

აღსანიშნავია ვაღინაკის სტატია, რომელიც ეხებოდა ცნობილი სომეხი მწერლის, ვაჰან ტერიანის ლექციას, რომელიც მან წაიკითხა ისეთი აუდიტორიის წინაშე, სადაც ყველა ტიპის პატრიოტი იყო. ტერიანი საუბრობდა „სულიერ სომხეთზე“, რადგანაც თვლიდა, რომ სომხეთის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგადაც რთული იყო მისი შენახვა იმ ძალებით, რომლებიც გააჩნდათ სომხებს. ამგვარად, სულიერი სომხეთი გულისხმობდა „სომხეთს ტერიტორიის გარეშე“. „ყველა სომეხს, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ცხოვრობდეს, შეუძლია გაერთიანება საერთო სულიერი კავშირით, კულტურით, ენით, ხელოვნებითა და ლიტერატურით“. (ვაღინაკი, 1918დ, გვ. 1)

სომხების მდგომარეობასა და სახელმწიფოს მშენებლობაზე საუბრისას, ვაღინაკი აღნიშნავს, რომ სომეხი ხალხი არის მნიშვნელოვანი, რადგან სომხეთის მშენებლობა აზრს კარგავს, თუ ხალხი „ველებსა და ტყეებში“ არის დარჩენილი. მის აზრით, პირველ რიგში საჭიროა ხალხის გამოყვანა რთული მდგომარეობიდან, საჭიროა გაფანტული სომხების თავიანთ სახლებში დაბრუნების უზრუნველყოფა. „სომხობა, უდაოდ, უფრო დიდია თავისი ღირებულებით, ვიდრე სომხეთი: სომხები შეიძლება წარმოვიდგინოთ სომხეთის გარეშე, როგორც უკვე მომხდარა, მაგრამ სომხეთი სომხების გარეშე წარმოუდგენელია, როგორც ეს არის „თურქულ სომხეთში.“ (ვაღინაკი, 1918გ, გვ. 1)

დასკვნა

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება ქართველი ერის ისტორიაში, 1918 წელს გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა. უნდა ითქვას, რომ ამ ისტორიულმა აქტმა დიდი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ქართველების ცხოვრებაზე, არამედ საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხის, სომხების ცხოვრებაზეც.

გარდა იმისა, რომ ამ ორ ხალხს თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია აკავშირებს, საქართველო გახდა მეორე სამშობლო სომხებისათვის, რაც განპირობებული იყო იმ მრავალი გადასახლებით, რომლებიც მიმდინარეობდა თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე. საქართველო, კერძოდ კი, თბილისი გახდა სომხების კულტურისა და იდენტობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ცენტრი. სწორედ აქ მოღვაწებდნენ ცნობილი მწერლები, აქ მოქმედებდა სომხური თეატრები, გამოდიოდა სომხური პრესა. აქ შეიქმნა მთავარი პოლირიკური პარტიები. მეტიც, სწორედ თბილისში 1918 წელს გამოაცხადეს სამხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ერთი მხრივ, იწყება ახალი ეტაპი ქართულ-სომხურ ურთიერთობებში. მეორე მხრივ, სომეხი ხალხი ახალი გამოწვევების წინაშე დგება. ნაშრომში მოცემული ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯერ ერთი, 1918-1921 წლები იყო ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი, და ამავე დროს რთული პერიოდი ამიერკავკასიის ხალხებისათვის, განსაკუთრებით კი სომხებისა და ქართველებისათვის.

მეორე, დამოუკიდებელ საქართველოში დადგა ახალი რეალობა ამ ქვეყანაში მცხოვრები სომეხი ხალხისათვის, რომლისთვისაც თბილისი ისტორიულად დიდ მნიშვნელობას წარმოადგენდა. მესამე, ამ პერიოდში მიმდინარეობდა პარტიული ბრძოლა ორ სომხურ პარტიას შორის, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ სომხურ მოსახლეობაში. მეოთხე, მიუხედავად პოლიტიკური ელიტის პოლიტიკისა, არ არსებობდა ერთიანი აზრი სომხურ მოსახლეობაში ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებისაა ერის მომავალი, მისი მტრის ხატი და სხვა საკითხები. მეხუთე, ქართულ-სომხური ომი იყო ის მნიშვნელოვანი გვერდი ორივე ხალხის ისტორიაში, რომელიც შექმნა საუკუნოვანი ძმური ხალხების ერთმანეთისგან დაშორების საფრთხე. მან გამოიწვია ბევრი გავლენიანი პოლიტიკური თუ კულტურული მოღვაწის შეწუხება და რეაქცია. მეექვსე, ლიბერალური შეხედულებების მქონე გაზეთ „მშაკში“ სომეხი ხალხის რთულ მდგომარეობას ხსნიან „დაშნაკცუთიუნის“ პარტიის დამღუპველ პოლიტიკით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სომხებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტერიტორიები, რომლებიც ძირითადად სომხებით იყო დასახლებული.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცხოვრები სომხები საქართველოს თავიანთ სამშობლოდ აღიქვამდნენ, სადაც ისინი დაიბადნენ და სადაც იყო მათი „მიწა-წყალი“. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც დადგა მოქალაქეობის საკითხი, სომხებს სურდათ საქართველოს ქვეშევრდომები, შესაბამისად, მოქალაქეები გამხდარიყვნენ იმ იმედით, რომ მათ ექნებოდათ ქართველებთან თანაბარი უფლებები. გარდა ამისა, სომხურ სკოლებში ქართული ენის შესწავლაზე მათი პოზიცია ასევე იყო ნათელი: ქართული ენა იყო დასაშვები იმ შემთხვევაში, თუ არ იქნებოდა ამოღებული სომხური, როგორც სკოლის ძირითადი ენა.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბდალაძე, ა. (2008). *საქართველო და სომხეთი.* თბილისი: ეგრისი

აბრაჰამიანი, ა.გ. (1964). *სომხური კოლონიების ისტორიის მოკლე ნარკვევი.* ერევანი: ჰაიპეტრატ (სომხურ ენაზე)

გაჩეჩილაძე, რ. (2013). *საქართველო მსოფლიო კონტექსტში: XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* სახელმძღვანელო მაგისტრანტებისათვის. თბილისი: მეცნიერება

ვარდანიანი, თ. (2002). *სომხები თბილისში. დროის გამოწვევები და თემის პერსპექტივები.* ხელმისაწვდომია: http://www.noravank.am/ am.pdf, ბოლო ნახვა: 11.04.17 (სომხურ ენაზე)

ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში.* თბილისი: Center for Social Sciences.

ლეო. (1985). თხზულებათა კრებული 10 ტომად. ტომი VIII. ერევანი: საბჭოთა მწერალი (სომხურ ენაზე)

ლომსაძე, შ. (2011). *სამცხე-ჯავახეთი: მე-18 საუკუნის შუაწლებიდან მე-19 საუკუნის შუაწლებამდე.* ახალციხე: ახალციხის უნივერსიტეტი

მაისურაძე, გ. (1982). *ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში.* თბილისი: მეცნიერება

მაისურაძე, გ. (1999). *საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.).* თბილისი: მეცნიერება

მაისურაძე, გ. (2008). *ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან.* თბილისი: კავკასიური სახლი. 137-138; ციტატა - ნოე ჟორდანია, (1990). *ჩემი წარსული.* თბილისი, 92-93

მუსხელიშვილი, დ. (1998). *კავკასიური პოლიტიკა შუა საუკუნეების საქართველოში (XIII საუკუნემდე).* ქართული დიპლომატია. წელიწდეული. V ტომი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.13.

პარსამიანი, ვ.ა, ჰარუთიუნიანი შ. რ.. (1979). *სომეხი ხალხის ისტორია (1801-1978 წწ.).* ერევანი: „ლუის“ (სომხურ ენაზე)

ჟამკოჩიანი, ჰ. გ., აბრაჰამიანი ა. გ., მელიქ-ბახჩიანი, ს.ტ, პოღოსიანი ს.პ.. (1975). *სომეხი ხალხის ისტორია. დასაბამიდან მე-18 საუკუნის ბოლომდე.* ერევნის უნივერსიტეტის გამომცემლობა (სომხურ ენაზე)

სარგსიანი, ა. ჰაკობიანი, ა. (2004.) *სომეხი ხალხის ისტორია(უძველესი პერიოდიდან დღემდე).* სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სომხეთის სახელმწიფო საინჟინრო უნივერსიტეტი. ერევანი: „ჭარტარაგეტი“. ხელმისაწვდომია: http://library.anau.am/Sargsyan.pdf, ბოლო ნახვა: 09.04.17 (სომხურ ენაზე)

სმითი, ე. (2008) *ნაციონალური იდენტობა.* თარგმნა ლელა პატარაძემ. თბილისი: ლოგოს პრესი

სმოიანი, გ. (1997). *ჯავახკი: ვინ ვართ ჩვენ.* ერევანი (სომხურ ენაზე)

ტაბიძე ტ. (თარიღის გარეშე). ოვანეს თუმანიანი (ნაწყვეტი მოგონებიდან). საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია: http://www.nplg.gov.ge/ , (ბოლო ნახვა: 12.04.17)

ხორენაცი, მ. (1984). *სომხეთის ისტორია*. ძველი სომხურიდან თარგმნა ალექსანდრე აბდალაძემ. თბილისი: მეცნიერება

Barrington, L. (2009). *After Independence. Making and Protecting the Nation in Post-Colonial and Post-Communist States.* The University of Michigan Press

Kurkjian, V. (1958). *A History of Armenia*. Armenian General Benevolent Union of America. ხელმისაწვდომია: http://penelope.uchicago.edu/Thayer/E/, ბოლო ნახვა: 05.04.17

Suny, R. G. (1994). *The Making of Georgian Nation*. Indiana University Press., 186-208

Yepremyan, T., Tavitian, N. (2016). *A Europe of Diasporas. A Brief Introduction to Diasporas in Europe.* 20-24. ხელმისაწვდომია: http://www.academia.edu/A BRIEF INTRODUCTION TO DIASPORAS IN EUROPE (ბოლო ნახვა: 04.02.17)

Zekiyan, B. L. (1997). *The Armenian Way to Modernity. Armenian Identity between Tradition, Innovation, Specificity and Universality*. Venezia: Supernova

Агаян, Ц. (1978). *Присоединение Восточной Армении к России. том II (1814-1830). Сборник документов.* Ереван: Издательство Академии Наук Армянской ССР. ხელმისაწვდომია: http://serials.flib.sci.am/nyut_hay_jogh_patm_up, ბოლო ნახვა: 10.04.17

Глинка, С. (1832). *Обозрение Истории Армянского Народа. От начала бытия его до возрождения области армянской в Российской Империи.* Москва: Типография восточных языков.

Лэнг, Д. (2004). *Армяне. Народ-созидатель*. Перевод с английского Е. Ф. Левиной. Москва: ЗАО Центрполиграф

Тетвадзе, Ш., Тетвадзе, О. (2008). *Армяне в Грузии: (С древних времен до сегодняшнего дня).* Перевод с грузинского Нино Инцкирвели. Тбилиси: Универсал. 90-190

Հովհաննիսյան, Ա. (1957). *Դրվագներ հայ ազատագրական մտքի պատմության,* 1-ին գիրք. Երևան

გაზეთები:

ალავერდიანი ჰ. (1919, 28 იანვარი). მდგომარეობა დაღეთ-ხაჩენის რაიონში. *მშაკი (Մշակ),* გვ. 4

ამიერკავკასიის სახელმწიფო საკუთრების ლიკვიდაციის საკითხი. (1918, 4 ივნისი). *მშაკი (Մշակ),* გვ. 2

ამიერკავკასიის სეიმი, სამშვიდობო მოლაპარაკებები და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. (1918, 29 მაისი). *მშაკი (Մշակ),* გვ. 1

არა, არასოდეს? (1919, 12 იანვარი). *მშაკი (Մշակ),* გვ. 1

არაქელიანი ჰ. (1918, 15 ოქტომბერი). შეინარჩუნეთ მშობლიური სცენა. *მშაკი (Մշակ),* გვ. 1

არაქელიანი ჰ. (1918, 3 ივლისი). ჩვენი პოზიცია ძალიან ნათელია. *მშაკი (Մշակ),* გვ. 1

არაქელიანი ჰ. (1918, 4 ივნისი). დადებული ზავი. *მშაკი (Մշակ),* გვ. 1

არაქელიანი ჰ. (1918, 6 ივნისი). სომეხი ხალხის უახლოესი მომავალი. *მშაკი(Մշակ),* გვ. 1

არაქელიანი ჰ. (1918ა, 6 ივლისი). სომხობა დუმს. *მშაკი*(Մշակ), გვ. 1

არაქელიანი ჰ. (1918ბ, 13 ივნისი). კონსტანტინეპოლის კონფერენცია. *მშაკი (Մշակ),* გვ. 1

არაქელიანი ჰ. (1918გ, 30 მაისი). კიდევ ერთი ისტორიული აქტი. *მშაკი (Մշակ).* გვ. 1

არაქელიანი ჰ. (1918დ, 16 ივნისი). საქართველოს მოთხოვნა არის უსამართლო. *მშაკი* (Մշակ), გვ. 1

არაქელიანი ჰ. (1918ე, 31 მაისი). მოსალოდნელი შედეგები. *მშაკი* (Մշակ), გვ. 1

არწრუნი გ. (1875ა, 31 ივლისი). ახალგახსნილი მეანის მოსამზადებელი სკოლა თბილისში. *მშაკი* (Մշակ), გვ. 1

არწრუნი გ. (1875ბ, 27 მარტი). ეგ იქნებოდა თქვენი ვალდებულება. *მშაკი* (Մշակ), გვ. 1

არწრუნი გ. (1876ა, 26 თებერვალი). კონდაკის თაობაზე. *მშაკი* (Մշակ), გვ. 1

არწრუნი გ. (1876ბ, 30 სექტემბერი). ჩვენც ვართ ებრაელები. *მშაკი* (Մշակ), გვ. 1

არწრუნი გ. (1877ა, 15 სექტემბერი). რელიგია და მიგრაცია. *მშაკი* (Մշակ), გვ. 1

არწრუნი გ. (1877ბ, 5 აპრილი). ენა და ერი. *მშაკი* (Մշակ), გვ. 1

არწრუნი გ. (1880ა, 19 სექტემბერი). მშობლიური ენა. *მშაკი* (Մշակ), გვ. 1

არწრუნი გ. (1880ბ, 24 ივნისი). ელემენტარული ფიქრები. *მშაკი* (Մշակ), გვ. 1

არწრუნი გ. (1881, 24 ნოემბერი). ეზუიტები სომხეთში. მშაკი (Մշակ), გვ.1

აღასარიანი ბ. (1913, 12 იანვარი). მშობლიური ენა, როგორც შემომქმედი ფაქტორი. მშაკი (Մշակ), გვ. 3

ახალი გასაცდელი. (1921, 15 თებერვალი). მშაკი (Մշակ), გვ. 1

ახალი შეზღუდვები. (1919, 1 თებერვალი). მშაკი (Մշակ), გვ. 2

გავიგოთ მაინც. (1921, 16 თებერვალი). მშაკი (Մշակ), გვ. 1

გაურკვევლობას ბოლო უნდა მოეღოს. (1919, 2 თებერვალი). ჟოღოვრდი ძაინი (ժողովրդի ձայն), გვ. 2

დარბინიანი მ. (1919, 11 მარტი). ბოლნის-ხაჩენში. მშაკი (Մշակ), გვ. 4

ენა და ცხოვრება. (1872, 16 მარტი). მშაკი (Մշակ), გვ. 1

ერთი ბრძანების გამო. (1918, 17 აგვისტო). მშაკი (Մշակ), გვ. 1

ვაღინაკი. (1918ა, 9 ივნისი). ჩვენი აწმყო. *მშაკი* (Մշակ), გვ. 1

ვაღინაკი. (1918ბ, 11 ივნისი). სულიერი სომხეთი. მშაკი (Մշակ), გვ. 1

ვაღინაკი. (1918გ, 13 ივნისი). ჩვენი აწმყო V. მშაკი (Մշակ), გვ. 1

ვის წინააღმდეგ გამოსვლისთვის ემზადებოდნენ დაღეთ - ხაჩენის მაცხოვრებლები? (1919, 10 იანვარი). მშაკი (Մշակ), გვ. 4

ვიჩქაროთ. (1919, 3 იანვარი). მშაკი (Մշակ), გვ. 1

ზოჰრაბიანი ა. (1919, 7 იანვარი). წერილი ჟორდანიას. მშაკი (Մշակ), გვ. 1

თანამედროვე ენის შესახებ. (1880, 6 თებერვალი). *მშაკი* (Մշակ), გვ. 1

თბილისის პოლიტიკური მდგომარეობა. (1918ა, 8 აგვისტო). *მშაკი* (Մշակ), გვ. 4

თბილისის პოლიტიკური მდგომარეობა. (1918ბ, 10 აგვისტო). *მშაკი* (Մշակ), გვ. 4

თბილისის საკითხი. (1919, 7 თებერვალი). *მშაკი* (Մշակ), გვ. 4

თურქეთის ულტიმატუმი. (1918, 29 მაისი). მშაკი (Մշակ), გვ. 1

იარო. (1876, 5 აგვისტო). ისტორია: ჩვენ და ისინი. მშაკი (Մշակ), გვ. 1

ლიტერატურული მაღაზია. (1872, 24 აგვისტო). მშაკი (Մշակ), გვ. 1

ნავასარდიანი ბ. (1918, 14 ივლისი). ციხე-სიმაგრის შიგნიდან აღება. მშაკი (Մշակ), გვ. 2

ნიჭით თუ ფულით. (1895, 18 მარტი). მშაკი (Մշակ), გვ.1

ორი სიტყვა „საქართველოს“. (1918, 7 ივნისი). მშაკი (Մշակ), გვ. 4

პიჩიკიანი ი. (1918, 23 ივნისი). მე ვადანაშაულებ. მშაკი (Մշակ), გვ. 2

რას აკეთებენ სომეხი დელეგატები? (1919, 10 იანვარი). მშაკი (Մշակ), გვ. 2

რატომ არ გვესმის ერთმანეთის? (1872, 10 თებერვალი). მშაკი (Մշակ), გვ. 1

საპარლამენტო მოთხოვნა. (1919, 1 იანვარი). მშაკი (Մշակ), გვ. 2

საქართველო და სომეხი დევნილები. (1918, 8 სექტემბერი). ჟოღოვრდი ძაინი (ძიოვრდի ბայն), გვ. 2

საქართველოს ახალი მოთხოვნა (1918, 15 ივნისი). მშაკი (Մշակ), გვ. 2

საქართველოს დამფუძნებელი კრება. (1919, 12 მარტი). მშაკი (Մշակ), გვ. 2

საქართველოს პარლამენტი. (1919, 4 იანვარი) მშაკი (Մշակ), გვ. 3

საქართველოს პარლამენტი. (1919, 9 იანვარი). მშაკი (Մշակ), გვ. 3

საქართველოს სომხები II. (1920, 19 ივნისი). მშაკი (Մշակ), გვ. 1

საქართველოს სომხების ავტონომია. (1920, 4 აპრილი). მშაკი (Մշակ), გვ. 1

საქართველოსა და არარატის სომხური რესპუბლიკის საზღვრები. (1918, 16 ივნისი). მშაკი (Մշակ), გვ. 3

სკოლის საქმის დღევანდელი ვითარება. (1918, 14 სექტემბერი). ჟოღოვრდი ძაინი (ძიოვრდի ბայն), გვ. 2

სომხები და ქართველები. (1918ა, 14 სექტემბერი). ჟოღოვრდი ძაინი (ძიოვրդի ბայն), გვ. 1

სომხები და ქართველები. (1918ბ, 15 სექტემბერი). ჟოღოვრდი ძაინი (ძიოვրդի ბայն), გვ. 2

სომხური საკითხი. (1913, 10 იანვარი). მშაკი (Մշակ), გვ. 1

სომხური სკოლა საქართველოში. (1918ა, 5 სექტემბერი). *ჟოღოვრდი ძაინი* (ძიოვրդի ბայն), გვ. 2

სომხური სკოლა საქართველოში. (1918ბ, 8 სექტემბერი). *ჟოღოვრდი ძაინი* (ძიოვրդի ბայն), გვ. 2

სომხური სკოლა საქართველოში. (1918გ, 11 სექტემბერი). *ჟოღოვრდი ძაინი* (ძიოვրդի ბայն), გვ. 2

სომხური სკოლა საქართველოში. (1918დ, 13 სექტემბერი). *ჟოღოვრდი ძაინი* (ძიოვრდի ձայն), გვ. 3

სხვადასხვა ამბები. (1872, 13 იანვარი). *მშაკი* (Մշակ). გვ. 4

ქართველები და თურქები. (1918, 2 ივნისი). *მშაკი* (Մշակ), გვ. 3

ქართული პრესა. (1918, 20 ივლისი). *მშაკი* (Մշակ), გვ. 4

ქართულ-სომხური კონფლიქტი მოგვარებულია. (1918, 29 ოქტომბერი). ჟოღოვრდი ძაინი (ძიოვრդի ձայն), გვ. 1

ქართულ-სომხური კონფლიქტის გამო. (1919, 11 იანვარი). მშაკი (Մշակ), გვ. 2

ქართულ-სომხური ომის გაკვეთილები. (1919, 4 თებერვალი). ჟოღოვრდი ძაინი(ძიოვրդի ձայն), გვ. 1

შეაჩერეთ ძმათამკვლელი ომი. (1919, 2 თებერვალი). *ჟოღოვრდი ძაინი*(ძიոვրդի ձայն), გვ. 1

შირვანზადე. (1918, 18 აგვისტო). ყველა შოვინისტს. მშაკი (Մշակ), გვ.4

ჩვენს გიმნაზიებში. (1919, 14 მარტი). მშაკი (Մշակ), გვ.3

ხალხთა დაახლოების ნამდვილი გზა. (1919, 13 თებერვალი). ჟოღოვრდი ძაინი (ძიոვրդի ձայն), გვ. 1

ხანგრძლივი ომის მდგომარეობა. (1919, 4 თებერვალი). მშაკი (Մշակ), გვ. 1